„ჩვენ უნდა ჩვენი ვშვათ მყოობადი“

# განმათავისუფლებელი

დამოუკიდებელი ეროვნული გაზეთი | 2011 წ. ნოემბერი * №30 * ფასი 1 ლარი

გამოდის 2008 წლის დეკემბრიდან







## 20 წელი ერთი სიცრუიდან გვ. 6

## კომპრომატების ომს შეწირული სახელმწიფო ინტერესები გვ. 17

# ბანკირი ივანიშვილის მეტეორივით შემოჭრა პოლიტიკაში

ლეილა ცომაია



ოქტომბრის თვე, საქართველოში ძლიერი პოლიტიკური მიწისძვრით აღინიშნა, რამაც შეაჯანჯღარა და მნიშვნელოვნად შეარყია კიდეც სააკაშვილის რეჟიმი.

საფრანგეთში მცხოვრები მილიარდელი ბიძინა ივანიშვილის მეტეორივით შემოჭრამ პოლიტიკურ სივრცეში უდავოდ შვა ის რეალური ალეტრნატივა, რომლის არარსებობა კატასტროფულად ანელებდა ამომრჩეველთა აქტივობას. ამგვარი ვითარება კი შესაძლებლობას აძლევდა სააკაშვილის დიქტატორულ რეჟიმს უფრო მაღალპროცენტულად გაეყალბებინა არჩევნები. ოპოზიციონერი პოლიტიკოსების ხვეწნა–მუდარამ –„ოღონდ, მოდით არჩევნებზე და თუ გინდათ, ყველანიგადაგვხაზეთო“, ვერ დაძრა ხალხი. ვერც დანამუსებამ –„თქვენი მოქალაქეობრივი ვალი მოიხადეთო“, ვერ იმუშავა, რადგან ხალხს რეალური ლიდერი სჭირდებოდა. და, როგორც იქნა იგი გამოჩნდა და გაჩნდა იმედი და შესაძლებლობაც საძულველი ხელისუფლების არჩევნების გზით შეცვლისა.

მილიარდელი მეცენატის ივანიშვილის მიმართ ჩემი გაუნელებელი უკმაყოფილების საგანს წარმოადგენს მისი თბილისური საცხოვრებელი თუ საოფისე სახლები, რომელთანაც შეხვედრა–შეხედვა ყოველდღიურად მიწევს საერთო ადგილმდებარეობის გამო; ძველი თბილისის არქიტექტურაში უცხო სხეულივით ჩაკვეხებული ხსენებული მეპატრონის შუშისა და რკინის კონსტრუქციის მოდერნისტული ნაგებობები სრულ შეუსაბამობაშია უძველესი უბნის ლანდშაფტთან და შორიდან, ვერც ესთეტიკურ ტკბობას განგაცდევინებს. თუმცა, ინტერნეტით გავრცელებული კადრებიდან ჩანს, რომ შენობების მთლიანი ფასადი და ინტერიერებიც საკმაოდ ლამაზია. უფრო მეტიც, როგორც თავად ივანიშვილმა თქვა, ქართველთაგან დაწუნებული მისი სახლები, მსოფლიოს საუკეთესო თანამედროვე შენობების რიცხვშიც კია შეტანილი.

„რეფორმატორ–დემოკრატიის“ პიარ–ტექნოლოგიების ხუხულაზე აგებული სააკაშვილ–მერაბიშვილის ხელისუფლება, ივანიშვილის ალტერნატივამ, არჩევნებამდე ჩამოშლის რეალური საფრთხის წინაშე დააყენა. რეტდასხმულებმა, ძლიერი კონკურენტის პარალიზების მიზნით, ჩვეულ უღირს ტრიუკებს მიმართეს (ივანიშვილისა და მისი მეუღლისათვის მოქალაქეობის ჩამორთმევა, „ქართულ–ბანკის“ ინკასატორებზე თავდასხმა და ხუთ მილიონამდე დოლარის დაყადაღება, საინფორმაციო ბლოკადა თუ სხვ.).

ივანიშვილის კონკურენტუნარიანმა ფაქტორმა უკვე აიძულა ხელისუფლება ხალხის სასიკეთო ნაბიჯები გადაედგა. ამგვარი პირველი პოზიტიური სვლის გამოვლინება იყო სამთავრობო გუნდის ბათუმში სასწრაფოდ შეკრება, რომელზედაც სააკაშვილმა, ბიზნესმენები, 45–60 წლამდე ასაკის ადამიანების დასაქმების შემთხვევაში, საშემოსავლო გადასახადებიდან გათავისუფლებით წაახალისა. თბილისის მერმა გიგი უგულავამ კი, საზოგა-

გაგრძელება მე-2 გვ.

დასაწყისი გვ. 1

# ბანკირი ივანიშვილის მეტეორივით შემოჭრა პოლიტიკაში

დოებრივი ტრანსპორტით მოარულ მგზავრებს, „მეტრომანზე“ 5 ლარი საჩუქრად დაურიცხა, რაც გარკვეული შეღავათია, განსაკუთრებით სტუდენტებისათვის, რომლებიც ასტრალურად გაზრდილი მგზავრობის ტარიფის გამო ხშირად ვერ ახერხებენ სასწავლებლებში სიარულს.

სააკაშვილი ასევე იძულებული გახდება ფორსირებულ რეჟიმში მნიშვნელოვნად შეამციროს უმუშევართა მაჩვენებელი, მნიშვნელოვნად გაზარდოს (არ არის გამორიცხული, უკვე შეპირებულ 100 დოლარამდე) პენსია და ამ ღონისძიების ფარგლებში, ორი წლით დასწიოს კიდეც განვითარებული ქვეყნების შესაბამისად აწეული საპენსიო ასაკიც, შექმნას ჯანდაცვის ეფექტური სადაზღვევო პაკეტი, შეამციროს გადასახადები და ფასები სამრეწველო და საკვებ პროდუქტებზე.

მიუხედავად იმისა, რომ ამგვარი შვებისმომგვრელი სოციალური ფონის შექმნაში ორგანულად იდება წილი ივანიშვილის ფაქტორით, თავად ბატონ ბიძინასაც დიდი ძალისხმევა და ფინანსური რესურსებიც დასჭირდება (რის ნაკლებობას იგი ნამდვილად არ განიცდის) უმრავლესი ელექტორატის მისამხრობად. ამისათვის მან, პირველ რიგში, უნდა წარმოადგინოს ეროვნული პოლიტიკური პროგრამა და შექმნას ყველასათვის მეტ–ნაკლებად მისაღები საკუთარი პარტიული უმრავლესობა. მის მიერ უკვე გაცხადებული პოლიტიკური პარტნიორები და მრჩეველთა საბჭოც (მზარდი როადენობით), დაბეჯითებით შეგვიძლია განვაცხადოთ, რომ ვერ შეუქმნის მას უპირობო სანდო გარემოს და ვერც არჩევნებში უპირატესი წარმატების გარანტად ექცევა. ამ ძალადთავსმოხვეული non grata პოლიტპარტნიორების („რესპუბლიკელები“, ალასანია) საპირწონედ, ივანიშვილმა საკუთარი პარტიის ძირითადი უმრავლესობა აუცილებლად უნდა დააკომპლექტოს სანდო და გაუსვრელი პოლიტიკური ძალებით, რათა „რესპუბლიკელებისა“ და ალასანიას საპარლამენტო ბალანსში (უკაცრავად, დის–ბალანსში) მისი საპარლამენტო უმრავლესობა საპრეზიდენტო არჩევნებში წარმოჩინდეს სანდო და სოლიდურ პოლიტიკურ ძალად, რამაც უნდა უზრუნველყოს ამ პარტიის საპრეზიდენტო კანდიდატის უცილობელი გამარჯვება. სავარაუდოდ, ეს შეიძლება იყოს თავად ბიძინა ივანიშვილიც.

ვიმეორებთ, არც „რესპუბლიკელები“ და არც ალასანია, საქართველოს მოსახლეობაში რეალურად არ სარგებლობენ ისეთი მაღალი რეიტინგითა და ნდობით, რომ მათ, დემოკრატიულად ჩატარებულ საპარლამენტო არჩევნებში, დამოუკიდებლად საჭირო ხმათა რაოდენობის მოპოვება შეძლონ. საპრეზიდენტო არჩევნებში, მითუმეტეს! მათი ხელისუფლებაში მოსაყვანად, ივანიშვილის მიერ ორთქმავლის ფუნქციის კისრება, აპრიორი იქცევა ივანიშვილისათვის ავანსად მიცემულ ხმად ალასანია – „რესპუბლიკელების“ სასარგებლოდ, მაგრამ ლეგიტიმურს ვერ გახდის მათ პარლამენტარობას.

ხალხზე, ელექტორატზე ნებისმიერი ფორმით ძალადობა არადემოკრატიული აქტია და ეჭვის ქვეშ აყენებს, მეტიც, სპობს არჩევანის თავისუფლებას! ბატონი ივანიშვილის საკამათო არჩევანი, შესაძლებელია არ იყო მისი, როგორც ინდივიდუუმის გადაწყვეტილება; „რესპუბლიკელების“ ხშირი და მრავალწლიანი ვოიაჟები ამერიკასა თუ დასავლეთში, ხოლო ალასანიას მოულოდნელი გადადგომა გაეროს ელჩობიდან და სააკაშვილის ოპოზიციონერად მოვლინება, ცხადია, პოსტსააკაშვილისეულ ხელისუფლებაში, მათი მოყვანის დიპლომატიური სამზადისი იყო.

ყველას ვთხოვთ ზუსტად ჩასწვდნენ ჩვენს სენტენციებს და არ დაგვსახონ ივანიშვილის მოწინააღმდეგე მხარედ. ჩვენც გვჰქონდა სურვილი და მოლოდინიც ივანიშვილის ხელისუფლებაში მოსვლის. სურვილი ჩვენი კი არამც და არამც არ იყო მოტივირებული მისი მა-



ტერიალური სიმდიდრით, არამედ, ამ სიმდიდრის შემქმნელი გონით. ეს გონი კი ქართველთა ინტელექტუალური საკუთრებაა, ღმერთმა იგი ჩვენს წიაღში შვა და მისი სრული გამოყენების შესაძლებლობაც მოგვცა თავად ამ გონის მეპატრონის თავდაჯერებულად გაცხადებული სურვილით: „მე მინდა მოვიდე და აუცილებლად მოვალ ხელისუფლებაში!“

ჩვენ კი, ვინაიდან ვერ ვიქნებით უგუნური მტერი ჩვენი სამშობლოსი, გულს ვულებთ ივანიშვილს. მაგრამ, იმისათვის, რომ ხელიც გავიღოთ, ანუ ხმაც მივცეთ არჩევნებში, მეტი დარწმუნება გვჭირდება მის პოლიტიკოსობაში – ეროვნულ–სახელმწიფოებრივ ინტერესებზე დამყარებულ მის პოლიტიკურ ხედვებში.

ბატონი ივანიშვილი აკრიტიკებს სააკაშვილის პოლიტიკას რუსეთთან მიმართებაში და ამ კონტექსტში პრეზიდენტ ზვიად გამსახურდიას პოლიტიკასაც იწუნებს, თუმცა რუსეთის დღევანდელმა პოლიტიკურმა ელიტამ ხმამაღლა აღიარა პრეზიდენტ გამსახურდიას წინააღმდეგ რუსული აგრესიის მცდარობა საერთაშორისო რეალპოლიტიკის გათვალისწინებით.

პრეზიდენტ ზვიად გამსახურდიას ეროვნულმა ხელისუფლებამ, ერთწლიანი მმართველობის (პრეზიდენტად იგი მხოლოდ 7 თვე იყო), რუსეთიდან მართული პერმანენტული დესტაბილიზაციის, ფაქტიურად საომარ პირობებში უზრუნველყო ეპოქალური მნიშვნელობის სახელმწიფოებრივი აქტების მიღება და სოციალური საშეღავათო პოლიტიკის გატარება საქართველოს მოსახლეობისათვის, რაზედაც აქ დეტალურად არ შევჩერდები, რამეთუ 1990–93 წლების პერიოდი მიუკერძოებელ და კომპეტენტურ მკვლევარებს ჯერ კიდევ ელის, რაც უსათუოდ დაუსვამს წერტილს ზვიად გამსახურდიას ფიგურის სუბიექტურ და ინერციით მომდინარე კრიტიკას. მანამდე კი, ჩვენი გაზეთის მკითხველებს ვთხოვთ, გულისყურით წაიკითხონ აქვე გვ. 3–ზე და გვ.6–ზე გამოქვეყნებული სტატიები, რომელიც, აგრეთვე დაეხმარება მათ პრეზიდენტ გამსახურდიას მმართველობის ინფორმირებაში. გამსახურდიასი, რომელიც გახდა პიროვნული და ფიზიკური მსხვერპლი მის წინააღმდეგ საერთაშორისო მასშტაბით წარმოებული საინფორმაციო ომისა, რომელშიც აქტიურად იყვნენ ჩართულნი, როგორც გარეშე, ასევე საქართველოს შინაური მტრები – კოლაბორაციონალისტი ქართველები: ხაინდრავები, მაღრაძეები, ჭანტურია–სარიშვილები, არეშიძეები, ღოლობერიძეები, ბერძენიშვილები, წერეთლები, სააკაშვილები და სხვები, რომლებმაც მიზანმიმართულად გამოჭედეს, ერთის მხრივ „დიქტატორი“, მეორეს მხრივ „არაპოლიტიკოსი“ გამსახურდიას (რომელიც 40 წელი ებრძოდა საბჭოთა იმპერიას) კლიშე (სტერეოტიპი) და ამ თვითნაკეთ საფრთხობელას დღემდე გვჩრიან პირში დასადუმებლად.

საინფორმაციო ომი, დღეს ბიძინა ივანიშვილის წინააღმდეგაც არის აგორებული სააკაშვილის სამთავრობო ხროვის მიერ, მაგრამ ეს ომი ლოკალური ხასიათისაა და გათვლილია ამომრჩევლებზე.

ხელისუფლებას მონოპოლიზირებული აქვს რა ცენტრალური სატელევიზიო არხები და გავლენა აქვს თვით ე. წ. ოპოზიციურ ტელევიზიებზეც, დიდია ალბათობა, რომ მათ წარმატებით მოიგონ ეს საარსებოდ უმნიშვნელოვანესი ომი. ამგვარ ალბათობას მნიშვნელოვნად ზრდის თვით ივანიშვილის სტერეოტიპად ქცეული საზოგადოებისგან გაუცხოების (თვითიზოლაციის) სინდრომი. გასაგებია, რომ ეს მდიდრების სენია, მაგრამ პოლიტიკაში შემოსულ ბანკირს, ამ სტერეოტიპის (შეძენილი სენის) სასწრაფო მსხვრევა მოუწევს; მან სრულიად უნდა უკუაგდოს მდიდრის კომპლექსი და ხალხის უშუალო ნაწილად (კუთვნილებად) უნდა იქცეს. საარჩევნო პერიოდში მან, აგრეთვე, უნდა მოახდინოს პერსონალური დაცვის სტრუქტურების ლიბერალიზაცია და ამით მაქსიმალურად შეარბილოს ბარიერი ხალხსა და მას, როგორც საარჩევნო სუბიექტს შორის.

დღეს უფრო საგრძნობლად მტკივნეული გახდა ბატონი ივანიშვილის კუთვნილი ტელევიზიის „მე–9“ არხის თვითლიკვიდაციის თემა, რაც მეპატრონის გაცხადებული პოლიტიკური ამბიციის ფონზე, ნამდვილად არ წარმოჩინდება ბრძნულ, შორსმჭვრეტ გადაწყვეტილებად. „მე–9“ არხის რეფორმირება და მისი, თუნდაც ისეთ ცოცხალ–მკვდარ ტელევიზიებად გარდაქმნა, როგორიცაა „მზე“ და „საქართველო“, მისცემდა მას საშუალებას, ამ ლიცენზირებული ტელევიზიის დღეს უკვე მძლავრ პროპაგანდისტულ ბერკეტად ქცევას.

სააკაშვილმა, როგორც გამოწრთობილმა და გაქნილმა პოლიტიკოსმა, სწორედ ამგვარი პრევენციის მიზნით იარაღის ძალით დახურა მიჯრით მისთვის ძნელადსამართავი ტელევიზიები („იბერია“, „202“, „მე–7“ და „მე–9“ არხი) და „ოპოზიციური“ ტელევიზიების სახე–სიმბოლოდ დატოვა ისეთი უსახური ტელევიზიები, როგორიცაა „კავკასია“ და „მაესტრო“ ლოკალური სამაუწყებლო სივრცით.

ამგვარ კაზუს–ვითარებაში ორმაგი დატვირთვის ფუნქციით შესაძლებელია მეორე საინფორმაციო ბერკეტის – ბეჭდური მედიის – გაზეთების რესურსის ამოქმედება, რისთვისაც, ივანიშვილმა, არაფერი უნდა დაიშუროს, რათა ყველა დასახელების ოპოზიციური გაზეთი მივიდეს თითოეულ ამომრჩევლამდე და მოიცვას სრულიად საქართველო. გაზეთის უპირატესი შესაძლებლობა ხალხის სრული და აკადემიური ინფორმირებისა (რაც არ აიძულებს მათ მიეჯაჭვონ ეკრანს განწესებული დროით, არამედ თავისუფლად მიიღოს ინფორმაცია მისთვის სასურველ დროსა და გარემოებაში), ეფექტურად უნდა იქნეს გამოყენებული.

და ბოლოს, საარჩევნო კამპანიის მხოლოდ სწორი და გონივრული დაგეგმარება შეიძლება იქცეს მყარ გარანტად ბიძინა ივანიშვილის მაღალი პოლიტიკური წარმატებისა.



საქართველოს
ზვიად განმათავისუფლებლის პარტია
ZVIAD LIBERATOR'S PARTY
OF THE GEORGIA

თბილისი, 380005, ლეონიძის ქ. №8, ტელ/ფაქსი: 92-36-55
TBILISI, 380005, 8, LEONIDZE STR. TEL/FAX: 92-36-55

№ 14 2 ნოემბერი 2011 წ.

**ზვიად განმათავისუფლებლის პარტიის განცხადება**

ზვიად განმათავისუფლებლის პარტია გმობს და პროტესტს აცხადებს სააკაშვილის დიქტატორული რეჟიმის მიერ განხორციელებული ქმედებების გამო, პოლიტიკური ოპონენტის ბიძინა ივანიშვილისა და მისი მეუღლის ეკატერინე ხვედელიძისთვის საქართველოს მოქალაქეობის ჩამორთმევისა და მის მიმართ განხორციელებული სხვა უკანონო და არასამართლებრივი ღონისძიებების გატარების გამო.

მოვითხოვთ, ბიძინა ივანიშვილისა და მისი მეუღლისათვის საქართველოს მოქალაქეობის აღდგენას, რათა მიეცეს მას კონსტიტუციური უფლება, მონაწილეობა მიიღოს საქართველოს პოლიტიკურ პროცესებში, შეუფერხებლად იყაროს კენჭი 2012–2013 წლების საპარლამენტო და საპრეზიდენტო არჩევნებში.

პარტიის თავმჯდომარე

# უფლის ნებით მოვლენილი



*„მერაბ კოსტავა არა როლის შემსრულებელი, არამედ დრამატურგი იყო ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობისა“.*
***გერმანე ფაცაცია***

ჩვენი ქვეყნის უახლეს ისტორიაში 1991 წლის 31 მარტს ჩატარებული რეფერენდუმი უმნიშვნელოვანესი მოვლენაა საქართველოს სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის აღდგენისათვის სამართლებრივი საფუძვლის შექმნის თვალსაზრისით. საბჭოთა იმპერიის შესანარჩუნებლად ისტერიულ მდგომარეობაში მყოფი სსრ კავშირის ხელმძღვანელობა ყველანაირ მზაკვრობას უპირისპირებდა მოკავშირე რესპუბლიკების სწრაფვას დამოუკიდებლობისაკენ. ამ მიზნით მოკავშირე რესპუბლიკებში იქმნებოდა ნაციონალურ უმცირესობათა სხვადასხვა საზოგადოებრივი ორგანიზაციები. კრემლის მზერა განსაკუთრებით ფოკუსირებული იყო საქართველოსკენ. ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის საწინააღმდეგოდ და შემდეგ ეთნოკონფლიქტების მოსაწყობად ცენტრი აყალიბებდა „ბლოკსოიუზებს“, „ინტერფრონტებს“, „ხსნის კომიტეტებს“ და სხვა შავრაზმულ ორგანიზაციებს.

კრემლი განსაკუთრებული მონდომებით მოქმედებდა აფხაზეთსა და სამაჩაბლოში. ზემდგომ პარტიულ ხელმძღვანელობასთან შეთანხმების საფუძველზე (რასაც გვიდასტურებს სოხუმის ქალაქის საბჭოს იმდროინდელი თავმჯდომარე არძინბას გუნდელი ჯ. გუბაზი მის მიერ ხელმოწერილი დოკუმენტით), 1988 წელს იქმნება აფხაზური ნაციონალური მოძრაობა „აიდგილარა“ („ერთიანობა“ შემდგომ „სახალხო ფორუმი“), ხოლო სამაჩაბლოში ოსთა მოძრაობა „ადამონ ნიხასი“ („სახალხო საუბარი“).

რაზე საუბრობდნენ(?!)

ეს, აწ უკვე ცნობილი ისტორიაა– სამაჩაბლოში სისხლი დაიღვარა. . .

დადგა აფხაზეთის ჯერი.

ვინაიდან 1989 წლის 15-16 ივლისს დაწყებული სისხლიანი საქმე მასშტაბურ ეთნოკონფლიქტში ვერ გადაიზარდა ანუ ბოლომდე ვერ განხორციელდა კრემლის ზრახვები, ასეთ ვითარებაში აიდგილარას, როგორც პარტნომენკლატურის ფარს ობლად რომ არ ეგრძნო თავი, მის გარშემო სოკოებივით მოამრავლეს შავრაზმული ანტიქართული ორგანიზაციები: „სლავიანსკი დომ’“, „კრუნკი“, „დემოკრატიჩესკაია აბხაზია“, „ლდპრ“-ი (ჟირინოვსკის პარტია), რომლებიც 1990 წლის ერთ მშვენიერ დღეს კრემლის იდეების განმახორციელებელ, რუსეთის საიმედო დასაყრდენ ერთიან კონსოლიდირებულ ძალად - ბლოკ „სოიუზად“ მოგვევლინნენ.

სწორედ ეროვნული მოძრაობის დამსახურებაა ის, რომ მაშინ არ შეიქმნა სეპარატისტთა თავდასხმის ობიექტები, ე.ი. ხალხმრავალი სამიზნეები, ხოლო 1989 წლის 16 ივლისს მოზღვავებულ და მომხდარით აღშფოთებულ ათასობით შეიარაღებულ, უმართავ ხალხს ღალიძგის ხიდზე მერაბ კოსტავა გადაეღობა და არ გამოატარა.

ასე ჩაიშალა მაშინ აფხაზეთში ომის სტრატეგიული გეგმა. დიახ, რომ არა მერაბ კოსტავას ავტორიტეტი, ხალხის განუზომელი სიყვარული და ნდობა მისი პიროვნებისადმი, სრული პასუხისმგებლობით ვაცხადებ, რომ უეჭველად მივიღებდით ფართომასშტაბიან ომს აფხაზეთში. აქედან გამომდინარე, საკითხავია, დარჩებოდა კი აფხაზეთი საქართველოს ტერიტორიულ-სამართლებრივ სივრცეში? ჩატარდებოდა კი ამის შემდეგ საქართველოს უზენაესი საბჭოს არჩევნები და ერის ნების გამომხატველი 1991 წლის 31 მარტის რეფერენდუმი აფხაზეთის ტერიტორიაზე? მაშასადამე, ზედმეტი იქნებოდა ფიქრიც კი საქართველოს სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის აღდგენის შესახებ.

მართალია, აფხაზეთში ომი იმ დროს ჩაიშალა, მაგრამ არ ჩაშლილა აგონიაში მყოფი იმპერიული ცენტრის გეგმები: გრძელდება სეპარატისტების წაქეზება და ბლოკ „სოიუზის’ მეშვეობით უმართავი მდგომარეობის შექმნა აფხაზეთში - ირბევა და ნადგურდება 9 აპრილის მოვლენების ამსახველი მემორიალური სტენდები სოხუმსა და ოჩამჩირეში; სოხუმში იმართება ე.წ. კავკასიელ ხალხთა პირველი ყრილობა, რომელიც ქმნის კავკასიის მთიელ ხალხთა ასამბლეას (АГНК), რათა ამ ასამბლეის საფუძველზე ჩამოყალიბებულიყო კავკასიის მთიელთა სახელმწიფო - დედაქალაქით სოხუმში (?!);

მხედველობიდან არ უნდა გამოგვრჩეს ის ფაქტი, რომ აფხაზეთი ყოველთვის გამოირჩეოდა КГБ-სა და ГРУ-ს აგენტთა სიჭარბით. 1988-1990 წლებში მათი ნაკადი გაორმაგდა, მოუხშირეს აფხაზეთში სიარულს ს. ბაბურინმა, ვ. ჟირინოვსკიმ, ი. შანიბოვმა და სხვებმა. ასევე არ წყდებოდა რუსეთუმეთა ნაკადები ჩრდილოეთ კავკასიიდან, განსაკუთრებულად აქტიურობდნენ ყაბარდოელთა ნაცმოძრაობა „ადიგა ხასე“-ს წევრები, (ცნობილია მათი მიმართვები სსრკ და საქართველოს სსრ უმაღლეს ინსტანციებში მოთხოვნით მთიანი ყარაბახის მსგავსად „აფხაზეთის ცენტრიდან მართვის განსაკუთრებული რეჟიმის შემოღების შესახებ“ და „აფხაზი ხალხის შელახული ნაციონალური უფლებების შესახებ“); იმართებოდა სეპარატისტთა სანქცირებული მიტინგები აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკისათვის მოკავშირე რესპუბლიკის სტატუსის მინიჭების მოთხოვნით. მათ მიერ მიღებული რეზოლუციები იგზავნებოდა საკავშირო უმაღლეს ინსტანციებში, აფხაზეთის პრესაში ამ მოთხოვნებთან ერთად ქვეყნდებოდა სეპარატისტთა წამქეზებელი ანტიქართული პუბლიკაციები და ა.შ. ერთი სიტყვით, ყველაფერი კეთდებოდა მდგომარეობის უკიდურესად დასაძაბავად. მაგრამ ქვეყნის სწრაფვას დამოუკიდებლობისაკენ ცენტრის მზაკვრობა ვეღარ ანელებდა. ამ ფონზე იგი განსაკუთრებულად აგრესიული ხდება და ბოლომდე იხსნის ნიღაბს, ფეხქვეშ თელავს როგორც სსრკ-ს, ასევე მოკავშირე რესპუბლიკების კონსტიტუციებს.

1990 წლის 3 აპრილს მიღებული იქნა საკავშირო კანონი, რომელიც მოკავშირე რესპუბლიკების სსრკ-დან გასვლის შემთხვევაში ავტონომიებსა და ცალკეულ რაიონებსაც ანიჭებდა რეფერენდუმის გზით სსრ კავშირში დარჩენის უფლებას. ამ მიზნით 1991 წლის 17 მარტს ინიშნება რეფერენდუმი „განახლებული კავშირის შენარჩუნების მოთხოვნით“, ამრიგად, შექმნილმა ვითარებამ იმდენად დაძაბა მდგომარეობა აფხაზეთში, რომ მშვიდობა ბეწვზე ეკიდა.

საქართველოს ხელისუფლება რთული ამოცანის წინაშე აღმოჩნდა, აუცილებელი გახდა ერთის მხრივ საკავშირო რეფერენდუმის არ დაშვება და მეორეს მხრივ, კრემლის მიერ წაქეზებული სეპარატისტების პროვოკაციული ზრახვების მშვიდობიანი გზით ჩაშლა. როგორც ცნობილია, ქვეყნის ხელმძღვანელობამ ეს შეძლო აფხაზეთში არჩეული უზენაესი საბჭოს დეპუტატების, ადგილობრივი, როგორც ძალოვანი სტრუქტურების, ისე წარმოება-დაწესებულებების და უწყებების ქართველი ხელმძღვანელობის ეროვნულ-განმათავისუფლებელ მოძრაობასთან შეთანხმებული მოქმედებებით.

სეპარატისტებთან ერთდროული მოლაპარაკების რეჟიმში 1991 წლის 27 თებერვალს საქართველოს უზენაესმა საბჭომ მიიღო დადგენილება „აფხაზეთის უზენაესი საბჭოს არჩევნების შესახებ“, ვადაგასულ აფხაზეთის ასსრ უმაღლეს საბჭოს უფლებამოსილება გაუგრძელა საქართველოს უზენაესმა საბჭომ 1991 წლის 1 ოქტომბრამდე. წინააღმდეგ შემთხვევაში აფხაზეთის უმაღლეს წარმომადგენლობით ორგანოს შეუწყდებოდა უფლებამოსილება, რაც მითითებული იყო დადგენილებაში. ამავე დღეს გავრცელდა აფხაზეთის ასსრ უმაღლესი საბჭოს წევრებისადმი საქართველოს უზენაესი საბჭოს პრეზიდიუმის მიმართვა, რომელიც პირდაპირ მოუწოდებდა, რომ არ დაეშვათ 1991 წლის 17 მარტის საკავშირო რეფერენდუმში მოსახლეობის მონაწილეობა; ხოლო იმავე წლის 12 მარტს გამოქვეყნდა ზვიად გამსახურდიას „მიმართვა აფხაზი ხალხისადმი“, რომლითაც კიდევ ერთხელ შეახსენა მათ აფხაზთა და ქართველთა გენეტიკური ნათესაობის და კულტურულ-ისტორიული ერთიანობის შესახებ. აღნიშნულ მიმართვაში მან ახსნა რა საბჭოთა იმპერიის ნამდვილი მიზნები, მოუწოდა 17 მარტის საკავშირო რეფერენდუმის ბოიკოტისკენ და 31 მარტის საქართველოს სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის აღდგენის მოთხოვნის მიზნით ჩასატარებელ რეფერენდუმში აქტიური მონაწილეობისაკენ.

ამ შემთხვევაში ზ. გამსახურდია იმაზეც ამახვილებდა ყურადღებას, რომ დამოუკიდებელი საქართველო გაცილებით უფრო მეტის მიმცემი იყო აფხაზებისთვის, ვიდრე „მოდერნიზებული საბჭოთა იმპერია“. მიმართვაში ნათქვამია: „თვითმყოფად საქართველოში იარსებებს ჭეშმარიტად თვითმყოფადი აფხაზეთი, ჭეშმარიტი თვითმმართველობით. . .“ ამ მიმართვას მეორე დღესვე გამოეხმაურა ვ. არძინბა, იგი ზ. გამსახურდიას მიმართვის მხოლოდ იმ ნაწილს ეთანხმებოდა, რომელიც ქართველთა და აფხაზთა მრავალსაუკუნოვან ურთიერთობას ეხებოდა. „მე, - წერდა არძინბა, - როგორც აფხაზეთის უმაღლესი საბჭოს თავმჯდომარე, ყველაფერს, რაც ჩემზეა დამოკიდებული, ვაკეთებდი და გავაკეთებ მომავალშიც იმისთვის, რათა აფხაზეთისა და საქართველოში სუფევდეს მშვიდობა და თანხმობა, რაც დამყარებული იქნება თანასწორუფლებიან რესპუბლიკათა მყარ სახელშეკრულებო ურთიერთობებზე,“ - აქვე დასძენდა, რომ „აფხაზეთი რჩება სსრ კავშირის შემადგენლობაში და მიიღებს მონაწილეობას 17 მარტის რეფერენდუმში“.

როგორც ვხედავთ, სეპარატისტთა მიერ ცინიკურად გაცხადებული „მშვიდობა“ და „თანხმობა“, სინამდვილეში, ქვეყანაში მდგომარეობის უკიდურეს დაძაბვასა და სახელმწიფოს დაქუცმაცებას ემსახურებოდა. სწორედ ამ დროს გააქტიურდა ბლოკი „სოიუზი“ და მის მიერ მართული „აიდგილარა“, ასევე მათ მიერვე მოსყიდული ზოგიერთი გამყიდველი ქართველიც. მეგრელების და აფხაზების ე.წ. „თვითგამორკვევის აუცილებლობაზე მიუთითებდა „ვორონოვშჩინას“ მიერ დაგესლილი ნ. ჯოჯუა, თან ქადაგებდა „მეგრელები ქართველები არ არიანო“.

ეროვნული ხელისუფლების მისამართით ლანძღვა-გინებას არ იშურებდა საზოგადოების მიერ მოკვეთილი სერგეი საჯაია, იგივე სერგი, ბოლო წლებში კი სერგი(გიორგად) მოვლენილი. ის სარგებლობდა რა ნახევრად ბერძნული წარმომავლობით, ეროვნული ხელისუფლებისადმი შიშსა და უნდობლობას თესავდა საბჭოთა პერიოდში გადანასახლებ ბერძნებში, რომლებიც ადვილად იჯერებდნენ მერაბ კოსტავას სახელობის საადგილმამულო ფონდის ხელმძღვანელისაგან, ამ ს. საჯაიასაგან მზაკვრულ, საკუთარი ჯიბის გასქელების მიზნით მოგონილ სიცრუეს: თითქოს გამსახურდიას ხელისუფლება ამზადებდა ბერძენთა დეპორტაციას და მათი სახლ-კარის ჩამორთმევას. „კეთილი“ საჯაია კი საბერძნეთში გასამგზავრებელი ფულის სანაცვლოდ მოითხოვდა უძრავი ქონების მისთვის ჩაბარებას. ამგვარი თაღლითობის შედეგად ფონდის მიერ სახლ-კარის შესაძენად გამოყოფილი თანხის ნახევარი ს. საჯაიას ჯიბეში ილექებოდა.

ასეთ ვითარებაში ჩატარდა 1991 წლის 17 მარტს საკავშირო რეფერენდუმი აფხაზეთში. ამომრჩეველთა საერთო რაოდენობას გამოაკლეს გალის რაიონი (45000 ამომრჩეველი, თითქოს საარჩევნო უბნების მოუმზადებლობის გამო). სინამდვილეში არც გალის და არც აფხაზეთის სხვა ტერიტორიაზე მცხოვრებ ქართველებს ამ რეფერენდუმში მონაწილეობა არ მიუღიათ. ამიტომაც დასჭირდათ რეფერენდუმის შედეგების ასეთი ჯერ არნახული გაყალბება, რათა სსრ კავშირის შემადგენლობაში დარჩენის მსურველთა 50%-ზე ოდნავ მეტი მაინც ეჩვენებინათ (1991 წლის 17 მარტის რეფერენდუმის გაყალბებული შედეგები საქართველოს გენერალური პროკურატურის დასკვნაში არის ასახული (იხ. 1991 წლის 17 მარტის გაზ. „საქართველოს რესპუბლიკა“).

აღსანიშნავია, რომ ამ რეფერენდუმის შედეგები სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს სხდომაზე გააპროტესტეს სსრკ-ს იმდროინდელმა დეპუტატებმა - გუჩა კვარაცხელიამ. თამაზ გამყრელიძემ, ნოდარ მგალობლიშვილმა, ოთარ ზუხბაიამ, - დიდი მადლობა მათ!

„საქართველოდან აფხაზეთის ამოღება ჩემი მეცნიერული კრედოა, ეს ჩემი ცხოვრების მიზანია, ამას მე არ გავემიჯნები“, ქადაგებდა გაყალბებული შედეგებით კმაყოფილი არქეოლოგი ი. ვორონოვი, იმ დროს, როდესაც მიმდინარეობდა აქტიური მზადება 1991 წლის 31 მარტისთვის დანიშნული რეფერენდუმის ჩასატარებლად.

ასეთი უკიდურესი პოლიტიკური დაპირისპირების ფონზე სეპარატისტთა ასალაგმავად და ქართველი მოსახლეობის გამხნევების მიზნით, რეფერენდუმამდე რამდენიმე დღით ადრე ზვიად გამსახურდიამ ღია წერილით მიმართა ვ. არძინბას, რომელშიც მკაცრად გააკრიტიკა იგი ანტიკონსტიტუციური ქმედებებისათვის; დაადანაშაულა ეროვნული შუღლის გაღვივებაში და მოუწოდა წარემართა თავისი პოლიტიკა საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად. ამ წერილის სამართლიანმა და დამაჯერებელმა პათოსმა ხელი შეუწყო აფხაზეთში არსებული დაძაბულობის განმუხტვას, მოსახლეობის გამხნევებას და მათ მიერ თამამად ნების გამოხატვას საქართველოს დამოუკიდებლობის აღდგენისათვის. შედეგად, აფხაზეთის მოსახლეობის 61,27% მიიღო მონაწილეობა კენჭისყრაში, აქედან ამომრჩეველთა თითქმის 60%-მა ხმა მისცა საქართველოს დამოუკიდებლობას, მაშინ, როდესაც აფხაზეთის ქართველი მოსახლეობა 47%-საც კი არ წარმოადგენდა.

ეს იყო ქართული ეროვნული მოძრაობისა და ეროვნული ხელისუფლების უდიდესი პოლიტიკური გამარჯვება საქართველოს სახელმწიფოებრივი აღმშენებლობის გზაზე. სწორედ 1991 წლის 31 მარტის რეფერენდუმის შედეგები დაედო საფუძვლად საქართველოს სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის აღდგენას 1991 წლის 9 აპრილს.

**ნუგზარ მგალობლიშვილი**

# მიხეილ სააკაშვილი - უმუშევრობის როლი ქართველის მაიმუნად გარდაქმნის საქმეში

პამფლეტი

ჩვენი პრეზიდენტის ამ მონოგრაფიის, – როგორც მის ანოტაციაშია აღნიშნული, მხოლოდ რამოდენიმე ეგზემპლარი დაიბეჭდა. ერთი გადაეგზავნა – სტოკჰოლმში ნობელის პრემიის კომიტეტს და პრეზიდენტი იმედს გამოთქვამს, რომ ის ამ პრემიის მიღების რეალური კანადიდატია; დანარჩენი ეგზემპლარები კი ამერიკისა და ევროპის წამყვან სახელმწიფო პოლიტიკოს ებს, რომლებიც ამ საკითხებით განსაკუთრებულად არიან დაინტერესებული. რაცხა ბედად ერთი მეც ჩამივარდა ხელში და მაშინვე კალამს ვეცი, რომ ქართველი ხალხისათვის შემეტყობინებინა, თუ რას გიპირებთ. თქვენივე პრეზიდენტი!

„ნაშრომი“ შედგება 6 თავისაგან 66 ქვეთავისაგან და 666–ი გვერდია. წიგნის შესავალში პრეზიდენტი დეტალურად აღწერს, როგორი შთაბეჭდილება მოუხდენია მასზე, ჯერ კიდევ სტუდენტობის წლებში კიევში, – ფ. ენგელსის წიგნის – შრომის როლი მაიმუნის ადამიანად გარდაქმნის საქმეში, გაცნობას. პრეზიდენტი წერს, რომ მისი წაკითხვის შემდეგ მოსვენება დაკარგა და გამუდმებით დაიწყო იმაზე ფიქრი, ამჯერად თანამედროვე პირობებში, თუნდაც ექსპერიმენტის გამოყენებით ამ პროცესის უკუმიმართულებით შეტრიალებაზე და დაკვირვების ადამიანი როგორ გადაიქცევა მაიმუნად.

იგი იხსენებს, რომ საგანგებოდ ჩაუღრმავდა ასევე დარვინის – ევოლუციური გზით ცოცხალი ორგანიზმების განვითარების თეორიას და მიხვდა, რომ ადამიანი ეს სოციალური არსებაა, ინდივიდუალურად მისი გამაიმუნება პრაქტიკულად შეუძლებელია. ჩანაფიქრის სისრულეში მოსაყვანად, ამ პროცესისათვის, მასიური ხასიათი უნდა მიეცა.

მისივე თქმით – პირველი, რაც მან გაპრეზიდენტებისთანავე გააკეთა, შექმნა თავისი გუნდი, რომელიც ყველაფერით უზრუნველყო და საკუთარი მიზნის განხორციელების იარაღად გამოიყენა. არნახულად გააძლიერა ძალოვანი სტრუქტურები, – გამაიმუნების გზაზე შემდგარი ქართველების (ვინიცობაა) წინააღმდეგობა რომ ჩაეხშო. როდესაც ეს ყველაფერი მოათავა – ექსპერიმენტიც დაიწყო. მისი ძირითადი არსი მარტივი და ადვილად მისაღწევი გამოდგა. მასობრივი უმუშევრობა და მასობრივი შიმშილი.

მან, ამის შესახებ – საიდუმლო ცირკულარით საქმის კურსში ჩააყენა გაეროსა და ეუთოს ცხოველთა დაცვის შესაბამისი უწყებები და სახელმწიფო დეპარტამენტის ამ დარგის სპეციალისტები. დამატებით მოითხოვა ასიგნაციები – ექსპერიმენტის გაძლიერებისა და მისი ელიტის მხარდაჭერის გასაძლიერებლად. როგორც აღნიშნავს, ფული მდინარესავით წამოვიდა!, თურმე იქაც ბევრი მუშაობს – ამ ცდის საბოლოო შედეგი, რომ აინტერესებთ!

ნაშრომის სათაური გვიჩვენებს, რომ – მასში მთავარი აქცენტი სწორედ უმუშევრობაზეა გაკეთებული, რომლიდანაც მიღებული შედეგი მასობრივი შიმშილობაა. ყველაფერი ეს კი გარკვეული დროის განმალვობაში ადამიანის ფსიქიკაზე და ქცევაზეც ახდენს გავლენას; უიმედო სიტუაციაში ჩავარდნილ ადამიანს – ანუ ქართველს, პრეზიდენტის დაკვირვებით გარკვეული ხელშემწყობი პირობების შეთავაზების შემთხვევაში – ადვილად შეუძლია ადამიანური მეობის დათმობა და მასში ცხოველური ინსტიქტების წინ წამოწევა. რასაც თურმე – ფიზიკური გარეგნობის შეცვლაზეც შეუძლია გავლენის მოხდენა და სწორედ აქ, მიღწეული შედეგებით იმედი აქვს, რომ ის საქართველოდან პირველი ნობელის პრემიის ლაურეატი გახდება. ვინაიდან, ჯერ მსოფლიოში მეცნიერულ დონეზე, თუ არ ჩავთვლით ფანტასტიკური ჟანრის მხატვრულ ლიტერატურასა და კინოს, არ არის მაგალითი იმისა, რომ ვინმეს ადამიანები მაიმუნად გადაექცია.

იგი წერს, – რომ ამაყია თავისი ჩანაფიქრით, ძალასა და ენერგიას არ დაიშურებს, რათა ეს ამდენი ხნის ოცნება ბოლომდე მიიყვანოს. იმ რვა წლის განმალვობაში რაც პრეზიდენტი ვარ შენიშნავს ის, საქართველოში ვზრდი და ვზრდი უმუშევრობას, ფასებსა და გადასახადებს, შიმშილსა და სიდუხჭირეს – პარალელურად კი შეუქცევადი ხასიათი მიიღო ქართველთა გამაიმუნების პროცესმაც; და ეს ყველაფერი იმ დროს – ხაზი გაუსვა მან, როდესაც ადამიანების გამრავლების ტემპი და მოცულობა – მალე საფრთხეს შეუქმნის მსოფლიოს, ვინაიდან საარსებო საშუალებები, სულ იკლებს და იკლებსო. იგი წერს: რა სწორი იყო თომას მალთუსი, როდესაც ჯერ კიდევ XVIII–ში გვაფრთხილებდა ჭარბი მოსახლეობის საფრთხის შესახებო. მოჰყავს თავისი არაერთხელ გაჟღერებული აზრი იმის შესახებ, რომ ჩინეთსა და ინდოეთში ადამიანებმა ჭამას მოუმატესო. ვერ გამიგია მათი მთავრობებიც ამ პროცესს ხელს რატომ უწყობენო. ერთადერთი მე ვარ მსოფლიო ლიდერთა შორის, ვისაც თავისი ხალხის გამაიმუნება სურსო; ჩემს ექსპერიმენტს – აგრძელებს ის, გარდა წმინდა თეორიული, დიდი პრაქტიკული მნიშვენლობაც აქვსო. მაგალითად მოჰყავს ასეთი აზრი – მსოფლიოში შეინიშნება მაიმუნთა მთელი რიგი სახეობების პოპულაციის შემცირება, მრავალი ქვეყნის არაერთ ზოპარკში ვყოფილვარ და მინახავს, რომ მაიმუნების ვოილერების უმრავლესობა ცარიელიაო.

იგი აღნიშნავს, რომ ქართველი ხალხის გამაიმუნების პროცესში წარმატების მისაღწევად მთავარია ხელსაყრელი გარემო პირობების შექმნა. ანუ მიტინგების, ხალხმრავალი აქციებისა და დემონსტრაციების მოწყობა – რაც შეიძლება თბილ და ფოთლებგაშლილი ხეების პერიოდში, ის გულისტკივილით წერს, მას რომ ტროპიკული გარემო ჰქონოდა ჩვენ – ქართველები უკვე კარგა ხნის წინ ვეყოლებოდით სხვადასხვა ტოტებზე მოქანავე სიტუაციაში. მეო, შენიშნავს ის – ჩემებს მივეცი განკარგულება, ხეებზე მიტინგების ჩატარების სიახლოვეს, ყველგან იყოს ჩამოკიდებული თოკები და გრილიანდები, რომ აცოცების სურვილის გაჩენის შემთხვევაში – რაიმე დაბრკოლება არ შეექმნათო.

პრეზიდენტს არაერთხელ უნახავს და კმაყოფილი წერს, რომ მიტინგებზე თუ შეკრებებზე ქართველების ნაწილი ქცევის სხვადასხვა წესებს ავლენენ. ზოგს უჩნდება მოთხოვნა სწრაფად აძვრეს შემაღლებულ ადგილზე, ზოგიც ხეებსა თუ ბოძებზე მიძვრება. პრეზიდენტს ეს თავისი ჩანაფიქრის წარმატებულად მიმდინარეობის პირველ დადებით ნიშნად მიუჩნევია.



ამასთან, იგი აღნიშნავს – რომ ქართველებისათვის დამახასიათებელი გახდა მიტინგებზე მზესუმზირის ჭამა–ნარჩენების იქვე ქუჩაში დაყრა. ხოლო როდესაც ყველაფრის უფლება მივეცი, გადავწყვიტე გამერკვია ჩემი ექსპერიმენტი სანამდე იყო მისული, აღმოჩნდაო, რომ ამ საქმეში ძალიან წინ წავსულვარ, მოიტანეს გალიები და არავის არ უთხოვია ისე, თვითონ გაუჩნდათ სურვილი შიგნით შემძვრალიყვნენო. ვუყურებდი ყოველივე ამას – იხსენებს ის–თვალები სიხარულის ცრემლით მჰქონდა სავსე. მივხვდი, რომ სწორ გზაზე ვიდექიო. ხოლო მერე მოსაქმება – იქვე შუა ქუჩაში, რომ დაიწყეს და ხეს ამოფარებაზეც არ იწუხებდნენ თავს, მაშინ კი დავასკვენი – ქართველების გამაიმუნების პროცესი ჩემი უკუშეუქცევადი მიღწევაა, დავჯექი და ამ მონოგრაფიის წერაც დავიწყეო.

პრეზიდენტი საგანგებოდ უსვამს ხაზს თავის ასეთ დაკვირვებას – ადრეულ ეტაპზე ჩემი ქართველებისათვის, როგორც საზოგადოდ ადამიანებისათვის დამახასიათებელი იყო მოქმედებებისაკენ ერთობლივი სწრაფვა. მოგვიანებით კი ჩემი ექსპერიმენტის სულ უფრო და უფრო ძალაში შესვლასთან ერთად მოხდაო ამ თვისების თანდათანობით მივიწყება და გადავიდნენ მაიმუნებისათვის დამახასიათებელ ჯოგურ მოქმედებაზე, ანუ სახეობების მიხედვით გადანაწილდნენ, ცალ–ცალკე ჯგუფებად გაიყვნენ და ასე დაიწყეს მიტინგებზე სიარულიო.

აქაც მის დაკვირვებულ მზერას, როგორც თვითონ წერს, არაფერი გამოპარვია და შეუნიშნავს, რომ ქართველთა უკუ ევოლუციის მისეული ექსპერიმენტი სხვადასხვა ვარიაციებსა და თავისებურებებს გვთავაზობს, დანაწევრებულ ქართველებსაც ქცევის მათთვის დამახასიათებელი, განსაკუთრებული წესები აუთვისებიათ. პრეზიდენტიც მივიდა და მოახდინა ამ ყველაფრის კლასიფიკაცია. მაგალითად, მისი აზრით:

ლეიბორისტული პარტიის მომხრეებისაგან – გამოვლენ მშვენიერი მაკაკები, იმიტომ რომ ამათთვის დამახასიათებელი გამხდარა ხმაურიანი ცხოვრება, ერთი ადგილიდან მეორეზე სწრაფი გადაადგილება, ნაციონალებზე თვალთვალი და მათთან ახლოს ყოფნის სურვილი, რამე რომ არ გამოეპაროთ.

ქართული პარტიის წევრებისაგან – ის თვლის, რომ გამოვლენ მშვენიერი ბაბუინები – ამათთვის ბუნებრივი ნიშნებია – აგრესიულობა, ისინი ყველაფერს მიირთმევენ, მათ შორის ხორცსაც. ნაციონალებს ხელიდან გვტაცებენ ასე ნალოილავებ ლუკმასო, აქვთ დიდი ეშვები და არც კბენაზე ამბობენ უარსო.

ახალი მემარჯვენეებიდან, როგორც იგი წერს – მივიღებთ ძალიან კარგ შიმპანზეებს. მას ეს სახეობა ყველაზე მეტად მოწონს და აღნიშნავს – შიმპანზეები მაიმუნებს შორის გამოირჩევიან თავისი ინტელექტით, საკვების მოპოვების დროს შეუძლიათ ჯოხი, ქვა და სხვა პრიმიტიული საშუალებებიც გამოიყენონ. დამყოლები არიან და წვრთნასაც კარგად ემორჩილებიანო. იმედი აქვს, რომ ექსპერიმენტის ბოლოს ამათზე დიდი მოთხოვნა იქნება მსოფლიოს სხვადასხვა ზოოპარკებიდან.

ნ. ბურჯანაძეს აყოლილებისაგან კი, როგორც გამოარკვია, გამოვლენ ორანგუტანები. ეს სახეობა დიდი ჭკუით არ გამოირჩევაო. სამაგიეროდ ამტანები არიან, ყველანაირ გარემო–პირობებს ადვილად ეგუებიან. უყვართ, როდესაც ცემენ და სირბილიც კარგად ეხერხებათო.

არც ერთი მაიმუნის სახეობა არ გამორჩენია და არც ერთი მისთვის არასასურველი პარტია თავის მომხრეებიანად. მაგრამ მარტო მათ ჩამოთვლა–დახასიათებას წიგნში მთელი თავები აქვს დათმობილი. მე კი ვჩქარობ, რომ ეს ამბავი თქვენამდე დროზე მოვიტანო და ამიტომ თითოეულ მათგანზე ვერ შევჩერდები. რაც მთავარია – მისი განზრახვა, ვფიქრობ, სრულად გადმოვეცი.

ჩვენი პრეზიდენტი თავისი დაკვირვების შესახებ სისტემატიურად უგზავნის წერილებს მსოფლიოს ცხოველთა დაცვის ორგანიზაციებს, იქიდანაც იღებს აღფრთოვანებულ პასუხებს, რომელთა ნაწილი თავის წიგნშიც აქვს მოტანილი. თუმცა ბოლოს მიღებული თანხის რაოდენობაზეც ჩივის და სახელმწიფო დეპარტამენტს შეახსენებს – ეხლაო, როდესაც ექსპერიმენტი ფინიშის სწორზეა გასული და საბოლოო გამარჯვებამდე ასე ცოტა დარჩა – მსოფლიოს ზოოპარკები სხვადასხვა სახეობის ქართველი მაიმუნებით რომ გაივსოს, სენატისაგან იქნება ეს თუ კონგრესისაგან, ჩემი ნაციონალებისათვის ფულის გამოყოფაზე ჭოჭმანი საერთოდ დაასამარებდა ამდენი წლის მონდომებასა და თავდადებასო.

ფულზე თავისი მოთხოვნების გასამყარებლად – პრეზიდენტს წერილში სახელმწიფო დეპარტამენტისადმი და თავის წიგნშიც ექსპერიმენტის ასეთი შედეგიც მოაქვს. ის წერს – – ამყოფებს რა ქართველებს წლების განმავლობაში უმუშევრობასა და შიმშილის პირობებში, მისი დაკვირვებით – ქართველ ხალხს შეუმცირდა თავის ქალის მოცულობა, ბუნებრივიაო, ასკვნის ის, რომ ამას თან სდევს ტვინის მასის შემცირებაცო.

ასევე მისი მეცადინეობით – უმუშევრობა, შიმშილი და მუდმივი წანწალი საკვების საშოვნელად იწვევს, თურმე ჩვენი ქვედა კიდურების განვითარებას, ის წერს, რომ თუ ადრე ამათი წინაპრები ხეებზე ცოცავდნენ და დახტოდნენ, რამაც ზედა კიდურების განვითარებას შეუწყო ხელი. ახლა კი, როგორც შედეგებიდან ჩანს, სწრაფი ტემპით მიმდინარეობს ქვედა კიდურების განვითარება. მაგრამ, ვინაიდან ეს საკმარისი არ არის ხეებზე ამათ დასაბრუნებლად ასეთი ხერხი მოვიფიქრეო. მივედი და ქალაქებში ნაგვის ღრმა ბუნკერები დავდგიო. ჩემი ქართველების დიდი ნაწილი ხომ შიგნით იქექება. ჩვენ ნაციონალები კარგად რომ გამოვძღებით – ნარჩენებს ბუნკერის ძირში ვისვრით, ესენი იმას რომ მიწვდნენ, იძულებული არიან ხელები მაქსიმალურად დაჭიმონ, რაც დროთა განმავლობაში მშვენიერი მასტიმულირებელი მოტივია ამათი ზედა კიდურების წაგრძელება–განვითარების საქმეშიო. ამას ისევ მათივე სიკეთისათვის ვაკეთებთ, ერთ მშვენიერ დღეს ხეებს რომ დაუბრუნდებიან, თუნდაც ზოოპარკში – გადაადგილება არ გაუჭირდეთ!

მადლობის მეტი რა გვეთქმის – ზოოპარკში მოწყენილები ერთ ადგილზე რომ არ ვიჯდეთ, – პრე- ▶

# სანდუხაძის გვარის წარმოშობა

ყოველ გვარს გააჩნია თავისი წარმოშობის ისტორია, თქმულება თუ ლეგენდა, რომლებიც სათავეს იღებენ საუკუნეთა მიღმა. გამონაკლისი, არც სანდუხაძის გვარია.

წარსულში, გვარ-სახელებს ამ გვარისათვის დამახასიათებელი ნიშან-თვისების მიხედვით ანიჭებდნენ. გვარები ჩნდებოდნენ, აგრეთვე წარმომავლობისა და ხელობის, საქმიანობის მიხედვითაც.

გადმოცემებით, სანდუხაძის გვარი გაჩენილია ამ მოდგმისათვის დამახასიათებელი ნიშან-თვისების მიხედვით. ჩვენი გვარის წინაპრების ხსოვნაში ასეთი რამაა დარჩენილი:

გვარი სანდუხაძე წარმოიშვა გარდაფხაძეების სახლიშვილებისაგან. ამ გვარის სახლიშვილები - ორი ძმა დასახლებულა ოკრიბაში, დღევანდელ სოფელ ანტორიაში (ტყიბულის რ-ნი). თემში ძმებს მალე გაუთქვამთ სახელი, როგორც პატიოსან და სანდო ადამიანებს, რისთვისაც ხალხს მათთვის სანდო ხალხი უწოდებია. პირვანდელი სახე ამ გვარისა ყოფილა სანდოხაძე. დროთა განმავლობაში სიტყვის ფუძეში მყოფი ო შეცვლილა „უ" ხმოვნით და ამ გვარის შვილების აბსოლუტური უმრავლესობა დღეს ატარებს გვარ სანდუხაძეს. ეს ცვლილება, არც თუ დიდი ხნის წინ უნდა იყოს მომხდარი, რადგან ჩემი მამა დაბადების მოწმობისა და პასპორტის მიხედვით იყო სანდოხაძე, ასევე ჩემი დაც დაბადების მოწმობის მიხედვით არის სანდოხაძე. ჩვენთვის ცნობილია სანდოხაძის ფორმით გვარის მატარებელი ფეხბურთელი ნიკა სანდოხაძე, რომელიც ახალგაზრდულ ნაკრებში თამაშობს.

არსებობს ასევე თქმულება, რომელიც, როგორც სჩანს, უნდა მოდიოდეს ხრესილის ომის დროიდან. ქართველთა ჯარი ემზადებოდა გადამწყვეტი ომისათვის. ოკრიბაში მყოფი ყველა ციხე სათანადოდ ყოფილა გამაგრებული. სოლომონ პირველს უკითხავს ერთ-ერთი ციხის შესახებ და მისთვის მოუხსენებიათ, რომ ეს ციხე სანდო ხალხის ხელშია და დაუმშვიდებიათ. ამირეიდან იმ ციხის მცველ გვარს შერჩა ეს სახელი „სანდო ხალხი".

მართალია, ლეგენდები ხალხური ზეპირსიტყვიერების შედეგად იქმნება, მაგრამ არ არსებობს ლეგენდა თუ თქმულება, რომელიც მომხდარის ან არსებულის ნიადაგზე არ იყოს შექმნილი.

ახლა ცოტა რამ ამ გვარის საცხოვრებელი მხარის ოკრიბის შესახებ:

ოკრიბა წყაროებში პირველად 1071 წელს იხსენიება. სახელწოდება მომდინარეობს ლაზური „კირიბ" სიტყვიდან, რაც ბატკანს ნიშნავს. ხალხში გავრცელებული ლეგენდის თანახმად სოლომონ მეფეს ჩაუვლია ოკრიბის ტერიტორიაზე, ბევრი ხალხი უნახავს ერთად თავმოყრილი და უთქვამს „ვო კრებაო" და ამის შემდეგ ჰქვია ოკრიბაო.

ისტორიული ოკრიბა ცაგერის, ხონის, წყალტუბოს, თერჯოლის რაიონების ნაწილსაც მოიცავდა. დღევანდელი ოკრიბა მხოლოდ ტყიბულის რაიონს წარმოადგენს.

თვით ტყიბულიც კოლხური წარმოშობის ტოპონიმია - ტყაშბული - ტყიშბული - ტყიბული / ტყის ბალი. ოკრიბაში მრავლადაა შემორჩენილი კოლხურ-მეგრული ტოპონიმები, რაც იმაზე მიუთითებს, რომ ეს მხარე კოლხური არეალის ნაწილი იყო.

აღსანიშნავია ისიც, რომ ოკრიბაში თავმოყრილია გვარები თითქმის მთელი საქართველოდან. აქ შეხვდებით სვანურ,რაჭულ, ლეჩხუმურ, აფხაზურ, გურულ, აჭარულ, მეგრულ, იმერულ და აღმოსავლეთ საქართველოდან მიგრირებული გვარების შვილებს. ასე რომ ეს მხარე მართლაც არის მთელი საქართველოს გვარების საკრებულო. არსებობს აგრეთვე ერთ სტროფიანი ლექსიც, რომელშიც ეს კრებულია გადმოცემული:

„ღმერთმა ყოლიფერი კაი
ყველა ერთად მოკრიბაო,
მიტო მიყვარს ჩემი მხარე
საყვარელი ოკრიბაო".

სვანურ გვართა შორის მოიხსენიება, აგრეთვე გვარი სანდუხაძე, ოკრიბაში არსებული გვარების 11 პროცენტი სვანური წარმომავლობისაა, რაიც უფრო ამაგრებს ჩვენს მიერ მოყვანილ ვერსიას.

ჟურნალ „თბილისელების" № 52 დაიბეჭდა ქართული გვარების მოკლე ისტორიული მონაცემები, მათ შორის მოხსენიებულია გვარი სანდუხაძე. აი ისიც:

„სანდუხაძე

გვარის ფუძეა სიტყვა სანდუხა.

მიუხედავად დიდი ძიებისა, ჯერ არ არის გარკვეული, რას უნდა ნიშნავდეს ამ გვარის ძირი. სავარაუდოდ, საქმე უნდა გვქონდეს სიტყვა სანდოსთან, საიდანაც წარმოიშვა საკუთარი სახელი სანდუა, მისგან კი მოფერებით-კნინობითი ფორმა სანდუხა.

ასევეა წარმოქმნილი გვარები: სანდაძე, სანდოძე, სანდოშვილი, სანდომისაშვილი.

საქართველოში 243 სანდუხაძე ცხოვრობს: ქუთაისში – 150, ტყიბულში – 35, თბილისში – 26. არიან სხვაგანაც."

ჩვენი გვარის შვილები ცხოვრობენ, აგრეთვე სამეგრელოში, ზუგდიდის რაიონის სოფელ ორსანტიაში სამი ოჯახი, რომელიც განაყოფია ამ სოფელში მე-20-ე საუკუნის დასაწყისში ჩასახლებული ისმაილ სანდუხაძის ოჯახისა, ისმაილ სანდუხაძის ერთ-ერთი ძე ბაგრატ სანდუხაძე დასახლდა მოსკოვში. დღეს ის არის რუსეთის სოფლის მეურნეობის აკადემიის აკადემიკოსი, ხელმძღვანელობს ამავე აკადემიის კვლევით ლაბორატორიას, ბაგრატ სანდუხაძე ითვლება ამ დარგის ერთ-ერთ თვალსჩინო წარმომადგენლად. მასთან ერთად ამ ლაბორატორიაში მოღვაწეობს მისი ძმისშვილი, ცნობილი მესიმინდისა და სელექციონერის კონსტანტინე სანდუხაძის ვაჟი ემზარ სანდუხაძე.

ტყიბულის რაიონის სოფელ ანტორიაში, სანდოხაძე -სანდუხაძეთა გვარის ფუძეზე შემორჩენილია ამ გვარის სალოცავი ქაშუეთის წმინდა გიორგის ეკლესია საგვარეულო სასაფლაოთი.

აღსანიშნავია ისიც, რომ ოკრიბის მოსახლეობის უდიდესი ნაწილი წარმოადგენდა სამეფო და საეკლესიო მიწაწყალზე მცხოვრებ გლეხობას. ორკიბის ადგილ-მამულების დიდ ნაწილს ფლობდა საბერძნეთსა და სირიაში არსებული ქართული ეკლესია -მონასტრები, სამწუხაროდ ჩვენთვის აღარაა ცნობილი, თუ რომელი მონასტრის ქვეშევრდომებს წარმოადგენდნენ ჩვენი წინაპრები.

ასეთია ჩვენი გვარის წარმოშობის ისტორია, რომელიც წინაპრებისაგან შემორჩა მამაჩემის სერგო (სერიოჟა) სანდოხაძის ხსოვნას.

აქვე მინდა ვაღიარო ჩემი ყმაწვილობის დროინდელი „ცოდვაც", დაბადებით მეც, ჩემი მამისა და დის მსგავსად, სანდოხაძე ვიყავი მეათე კლასამდე. პასპორტის აღებისას ჩემი ბიძაშვილების წამხედურობით მეც შევაცვლევინე ასო-ნიშანი ო უ-თი, რაზეც მაშინ ერთერთმა მასწავლებელმა მიმითითა - რად აკეთებ ამას, შეიძლება ეს მომავალში სანანებლად გაგიხდეს-ო. რასაც დღეს მართლაც ვნანობ.

**ალექსანდრე სანდ(ო)უხაძე**

## „ძლევამოსილი" პოლიცია, რომელმაც წვრილმანი ქურდობა ვერ გახსნა

ივლისის თვეში, პროფესიონალმა კრიმინალმა ლეონიძის ქ. №6–ში განთავსებული მიკრო–მაღაზია გაქურდა – 500 ლარი გაიტაცა. მიკრო–მაღაზიის ახალგაზრდა მეპატრონის მიერ შეტყობინება მაშინვე შევიდა საპატრულო პოლიციაში.

მინისტრ მერაბიშვილის ყბადაღებულ რეფორმირებულ–ძლევამოსილ პოლიციას, რომელსაც დღეს, მართლაც რომ ყველა რესურსი გააჩნია ნებისმიერი კრიმინალური დანაშაულის გახსნისა, ქურდი დღემდე ვერ უპოვია. მიუხედავად იმისა, რომ ქურდობის ობიექტი 24 საათის განმავლობაში კონტროლირებულია მრავალმხრივი ვიდეო–თვალით, ქურდის ვინაობა ოთხი თვის შემდეგაც ვერ იქნა დადგენილი. ამგვარი ვითარება ცხადჰყოფს, რომ მერაბიშვილის ძალოვანი სტრუქტურები, ოპერატიულობით სულაც ვერ წასულან წინ




შევარდნაძისეული საგამომძიებლო სტაგნაციისაგან. თუმცა, პოლიციაზე, სახელმწიფო ბიუჯეტიდან 10–ჯერ მეტი ფინანსები იხარჯება, ვიდრე სამხედრო თავდაცვასა და ჯანდაცვაზე. მინისტრი მერაბიშვილი, იმისათვის, რომ „პოლიციის რეფორმატორის" ნომერ პირველი ადგილი, ლამის მსოფლიოში დაიმკვიდროს, საბჭოური მენტალიტეტით ჩქმალავს ქვეყანაში დანაშაულობათა რეალურ მაჩვენებლებს და მინიმუმამდე ამცირებს მათ, რათა სახელმწიფო ბიუჯეტიდან უწყვეტად უზრუნველყოს მსუყე დაფინანსება, რაც პოლიციელების მაღალ ხელფასებს, ძვირად ღირებულ მანქანებს და კომფორტულ შენობა–ნაგებობებში მუშაობას ხმარდება. არასამთავრობო ორგანიზაციების მხრიდან, კონტროლის შეუძლებლობის გამო, შეუზღუდავია შინაგან საქმეთა სამინისტროს ფინანსების განკარგვისა და ხარჯვის პროცესი.

მართალია ვ. მერაბიშვილმა უკომპრომისო ბრძოლა გამოუცხადა „კანონიერ ქურდებს", მაგრამ მხოლოდ იმიტომ, რომ შეესუსტებინა, ხოლო საბოლოოდ კი თავიდან აეცილებინა „კანონიერი ქურდების", როგორც შავი ფულის წყაროების გავლენა ხელისუფლებაზე, რაზეც ეს მაფიური კლანი ყველა დროში აცხადებს პრეტენზიას.

სააკაშვილ–მერაბიშვილმა, ხელისუფლებაში მოსასვლელად, „კანონიერი ქურდების" ფინანსური რესურსები სრულად გამოიყენა და შემდეგ, როგორც კლასი, მოსპო ან ქვეყნიდან გააძევა ისინი. ხოლო, ჩვეულებრივი ქურდები კი მათთან მოთანამშრომლე სუბიექტებად აქცია, რომლებსაც მხოლოდ მაშინ დაიჭერს, როცა მოეპრიანებათ ან მათი თანამშრომლობის საჭიროება არ იარსებებს.

არ არის გამორიცხული, ლეონიძის ქ. №6–ში მომხდარი ქურდობის „გაუხსნელობა", სწორედ ამგვარი პრაგმატული მიზეზით იყოს განპირობებული **(რედ.)**

◀ ზიდენტი აქედანვე ზრუნავს ჩვენი ფიზიკური კონდიციის ამაღლებაზე, რომ კარგი ხტუნვა თავიდანვე შეგვეძლოს. ის აღნიშნავს, დარვინის თეორიიდან განსაკუთრებით საყურადღებოა მისი მითითება იმის შესახებ, რომ არსებობისათვის ბრძოლაში გადარჩენის მეტი შანსი აქვთ იმ სახეობებს, რომლებიც უფრო ძლიერი და ამტანები არიანო, ამ მხრივ, ირწმუნება პრეზიდენტი – არანაირი პრობლემა ევროპულ ზოოპარკებს მომავალში არ ექნებათ. თუ აფრიკიდან ჩამოყვანილი ნატურალური მაიმუნები, როგორც წესი დიდხანს ვერ ძლებენ და მალე იხოცებიან. საპირწონედ, ჩემი გამოყვანილი ქართველი მაიმუნები ნახეთ როგორი ამტანები და სიცოცხლის უნარიანები იქნებიანო და აქ ევროპელი, თუ ამერიკელი სპეციალისტების დასარწმუნებლად ასეთი მაგალითი მოყავს. ერთი წარმოიდგინეთ, თქვენს ხალხს 100 ლარიანი პენსია მისცეთ, ყოველთვე გადასახადები მოუმატოთ, 80 პროცენტი სიღარიბის ზღვარს ქვემოთ ამოყოფოთ, უმუშევრობასა და სიღატაკეში ამოხადოთ სული – რა შედეგი გექნებოდათ? 2–3 წელიწადში მათ საფლავებზე ჯუნგლები იშლიგინებდა. მე კი, ყველაფერ ამას აქ ვუკეთებ ქართველებს და არა თუ იხოცებიან, პირიქით მხნედაც გამოიყურებიან და ხშირად მიშა–მიშასაც მეძახიან. გასაკვირია ამათი ამბავიო. ასე რომ, თქვენ დაფინანსება არ მომაკლოთ და დანარჩენი ჩემზე იყოს, ნახეთ რა ცქვიტ და ჯიშიან მაიმუნებს გამომგიზავნითო.

ბოლოს ასე აჯამებს თავის ნამოღვაწარს: მეო, ეროვნული მუზეუმის დირექტორს საგანგებო დავალება მივეცი – ამტკიცოს ვითომ მაიმუნები სწორედ აქ ჩვენთან დმანისში გადაიქცნენ ადამიანებად. ნაციონალური არხები დღეში ათჯერ მაინც ატრიალებენ ამ ინფორმაციას – შორს მიმავალი ჩემი ზრახვებით. კერძოდ, ქართველის ცნობიერება უნდა გაიჟღინთოს იმ აზრით, რომ ის იყო პირველი მაიმუნი, რომელიც ადამიანად იქცა. აქედან კი დასკვნა ისტორიულად ისევ მას ეკუთვნის პირველობის მანტია გახდეს ადამიანი, რომელიც ახლა მაიმუნად უნდა გადაიქცეს. რასაც ვახორციელებ კიდეცო.

მე, ჩემო ძვირფასო ქართველო! რაც შემეძლო ყველაფერი გავაკეთე – ვიკივლე, ვიწივლე, გაგაფრთხილე. ახლა არჩევანი შენზეა, – პირველი თუ დროზე გამოფხიზლდები და მიხვდები, რომ მაიმუნი არა ხარ, ხომ კარგი. არ იზამ ამას, მაშინ, – მეორე! გააგრძელე ამათი წესით ცხოვრება, დაელოდე ას ლარიან პენსიას, იმაიმუნე არსებობის შესანარჩუნებლად და თუ „გაგიმართლებს" იქნება, რომელიმე ზოოპარკში მართლაც ამოჰყო თავი!

**ცხოველთა დაცვის ექსპერტი, შეფიცული**

# 20 წელი ერთი სიცრუიდან



1991 წელმა საქართველოს სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის აღდგენა მოუტანა. სსრ კავშირი ირღვეოდა და ამ რღვევის პროცესში თავისი როლი 18–21 აგვისტოს რუსეთის მოვლენებმაც შეასრულა. ГКЧП-ს მცდელობა გარდატეხა შეეტანა მიმდინარე მოვლენებში ქმედითი გამოდგა, მაგრამ არა სსრკ–ს შენარჩუნების, არამედ მისი დაშლის პროცესის დაჩქარების თვალსაზრისით. საგანგებო მდგომარეობის სახელმწიფო კომიტეტმა სცადა არ დაეშვა ახალი სამოკავშირეო ხელშეკრულების დადება, რისი ჩაშლით დაინგრა ისიც, რაც მანამდე კრავდა სსრ კავშირს.

ГКЧП–ს მიზნები სერიოზული იყო და ამ მიზნების განსახორციელებლად სრულიად სერიოზული ძალებიც იყო მობილიზებული, არა მარტო სსრკ–ს ცენტრში, არამედ ბალტიის, კავკასიის რესპუბლიკებში, მოლდოვასა და უკრაინაში.

საქართველოს მიერ 1991 წლის 31 მარტის საერთო–სახალხო რეფერენდუმმა მტერსაც და მოყვარესაც აჩვენა, რომ სახელმწიფო დამოუკიდებლობის აღდგენა, მართლაც, საერთო სახალხო მხარდაჭერის საფუძველზე მიმდინარეობდა.

სსრკ–ს ტერიტორიაზე პირველი და ერთადერთი მრავალპარტიული დემოკრატიული არჩევნები 1990 წლის 28 ოქტომბერს გაიმართა. ბალტიის რესპუბლიკებშიც კი არჩევნები მრავალპარტიული არ ყოფილა. იყო დემოკრატიული და მრავალკანდიდატიანი, მაგრამ არა მრავალპარტიული. ეს ნათლად ადასტურებს რომ საქართველო დემოკრატიული პროცესების მოწინავე იყო. ეს მართლაცდა რევოლუციური ცვლილება გახლდათ, რადგან მრავალპარტიული პარლამენტის მრავალპარტიული არჩევნებით იყო არჩეული.

იქ, სადაც რევოლუციური ცვლილებაა წინაღობაც არის, ეს წინაღობა შეიძლება იყოს მხოლოდ პოლიტიკურიც, მაგრამ ქართველი ხალხისა და ქართული დემოკრატიის საუბედუროდ, წინააღმდეგობა ძალადობრივი აღმოჩნდა. საქართველოს პირველი მოწვევის უზენაესი საბჭოს პირველი სესიის გახსნისთანავე, 1990 წლის 14 ნოემბერს კახეთის რეგიონში მილიციის რაიონულ განყოფილებებზე შეიარაღებული ბანდიტური თავდასხმები განხორციელდა, რითაც ჩვენი ქვეყნის დამოუკიდებლობისა და ერთიანობის მტერსაც და მოყვარესაც დაანახეს, რომ ეს რესპუბლიკა და მისი ხალხი დაუცველი იყო პოლიტიკური თუ კრიმინალური ბანდიტიზმისაგან. აღნიშნული ბანდიტური რეიდი ადასტურებდა, რომ მრავალპარტიულ, წარმომადგენლობით დემოკრატიას სწრაფად უნდა მიეღო ზომები კონსტიტუციური კანონიერების, მართლწესრიგის დასაცავად.

1990 წლის 15 ნოემბერს საქართველოს რესპუბლიკის უზენაესმა საბჭომ მიიღო დადგენილება „ადამიანის უფლებათა დაცვისა და მართლწესრიგის განმტკიცების შესახებ“, რომლის მე–3 პუნქტში აღინიშნა: „საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროსთან შეიქმნას მართლწესრიგის განმტკიცებისა და დამნაშავეობის წინააღმდეგ ბრძოლის სპეციალური შინაგანი ჯარის დანაყოფები, რომლებიც ძირითადად დაკომპლექტდება სავალდებულო სამხედრო სამსახურში გასაწვევი მოქალაქეებით“.

1990 წლის 20 დეკემბერს მიღებულ იქნა კანონი „საქართველოს რესპუბლიკის შინაგანი ჯარების – ეროვნული გვარდიის შექმნის შესახებ“. ამ კანონის პირველივე მუხლში აღინიშნა: „საქართველოს რესპუბლიკის შინაგან საქმეთა სამინისტროსთან შეიქმნას შინაგანი ჯარები – ეროვნული გვარდია“, ეს პუნქტი ერთმნიშვნელოვნად აბათილებს 1991 წლის 18 აგვისტოს შემდეგ გავრცელებულ სიცრუეს, თითქოსდა „გვარდია არ შედიოდა და არ ემორჩილებოდა შინაგან საქმეთა სამინისტროს“. ამ სიცრუემ იმ დროს სამწუხაროდ ავად იმუშავა და ბევრი ისეთიც გააბრიყვა, რომელსაც წესის მიხედვით ეს სიცრუე სუფთა მონეტად არ უნდა მიეღო.

1990 წლის 28 დეკემბერს მიღებულ იქნა კანონი „კანონით გაუთვალისწინებელი შეიარაღებული ფორმირებების აკრძალვის შესახებ“, რის საფუძველზეც განიარაღდა ყველა ის, ვისაც კანონი კრძალავდა.

საქართველოს რესპუბლიკის პრეზიდენტის ინსტიტუტის დაფუძნების შემდგომ საქართველოს კონსტიტუციაში 1991 წლის 14 აპრილს ჩაიწერა:

მუხლი 1214. საქართველოს რესპუბლიკის პრეზიდენტი:

14) კოორდინაციას უწევს სახელმწიფო ორგანოების საქმიანობას ქვეყნის თავდაცვის უზრუნველყოფისათვის; არის საქართველოს რესპუბლიკის საჯარისო ფორმირებების უმაღლესი მთავარსარდალი;

15) ყოველწლიურად განსაზღვრავს სამხედრო სამსახურში გასაწვევ პირთა რიცხვს;

16) ანიჭებს სამხედრო წოდებებს;

17) ნიშნავს თანამდებობებზე სარდლებსა და გენერლებს;

მიღებულ იქნა დებულება: „საქართველოს რესპუბლიკის შინაგანი ჯარების – ეროვნული გვარდიის რიგებში სავალდებულო სამხედრო სამსახურის გავლის წესის შესახებ“ და დადგენილება „საქართველოს რესპუბლიკის შინაგან ჯარებში – ეროვნული გვარდიის რიგებში გაწვევის შესახებ“. დამტკიცდა საქართველოს რესპუბლიკის სამხედრო ფიცი. 1991 წლის 26 აპრილს დედაქალაქის ცენტრალურ სტადიონზე გაიმართა სამხედრო ფიცის მიღების ცერემონია. ფიცად ითქვა:

„მე, საქართველოს რესპუბლიკის მოქალაქე, შევდივარ რა რესპუბლიკის შეიარაღებული ძალების რიგებში, ღვთისა და ერის წინაშე საჯაროდ ვფიცავ პირნათლად ვემსახურო ჩემს სამშობლოს – საქართველოს.

ვფიცავ, ვიყო მამაცი, პატიოსანი, არ გავცე სამხედრო საიდუმლოება, დავემორჩილო სამხედრო წესდებას და მეთაურის ბრძანებას.

ვფიცავ, კეთილსინდისიერად შევისწავლო სამხედრო საქმე, ღირსეულად განვაგრძო წინაპართა მხედრული ტრადიციები, ვიყო ჩემი სამშობლოს ერთგული შვილი.

ვფიცავ, ბრძანებისთანავე იარაღით ხელში დავდგე საქართველოს სადარაჯოზე, სიცოცხლის უკანასკნელ წუთამდე ვიბრძოლო მტერზე გამარჯვებისათვის.

ძალა ღვთისა მწე ჩემდა იყოს აწ და მარადის!

ჩვენთან არს ღმერთი!“

ეს ფიცი სხვებთან ერთად თენგიზ კიტოვანმაც დადო, მაგრამ როგორც შემდგომ აღმოჩნდა, მისი მხრიდან ეს იყო მხოლოდ თვალთმაქცობა, იგი როგორც საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს დეპუტატი იყო ერთ–ერთი პირდაპირი თანამონაწილე ყველა იმ დადგენილების და კანონის მომზადება–მიღებისა, რამაც საფუძველი ჩაუყარა საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროსთან შინაგანი ჯარების – ეროვნული გვარდიის შექმნას. ეს ნათლად ადასტურებს, რომ როდესაც იგი ცრუობდა რომ თითქოსდა პრეზიდენტმა „გვარდია შსს–ს დაუმორჩილა“, ზუსტად იცოდა, რომ ეს სიცრუე იყო დანაშაული და სამშობლოს ღალატი, სამხედრო ფიცის ურცხვი გატეხვა.

საქართველოს რესპუბლიკის პრეზიდენტმა ზვიად გამსახურდიამ 1991 წლის 21 მაისის ბრძანებულებით სამართლებრივი და სოციალური დაცვით უზრუნველყო სსრ კავშირის შეიარაღებული ძალების რიგებიდან გამოსული ქართველი ოფიცრები, პრაპორშჩიკები, მიჩმანები და ზევადიანი სამსახურის სამხედრო მოსამსახურეები. ეს კი ცხადყოფს, რომ პრეზიდენტი ზრუნავდა ქვეყნის თავდაცვის უზრუნველყოფაზე იმ ადამიანების სამართლებრივი და სოციალური დაცვის უზრუნველყოფით, ვინც უერთდებოდა სამშობლოს დამცველთა რიგებს.

აი ასეთ ვითარებაში შენდებოდა სახელმწიფოს ერთ–ერთი ინსტიტუტი.

ГКЧП-ს მხრიდან უმაღლეს სახელმწიფო–პოლიტიკურ ძალაუფლებაზე პრეტენზიის გამოთქმას, კონკრეტული ძალისმიერი ქმედებები მოჰყვა, ბალტიის რესპუბლიკები, მოლდოვა, უკრაინა და პირველ რიგში კი კავკასიის რესპუბლიკები უზარმაზარი რეპრესიული მანქანის წინაშე აღმოჩნდნენ. აგვისტოს პირველ რიცხვებში აშშ–ს პრეზიდენტმა ჯორჯ ბუშმა 50 მილიონიანი უკრაინის დამოუკიდებლობის პოლიტიკური პოზიცია კიევში საჯაროდ აბუჩად აიგდო. ამ ვითარებაში საჭირო იყო ГКЧП–ს რკინის მუშტისაგან რესპუბლიკების დაცვა, განსაკუთრებით საქართველოს რესპუბლიკის, რადგან მხოლოდ საქართველოს რესპუბლიკას ჰქონდა, საერთო–სახალხო რეფერენდუმით მხარდაჭერილი დამოუკიდებლობის აღდგენის პოზიცია. ეს არ ჰქონდა არც ბალტიის რესპუბლიკებს, არც მოლდოვასა და არც სომხეთს. სხვა რესპუბლიკებს კი მონაწილეობა ჰქონდათ მიღებული 1991 წლის 17 მარტს სსრ კავშირის შენარჩუნების მხარდამჭერ რეფერენდუმში.

ათასობით ქართველი ახალგაზრდის სიცოცხლე ბედის სასწორზე აღმოჩნდა. ГКЧП–ს უშუალო ემისარი, არმიის გენერალი შურალიოვი თბილისში იყო. მობილიზებული და შეტევისთვის სრულ მზადყოფნაში ჰყავდათ ცხინვალში, ხონში, თელავში მყოფი დამრტყმელი შვეულმფრენები M-24, ქუთაისში და ლაგოდეხში მყოფი სადესანტო–მოიერიშე ნაწილები, გორში მდგომი სატანკო კოლონა, ახალციხეში, ახალქალაქში, სოხუმში, ბათუმში მყოფი ქვედანაყოფები, ვაზიანის სამხედრო ბაზა და აეროდრომი. ამიერკავკასიის სამხედრო ოლქის შტაბში ბაზირებული იყო სსრ კავშირის სახელმწიფო უშიშროების კომიტეტის ამიერკავკასიის განყოფილების სპეცნაწილი. საფრთხე ემუქრებოდა არა უბრალოდ ხელისუფლებას, როგორც მაგალითად ბალტიის რესპუბლიკებში, არამედ ხალხს, საბრძოლო მომზადების არმქონე ათასობით წვევამდელს. ამ საფრთხის განეიტრალება შესაძლებელი გახდა 19 აგვისტოს პრეზიდენტის მიერ გამოცემული ბრძანებულების – „საქართველოს რესპუბლიკის შინაგან საქმეთა სამინისტროს შინაგანი ჯარების – ეროვნული გვარდიის რეორგანიზების შესახებ“ – საშუალებით. თენგიზ კიტოვანმა და არა მარტო მან, მიზანმიმართულად იწყო დეზინფორმაციის გავრცელება– არიქა „გვარდია გააუქმეს“, არიქა „გვარდია შსს–ს დაუმორჩილეს“. ბევრს, ვინც თავი მოიტყუა და მოტყუვდა, წაკითხულიც არ ჰქონდა ეს ბრძანებულება. მასში კი ნათქვამი იყო:

„1. საქართველოს რესპუბლიკის შინაგან საქმეთა სამინისტროს შინაგან ჯარებს – ეროვნულ გვარდიას მიეცეს განსაკუთრებული დანიშნულების მილიციის ქვედანაყოფის სტატუსი.

2. გაუქმდეს თავდაცვის სამთავრობო კომისია.

3. გაუქმდეს შინაგანი ჯარების – ეროვნული გვარდიის სარდლის თანამდებობა.

4. საქართველოს რესპუბლიკის შინაგან საქმეთა სამინისტროს განსაკუთრებული დანიშნულების მილიციის ქვედანაყოფის ხელმძღვანელობა დაეკისროს შინაგან საქმეთა მინისტრის მოადგილეს“.

დამცველი ფუნქცია ამ ბრძანებულებისა ზუსტი და მყარი აღმოჩნდა,. სისხლისღვრა არ მოხდა. 21 აგვისტოს ГКЧП–ს კრახი რეალობა გახდა. დაიწყო გოდება მათი, ვისაც ერთი სული ჰქონდა ათასობით ქართველი ახალგაზრდის დაღუპვა ეხილა, ოღონდაც ხაზი გადასმოდა 1991 წლის 26 მაისს ხალხის მიერ გაკეთებულ არჩევანს. იმდენად ეშურებოდნენ ამ მიზანს, რომ 1991 წლის 23 აგვისტოს პრეზიდენტის ბრძანებულება – თენგიზ კიტოვანის შინაგანი ჯარების – ეროვნული გვარდიის სარდლის თანამდებობიდან გათავისუფლების შესახებ, – მათთვის, ანტიკონსტიტუციურ შეიარაღებულ სახელმწიფო გადატრიალების გამამართლებელი „საბუთი“ გახდა. 26 აგვისტოს პრეზიდენტმა გვარდიას მოუხსნა განსაკუთრებული დანიშნულების მილიციის ქვედანაყოფის სტატუსი. თითქოსდა გვარდიის სტატუსზე მოამაგე ბატონები და ზოგიერთი ქალბატონიც უნდა დაოკებულიყვნენ, მაგრამ „გოდება“ გვარდიის სტატუსზე მხოლოდ უმნიშვნელო საბაბი იყო, რამაც საქართველოში „პანდორას ყუთის“ გამხსნელი გასაღების როლი შეასრულა. 20 წელი გავიდა ამ სიცრუის შემდეგ, ბევრმა წყალმა ჩაიარა და კიდევ უფრო მეტმა ქარტეხილმა. დღეს კიდევ ახალი პრობლემები დგას საქართველოს წინაშე, თითქოსდა, რაღა გასახსენებელია 20 წლის წინანდელი ამბები, მაგრამ 20 წლის წინ დაწყებული ანტიკონსტიტუციური შეიარაღებული სახელმწიფო გადატრიალება, თავისი დამანგრეველი შედეგებით, დღესაც წინაღობად უდგას ქვეყნის განვითარებას, მისი სუვერენიტეტი, ტერიტორიული ერთიანობა, ხალხის კეთილდღეობა, მისი მომავალი ამ სიცრუით არის დაჭრილი. მისი მკურნალი კი მხოლოდ სიმართლეა. ის სიმართლე, რომელიც მტერს აფრთხობს, მოკეთეს კი იმედს აძლევს რომ დაღმასვლას აღმასვლა შეცვლის.

ეს სიმართლე კი, პირველ ყოვლისა, მომავალ თაობას მისცემს წინსვლის ძალას.

ამიტომ უნდა ითქვას ხმამაღლა და აღარ უნდა მიიჩქმალოს!

**დავით არაბიძე**

# საკაშვილ-მერაბიშვილის დიქტატორული რეჟიმის ბრძოლა თავისუფალი პრესის წინააღმდეგ

„ჩვენ უნდა ჩვენი ვშვათ მყოობადი“

**განმათავისუფლებელი**

დამოუკიდებელი ეროვნული გაზეთი თბილისი, ლეონიძის ქ. №8, ტელ.: 92-36-55

№ 6 12 სექტემბერი 2011

პარლამენტის ადამიანის უფლებათა კომიტეტის თავმჯდომარეს

ბ-ნ ლაშა თორდიას

სახალხო დამცველს ბ-ნ გიორგი ტუღუშს

პარლამენტარ ბ-ნ დიმიტრი ლორთქიფანიძეს

გაზეთ "განმათავისუფლებლის" რედაქტორის განცხადება

საკაშვილ-მერაბიშვილის ტირანული რეჟიმი თითხნის "საქმეს" ჩემს წინააღმდეგ!

გაზეთი "განმათავისუფლებელი" ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის ერთადერთი (20 გვერდიანი) გაზეთია, რომელიც მწირი შემოწირულობებით ახერხებს გამოსვლას ყოველგვარი ოფისის, რეკლამის, ტექნიკური საშუალებების, რედკოლეგიისა და ფინანსების გარეშე. ხოლო მე ( რედაქტორი) ცარიელი ენთუზიაზმით ვმუშაობ. უკანასკნელ პერიოდში, საკაშვილის რეჟიმმა (საარჩევნო პრევენციის მიზნით) გაააქტიურა ჩემი დევნა-შევიწროება სა კუთარი მსტოვრების - ნაცმოძრაობის ამხანაგობის თავმჯდომარის დარეჯან მამულაშვილისა და პარიკმახერი მეზობლის, პოლიციის საიდუმლო თანამშრომლის, მაია ნოზაძის პროვოკაციული ქმედებებით, რომლებიც ახდენენ რა სოციალური კონფლიქტის ხშირ პროვოცირებას, სისტემატურად იძახებენ პატრულს და თითხნიან "საქმეს" ჩემს წინააღმდეგ. როგორც სჩანს, საკაშვილ-მერაბიშვილის დიქტატორულმა ხროვამ, აპრობირებული ბრალდებები (ჯაშუშობის, ნარკოტიკების, ტერორიზმის...) ჩემს, როგორც ჟურნალისტის მიმართ ვერ გამოიყენეს.

მ/წ. 1 აგვისტოს პატრულ დავით ჯაშიაშვილს აღმოაჩნდა "ოქმის" ცარიელი ბლანკი, რომელზედაც წინასწარ დასმული იყო ჩემი ხელმოწერა (?!), რაც მაშინვე ხმამაღლა გავაპროტესტე. კატეგორიულად ვაცხადებ, რომ პატრულისა და პოლიციის მიერ შედგენილ რაიმე ოქმზე ან სხვა დოკუმენტზე ხელი არასოდეს მომიწერია და მათზე დასმული "ჩემი ხელმოწერა" არის და იქნება ყალბი! ხოლო 8 აგვისტოს, პატრულმა კახა გიორგობიანმა მიწოდა "გიჟი" და დამემუქრა ფსიქიატრიულში გადაყვანით. წარმოგიდგენთ იმ პოლიციელების სიას, რომლებიც მთელი ზაფხულის განმავლობაში სისტემატურად მეჭრებოდნენ სახლში და მატერორებდნენ: კაკო აფციაური (უბნის ინსპექტორი), მერაბ ჯაფარიძე, დიმიტრი გაგოშიძე, ბესიკ გიორგაძე, იოსებ გომურაშვილი, კახა გიორგობიანი, დავით ჯაშიაშვილი, ელგუჯა ბადრიძე, დავით კომლაძე, დავით კვარაცხელია. 10 აგვისტოს ჩემს ბინაში შემოჭრილი

პატრულის ეკიპაჟი (კახა გიორგობიანი, კობა ბერიძე, გიორგი მამნიაშვილი, დავით ამაშუკელი, გრიგოლ ჯღამაძე) 3 საათის განმავლობაში რეკავდნენ ზემდგომებთან დასტურის მისაღებად, ჩემს ფსიქიატრიულ საავადმყოფოში გადაყვანაზე, ხოლო შემდგომ ისე გაიპარნენ, რომ მე დავრჩი გაურკვეველ მდგომარეობაში. საპატრულო პოლიცია, ყოველი შემოჭრის დროს ახდენდა ჩემი საცხოვრისის დათვალიერება-შესწავლას, ხოლო ჩემი თანდასწრების გარეშე, უკანონოდ გაჩხრიკეს სარდაფში მდებარე ჩემი კარადები. პოლიციელები,აგრეთვე შევიდნენ ჩემი საცხოვრებელი სახლის ქვემოთ და გვერდით მდებარე აფთიაქებში და იკითხეს, თუ რა სახის მედიკამენტების მომხმარებელი ვარ მე მათი აფთიაქებიდან, რითაც შეურაცხყვეს ჩემი პატივი და ღირსება. საჯაროდ ვაცხადებ, რომ დღემდე არ ვსაჭიროებ და არა ვარ არანაირი მედიკამენტის მომხმარებელი. ისმინება ჩემი სატელეფონო საუბრები.

ზემოაღწერილ ფაქტებს ვაფასებ ბრძოლად თავისუფალი პრესის წინააღმდეგ და გთხოვთ დამიცვათ საკაშვილ-მერაბიშვილის ტირანიისაგან.

12. 09. 11. რედაქტორი *ლეილა ცომაია*

**Mobile**: 851 92 36 55 ganmatavisuflebeli@yahoo.com http://ganmatavisuflebeli.webs.com/

საქართველოს პარლამენტი

ადამიანის უფლებათა დაცვისა და სამოქალაქო ინტეგრაციის კომიტეტი

თბილისი, 0108, რუსთაველის გამზ. 8.
ტელ:(995 32) 228 13 88
ფაქსი:(995 32) 292 15 63
ელ. ფოსტა: hrcicom@parliament.ge

№ 7330/4-2
29 09 2011 წ.

საპატრულო პოლიციის დეპარტამენტის
უფროსს ბატონ გოგა გრიგალაშვილს

ასლი ცნობისათვის: გაზეთ
„განმათავისუფლებელი"-ს რედაქტორს
ქალბატონ ლეილა ცომაიას
მის: ქ. თბილისი, ლეონიძის ქ.№8

ბატონო გოგა,

გაცნობებთ, რომ საქართველოს პარლამენტის ადამიანის უფლებათა დაცვისა და სამოქალაქო ინტეგრაციის კომიტეტში შემოვიდა გაზეთ „განმათავისუფლებელი"-ს რედაქტორის ქ-ნ ლეილა ცომაიას №9277 განცხადება, რომლითაც იგი უჩივის ქ. თბილისის საპატრულო პოლიციის დეპარტამენტის თანამშრომლებს, მიმდინარე წლის პირველ, რვა და ათ აგვისტოს მის მიმართ განხორციელებული შესაძლო უკანონო ქმედებების გამო.

გიგზავნით განცხადებას თანდართულ დოკუმენტაციასთან ერთად. გთხოვთ განიხილოთ და მასში მითითებული გარემოებების დადასტურების შემთხვევაში მოახდინოთ სათანადო რეაგირება.

გთხოვთ, გატარებული ღონისძიებების აცნობოთ კომიტეტსა და განმცხადებელს.

პატივისცემით,

ლაშა თორდია
კომიტეტის თავმჯდომარე

შემსრულებელი: ქ. ლეფსვერიძე
ტ. 28 13 88

***საპატრულო პოლიციის დეპარტამენტის უფროსის გოგა გრიგალაშვილისაგან დღემდე არანაირი პასუხი არ მიმიღია და ვეჭვობ, მისგან რაიმე პასუხი მიეღო თვით ლაშა თორდიასაც. საკაშვილ–მერაბიშვილის დიქტატორულ–კრიმინალური რეჟიმი ხომ არავის წინაშეა ვალდებული ბოდიში მაინც მოიხადონ თაივანთ დანაშაულებრივ ქმედებებზე, არათუ პასუხი აგონ!***

*ლეილა ცომაია*

## “ნაციონალური“ სიახლე მშრომელებისთვის

შრომა საქართველოში რისკიანი საქმიანობის სფეროა და ამას ნათლად ადასტურებს სამუშაო ადგილებზე კატასტროფულად მაღალი ტრავმები, დაზიანებები, მოწამვლები და სასიკვდილო შედეგები. განსაკუთრებით მძიმეა მდგომარეობა სამთო–მომპოვებელ და სათბობ–ენერგეტიკულ სფეროებში – „ენერგოპროჯორჯიაში“, საქართველოს ელექტროსისტემაში, ენგურჰესში, ტყიბულისა და ჭიათურის მაღაროებში, ბათუმის ნავთობტერმინალში და სხვაგან.

ამ დრამატულ ვითარებაში მიხეილ სააკაშვილისა და მისი „ნაციონალური“ საპარლამენტო გუნდის მხრიდან წამოყენებულ იქნა ლოზუნგი „უკან ევროპისკენ“, რაც გულისხმობდა ევროპაში 200 წლის წინ არსებულ შრომით „კანონმდებლობასთან“ დაახლოებას. ეს ლოზუნგი დღეს ფაქტობრივად შესრულებულია. სხვა ანტიჰუმანურ და ანტისოციალურ ნორმებთან ერთად ერთიანი ნაციონალური მოძრაობის მიერ მიღებული კანონმდებლობა აღარ იძლევა სამუშაო ადგილებზე პრევენციის საშუალებას, არ იძლევა საწარმოებზე საჭირო კონტროლისა და მონიტორინგის, სამუშაო ადგილზე უსაფრთხოების უზრუნველყოფის წინმსწრები ღონისძიებების გატარების საშუალებას. შრომის გენერალური ინსპექცია გაუქმებულია. თუ მოხდება ტრავმა, დაზიანება, მოწამვლა ან სასიკვდილო შედეგი, ჯერ არის მცდელობა ეს ყოველივე უბედურ შემთხვევად გამოცხადდეს, მაგრამ თუ დაზარალებული ან მისი ჭირისუფალი არ ჩუმდება და თან მას შესაბამისი პროფკავშირი თანაუდგას, მაშინ იძულებული ხდებიან დაიწყონ გამოძიება. მოქმედებას იწყებს საქართველოს მთავრობის (იმჟამად, პრემიერ–მინისტრი ზურაბ ნოღაიდელი) 2007 წლის № 53 დადგენილება „შრომითი მოვალეობის შესრულებისას მუშაკის ჯანმრთელობისათვის მიყენებული ზიანის ანაზღაურების წესის შესახებ“. დადგენილება იმდაგვარად არის ჩამოყალიბებული, რომ აბსოლუტურ უმრავლეს შემთხვევაში დაზარალებული მუშაკი ვერ ამტკიცებს, რომ მიყენებული ზარალი დამსაქმებლის მხრიდან შრომის უსაფრთხოებისადმი გულგრილი დამოკიდებულებით არის გამოწვეული. ყველაზე დიდი, რაც შეიძლება ამ დადგენილებით მიიღწეს, არის საწარმოს ქვედა რგოლის თანამშრომლის პასუხისმგებლობის ხარისხის დადგენა მომხდარ ფაქტში.

როგორც ჩანს, ასეთი მდგომარეობაც კი ემძიმათ მიხეილ სააკაშვილს და მის ერთიან ნაციონალურ მოძრაობას. მათ პრობლემას სწრაფი და „ორიგინალური“ გადაწყვეტა მოუნახეს. ახლახან, საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსში შევიდა ცვლილება, რომლის შესაბამისადაც დაზარალებული აღარ მიიჩნევა უბედური შემთხვევების გამოკვლევის პროცესში მხარედ, რაც იმას ნიშნავს, რომ დაზარალებულისთვის მიუწვდომელი ხდება იმ დოკუმენტების მოპოვება, რომელთა არსებობაც აუცილებელია უბედური შემთხვევის გამოკვლევის აქტის სასამართლოში გასაჩივრებისას. შედეგად, დაზარალებული მშრომელი კიდევ უფრო დაუცველი ხდება.

მიხეილ სააკაშვილის მიერ ტყიბულში მაღაროელთა დაღუპვის შემდეგ გაცემული დაპირება შრომის უსაფრთხოების სისტემის გაუმჯობესების შესახებ, აი ასეთი ფორმით შესრულდა.

ნათელია, რომ მისი მმართველობის პირობებში „ნაციონალური“ საპარლამენტო გუნდი არ გადადგამს არანაირ დადებით ნაბიჯს შრომის უსაფრთხოების საერთაშორისო სტანდარტებისა და ნორმებისკენ. შემთხვევითი კი არ არის, რომ „ვარდების რევოლუციის“ შემდეგ ფაქტობრივად შეწყდა შრომის საერთაშორისო ორგანიზაციის კონვენციების რატიფიცირება და აღარც ევროპის სოციალური ქარტიის (შესწორებულის) სრული ტექსტის რატიფიცირებაც აღარ ხორციელდება. ეს არის საბაზრო ფუნდამენტალიზმის დოგმების – ბაზარი ღმერთია და ადამიანი ბაზრის მონაა – სრული დიქტატი. ამ პირობებში დასაქმებულთა დამოუკიდებელმა გაერთიანებებმა პირდაპირი წესით უნდა დააწესონ სამუშაო გარემოზე უწყვეტი საზოგადოებრივი მონიტორინგი, მოახდინონ შრომის პირობების კვალიფიციური ანალიზი, უბედური შემთხვევებისა და პროფესიული დაავადებების გამოკვლევა და აღრიცხვა და ეს ყოველივე აქტიურად გამოიყენონ პროფკავშირულ მოძრაობაში, როგორც საინფორმაციო–მეთოდურ, ასევე რაც მთავარია სოციალური პროტესტის აქციებში. მიხეილ სააკაშვილისა და მისი „ნაციონალური“ რეჟიმის ამ ანტიჰუმანურ და ანტისოციალურ პოლიტიკას უნდა დაუპირისპირდეს კონცენტრირებული და კოორდინირებული სამოქალაქო–სოციალური წინააღმდეგობის მოძრაობა, როგორც მშრომელთა სასიცოცხლო ინტერესების ქმედუნარიანი დამცველი ძალა, თორემ მიხეილ სააკაშვილის „ნაციონალური“ რეჟიმის პირობებში, უმუშევრად დარჩენა, ყოველგვარი საარსებო საშუალების გარეშე დარჩენას ნიშნავს. დღეს უმუშევარი არავითარ შემწეობას არ იღებს საქართველოში. ეს ფრიად არანორმალური ვითარებაა, რადგან საქართველოს მოსაზღვრე ყოფილ საბჭოთა რესპუბლიკებში, უმუშევართათვის, არსებობს ფულადი შემწეობა, კერძოდ:

აზერბაიჯანის რესპუბლიკაში – 191 მანეთი (239 აშშ დოლარი);

უკრაინაში – 780 გრივენი (98 აშშ დოლარი);

მოლდოვას რესპუბლიკაში – 877 ლეი (72 აშშ დოლარი);

ტაჯიკეთის რესპუბლიკაში – 298 სომონი (68 აშშ დოლარი);

სომხეთის რესპუბლიკაში – 16 928 დრამი (47 აშშ დოლარი);

ბელარუსის რესპუბლიკაში – 54 208 ბელარუსული რუბლი (18 აშშ დოლარი).

როგორც აქედან ჩანს, „დემოკრატიის შუქურად“ წოდებულ ქვეყანაში, უმუშევარისთვის მხოლოდ სიბნელეა გამეფებული.

**დავით არაბიძე**

# 2008 წლის აგვისტოს მთავარი გაკვეთილი, ანუ კვლავ რუსეთ–საქართველოს ურთიერთობის შესახებ

საბჭოთა კავშირის, როგორც სახელმწიფოს გაქრობის შემდეგ, ევრო–ატლანტიკური სივრცის პოლიტიკური ელიტის წარმომადგენლები, ალბათ ვარაუდობდნენ, რომ აწი მაინც რუსეთის სათავეში მოვიდოდნენ ძალები, რომლებიც უარს იტყოდნენ პროლეტარულ, თუ ტოტალიტარული მართვის სტილზე და ქვეყანას დასავლური ღირებულებების პატივისცემისა და სახელმწიფოთა შორის ცივილური ურთიერთობების დაცვის გზით წაიყვანდნენ. მაგრამ მათი ეს ჩანაფიქრი არ გამართლდა. იმპერიულ–ბოლშევიკური ნაზავისაგან გათავისუფლება, არც ისე იოლი ყოფილა. რუსეთის სათავეში აღმოჩნდნენ პოლიტიკოსები, რომლებიც საბჭოთა კავშირის დაშლას დაუფარავად აცხადებენ გლობალურ კატასტროფად და არც იმას მალავენ, რომ პირველივე შესაძლებლობისთანავე შეეცდებიან, მის აღდგენას. თუ იმავე სტალინური მმართველობის სტილით არა, თუნდაც შეფერადებული დემოკრატიულობის კუთხით მაინც, ოღონდ აუცილებლად, რუსეთის დომინირებითა და ხელმძღვანელობით.

საბჭოთა კავშირის დაშლამ მასში შემავალ სახელმწიფოთა უმრავლესობაში პოლიტიკურ–ეკონომიკური ქაოსი გამოიწვია. გეგმიური, სოციალისტური ეკონომიკა პრაქტიკულად მკვდარი აღმოჩნდა საბაზრო ურთიერთობაზე გადასასვლელად, ამიტომ ამ ახლად გამომცხვარ დამოუკიდებელ სახელმწიფოთა დეზორიენტირებული ხელმძღვანელები – მაინც რუსეთისაკენ იყურებოდნენ და შველასაც მისგან ითხოვდნენ. რუსეთში კი, სადაც თვითონაც შავ დღეში იყვნენ, ამის უანგაროდ გაკეთება არავის უნდოდა და შეეცადნენ მომავალში ახალი საბჭოთა კავშირის წარმოქმნის საფუძვლები მოემზადებინათ. მოიგონეს ე.წ. „ესენგე“ – ანუ დამოუკიდებელ სახელმწიფოთა კავშირი, რომელშიც საქართველო პრაქტიკულად ძალით შეათრიეს, სადაც დომინირებული პოზიცია, რა თქმა უნდა, რუსეთის ხელში აღმოჩნდა,

რუსეთი ყოფილი რესპუბლიკების მორჩილებაში დასატოვებლად სხვადასხვა ხერხებს მიმართავდა. მაგრამ თვითონაც დაუძლურებულს ამისი გაკეთება სულ უფრო უჭირდა. მძიმე ეკონომიკური და ფინანსური მდგომარეობა მის მნიშვნელობას ყოფილ კოლონიებში ნაკლებად მიმზიდველს ხდიდა. ეს უკანასკნელნი იძულებული იყვნენ დახმარება ევრო–ატლანტიკური კავშირიდან მიეღოთ. რუსული არმიაც, რომელიც დიდი დისციპლინით არასოდეს გამოირჩეოდა და ყველა ბრძოლას თავისი მასით იგებდა, ახლა კიდევ უფრო დემორალიზებული იყო და ერთი მუჭა კავკასიის მთიელ ხალხს ვერ უმკლავდებოდა. ჯარი, რომელმაც რაიხსტაგზე დროშა აღმართა, ჩეჩენი მებრძოლების დანახვაზე თავქუდმოგლეჯილი გარბოდა. სანამ თითო, ისიც მხოლოდ ავტომატებით შეიარაღებულ ჩეჩენზე – ასი რუსი ჯარისკაცი, ათასობით ტანკებითა და თვითმფრინავებით, სხვა უახლესი იარაღით აღჭურვილნი არ გამოიყვანეს – ამ ერთი ციცქნა ხალხის დროებით დათრგუნვა ვერა და ვერ მოახერხეს. ჩეჩენმა ხალხმა მთელს მსოფლიოს დაანახა, რომ კავკასიის ხალხებში – თავისუფლების სული დაუმარცხებელია და ისეთ მონსტრსაც კი, როგორიც რუსეთია, აქ მუდმივ ბატონობაზე იმედი არ შეიძლება ჰქონდეს.

საქართველოს მიმართ, რომელიც, როგორც იტყვიან კავკასიის გასაღებს წარმოადგენს, რუსეთს იმპერატორების დროიდან მოყოლებული პირადი ანგარიშები ამოძრავებს. ევროპელების თვალში ბარბაროსად მიჩნეული (რამდენადაც უცნაური არ უნდა იყოს კავკასიის ხალხებს და ქართველებს, მათ შორის თვითონ თვლიდა ბარბაროსად) საქართველო საუკუნეების განმავლობაში – აღმოსავლეთის უძლიერეს სახელმწიფოებთან ირანთან და ოსმალეთთან სამკვდრო–სასიცოცხლო ბრძოლაში ჩაბმული, თავისი ნანგრევებითა და შემოხეული სამოსით, მართლაც არ იყო ევროპა, მაგრამ სულიერად და ინტელექტუალურად ბევრად აღემატებოდა ჩრდილოეთიდან მომხდურ რუსებს, რაც იმთავითვე ცუდად ენიშნა ოკუპანტს და მთელი XIX საუკუნე – ქართულ იდენტურობასთან ბრძოლას შეალია. ყველაფერს აკეთებდა იმისათვის, რომ სწორედ საქართველო მოესპო და ამით კავკასიაში თავისი ბატონობა უპირობო გაეხადა. გამოიყენა კოლონიზატორების მიერ დაპყრობილ ქვეყნებში აპრობირებული ყველა მეთოდი, რასაც ზედ ემატებოდა რუსული ოფიციოზისათვის ჩვეული დაუნდობლობა და სისასტიკე. ბოლოს, როდესაც ჩათვალა, რომ ყველა ის სისაძაგლე, რასაც საქართველოს წინააღმდეგ ჩადიოდა, მისთვის სასურველ შედეგს არ იძლეოდა. ვერ გატეხა ქართული მეობა, ვერ მოსპო თავის გადარჩენის ქართული გენეტიკური კოდი, დაიწყო ათასობით უცხო ტომის ხალხთა შემოყვანა–ჩამოსახლება. ყველაზე მძიმე კი იყო ათეულ ათასობით სომხების დაფუძნება სამცხე–ჯავახეთში.

რუსული აგრესია საქართველოს მიმართ დროის მსვლელობას არ ემორჩილება და განელების ნაცვლად ძალას იკრებს, სულ უფრო რადიკალური ხდება. ამ ბოლო დროს ბალკანეთზე დატრიალებულმა მოვლენებმა კი კრემლს საერთოდ დააკარგვინა ზომიერების გრძნობა, მან თავი საერთაშორისო სამართლის გარეთ დაიყენა და საქართველოს წინააღმდეგ დაუფარავ შეტევაზე გადმოვიდა. რაც პუტინმა, როგორც ახლახანს იქნა გაცხადებული, წინასწარ, პირდაპირ და შეულამაზებლად მოახსენა საქართველოს ლიდერებს.

კერძოდ, ბალკანეთზე ბოლო ომის დროს – იქ მანამდე რამოდენიმე დიდი ომი მოხდა. ყველა რუსეთის მონაწილეობით, ყველა მოძმე სერბების დაცვის მომიზეზებით. მაგრამ აქ ლაპარაკია მეოცე საუკუნის მიწურულსა და ოცდამეერთეს დასაწყისში დატრიალებულ მოვლენებზე, რომელშიც რუსეთი კვლავ აქტიურად გამოვიდა და, ტრადიციულად, სერბეთის მხარდაჭერის სურვილით. მაგრამ ამჯერად, დასავლეთმა რუსე-



თის პოზიციას სრული იგნორირება გაუკეთა. კრემლს მისდა გასაკვირად აგრძნობინეს, რომ საერთაშორისო საკითხების გადაწყვეტაში მას არავინ არ თვლიდა ანგარიშგასაწევ ძალად. რუსეთმა ვერ შესძლო თავისი ისტორიული თანამოძმისა და მოკავშირის დაცვა. სერბ ხალხს, რომელსაც სჯეროდა, რომ რუსეთი არ დაუშვებდა ევრო–ატლანტიკურ კავშირს სერბეთი დაეჩოქებინა, იმედები არ გაუმართლდათ. სერბეთი დააჩოქეს და მერე როგორ! კრემლი იძულებული გახდა სახეში გაწნილი სილა უპასუხოდ დაეტოვებინა. ვინაიდან კარგად უწყოდა, რომ სამხედრო–ეკონომიკური ჩამორჩენილობა დასავლეთთან მიმართებაში იმდენად თვალში საცემი იყო, რომ მას სამხედრო დაპირისპირების შემთხვევაში წარმატების ერთ პროცენტ შანსსაც არ უტოვებდა. რუსეთმა უკან დაიხია და ევროპისათვის ასეთი შეურაცხყოფის სანაცვლოდ სამაგიეროს გადახდა – სწორედ, საქართველოს დასჯით გადაწყვიტა.

დღეს, ქართველ პოლიტიკოსთა იმ ნაწილს, რომელთაც პოლიტიკაში ყოფნა, როგორც ამბობენ მხოლოდ შემოსავლის წყაროდ აქვთ გახდილი და აქედან გამომდინარე სისულელეების ლაპარაკით თავს შეზღუდულად არ გრძნობენ, მსოფლიოს უმტკიცებენ, რომ 2008 წლის აგვისტოში რუსეთის წინააღმდეგ ომი საქართველომ წამოიწყო. და ამის დასამტკიცებლად კი ვითომდა ცხინვალისაკენ გამოსროლილ რამოდენიმე ჭურვს იმიზეზებენ. სამწუხაროდ არ იხსენებენ, რომ ომის დაწყებამდე ორი თვით ადრე რუსები და სეპარატისტები გამალებით ცლიან ცხინვალს მოსახლეობისაგან. ომის დაწყების წინ ცხინვალში ფაქტიურად არ იყო დარჩენილი ქალი და ბავშვი. შედეგი ნათელია, მოსკოვი ომისათვის მზად არის და დროც აქვს შერჩეული. ჩვენს ბიზნესმენ ოპოზიციონერებს რომ კითხოთ ამაზე ასეთი პასუხი ექნებათ, – ცხელოდა ცხინვალში და დასასვენებლად გაიყვანესო. კეთილი! აფხაზეთში – ასევე რამოდენიმე თვით ადრე – ვითომდა რკინიგზის აღდგენის საბაბით – ათეულ ათასობით ჯარისკაცი, ტანკი და სპეცტექნიკა,რომ შეიყვანეს – ამაზე რას იტყვით,. ბატონებო!? აა! გასაგებია, მანდარინის საკრეფად მოვიდნენ ამ შემოდგომის პირზე, მაგრამ საქართველომ ომი დაიწყო და რა ექნათ? თავი ხომ უნდა დაეცვათ აგრესიისაგან. ის რომ ქართველები საკუთარ მიწაზე არიან ამას რა მნიშვნელობა აქვს სულელებისთვის.

ოპოზიციის უპასუხისმგებლო ნაწილის განცხადებებს, რა თქმა უნდა, დიდი აზრი არა აქვს. სამწუხარო ის არის, რომ ევროპა–საქართველოდან წამოსულ განგაშის ზარზე – ცხინვალის რეგიონი და აფხაზეთი რუსული შეიარაღებით ივსება – სდუმს. ასეთ ხელსაყრელ ვითარებაში ომისათვის სრულიად მომზადებული რუსეთისათვის ცხადია, ძნელად შესანიღბი არ გახდა მისი დაწყების ნამდვილი მიზეზი. მსოფლიო ომების ისტორიას ვინც მეტნაკლებად იცნობს, მისთვის რთული გასახსენებელი არ უნდა იყოს, რომ როდესაც აგრესორი ომის დაწყების საბაბს ასე თუ ისე საზოგადოებრივი აზრის გათვალისწინებით ეძებს და თავი თავდასხმის მსხვერპლად სურს წარმოაჩინოს – ამისი გათამაშება მას, როგორც წესი არ უჭირს. მით უმეტეს, თუ ისეთი შემსრულებლები გყავს, ჩვენი ოსი სეპარატისტები რომ არიან.

მაგრამ, როგორც ცნობილია შუბი ხალათში არ იმალება. ოკუპანტების, მათი მეხოტბე ქართველი ე.წ. პოლიტიკოსების მთელი მეცადინეობა – რუსული აგრესია მსოფლიო საზოგადოების თვალში მაქსიმალურად შეენიღბათ, სრული კრახით დასრულდა. ისედაც უტყუარი ჭეშმარიტება–ვიკილიქსის საიტებზე გამოქვეყნებულმა დოკუმენტებმა კიდევ უფრო ცხადი გახადა, რამაც სამწუხაროდ საქართველოს დიდი შვება ვერ მოუტანა; რუსეთი, რაც არის ეს საუკუნეებია ცნობილია და კუზიანს სამარე გაასწორებს, ანუ ის მაშინ ისწავლის ჭკუას, როდესაც მხოლოდ ვლადიმირის გუბერნია დარჩება სამართავად, მაგრამ დასავლეთი, რომელმაც თავიდანვე იცოდა მთელი სიმართლე და მის ხმამაღლა აღიარებას უფრთხოდა, ეს არის ცუდი. თუმცა, პატარა ქვეყნის ხვედრი მძიმეა, – მით უმეტეს, ასეთი არაპროგნოზირებადი მეზობელი თუ გყავს, როგორიც რუსეთია. ასე რომ, როგორც რუსული ანდაზა ამბობს – წყალში დასახრჩობად განწირულთა გადარჩენა მათივე საქმეა. სხვა გზა არ არის ჩვენც უნდა გავაგრძელოთ წივილ–კივილი იმის იმედით, რომ ერთხელაც იქნება დასავლეთში მას შეისმენენ და ყველა მოვლენას თავის სახელს დაარქმევენ. საბედნიეროდ, როგორც იქნა დღეს ეს პროცესი ადგილიდან დაიძრა და იმედია, ერთ მშვენიერ დღეს თავის ლოგიკურ დასასრულამდე მივა. ანუ რუსეთი იძულებული გახდება – საერთაშორისო ძალისხმევით მოახდინოს საქართველოს დეოკუპაცია და დაუბრუნდეს თავის აღიარებულ საზღვრებს. თუ რამდენად სწრაფად მოხდება ეს ბევრად იქნება დამოკიდებული საქართველოს გააზრებულ მოქმედებაზეც.

კრემლმა 2008 წლის აგვისტოს ომით, რა თქმა უნდა, პასუხი გასცა ევრო–ატლანტიკურ კავშირს იმ დამცირებისათვის, რომელიც მას ბალკანეთის საკითხის გადაწყვეტაში მიაყენეს. პუტინს სურდა მსოფლიოსათვის ეჩვენებინა, რომ რუსეთი ნაადრევად ჩამოწერეს, და რომ ის კვლავ რჩება ანგარიშგასაწევ ძალად.

აგვისტოს ომში კრემლმა დასავლეთის უნიათობით თავისი შელახული თავმოყვარეობის აღსადგენად გარკვეულ შედეგს მიაღწია. მაგრამ იმ მოცულობითა და სიღრმით არა, როგორც ეს ჩაფიქრებული ჰქონდა. ევრო–ატლანტიკურმა კავშირმა, თუკი სერბეთი აიძულა ყველა სახის დათმობაზე წასულიყო, რუსეთმა საქართველოს მიმართ ეს ვერ მოახერხა და დაუკმაყოფილებლობის გრძნობა არა მარტო პუტინ–მედვედევის დუეტს დაუტოვა, არამედ რუს აგრესორ პოლიტიკოსებსაც, რომლებიც სწორედ ამ ომით ოცნებობდნენ საქართველოს საკითხის ერთხელ და სამუდამოდ მოთავებას.

არ გამოუვიდათ!

ახლა ბევრი ლაპარაკია იმაზე რატომ ვერ მოახერხა, თუ არ გააკეთა რუსეთმა საქართველოს სრული ოკუპაცია. ზოგიერთი პოლიტიკოსი ევროპაში ამას თავის პირად დამსახურებად მიიჩნევს და ასე შემდეგ.

პუტინ–მედვედევის წყვილმა, რომლებიც საქართველოს სრული ოკუპაციისათვის რამოდენიმე წელი გამალებული ემზადებოდნენ და ამისი სამხედრო საშუალებებიც ჰქონდათ. ბოლო მომენტში ეს ვერ გაბედეს, შეშინდნენ და პრაქტიკულად გადაწყვეტილ საკითხზე უკან დაიხიეს. რუსული იმპერიალისტური გადმოსახედიდან, რა თქმა უნდა, ეს იყო მათი შეცდომა.

საქართველო დიდ განსაცდელს გადაურჩა.

იმიტომ რომ საქართველოს მესამე ამჯერად ნეობოლშევიკური ოკუპაცია –დამერწმუნეთ, ყოველგვარ საერთაშორისო გართულებების გარეშე ჩაივლიდა. ჩვენთან იმდენი „ორჯონიკიძე“, „მახარაძე“, „ბერია“ და სხვადასხვა ჯურის არამზადები ბუდობენ, ისინი რუსულ ოკუპაციას ისე მალე „გააპრავებდნენ“, სანამ დასავლეთი თავს მოიფხანდა – რუსებს განმათავისუფლებლად, მხსნელად და მარჩენალებად მონათლავდნენ. მე თქვენ გეტყვით ანალოგიების საძებნელად შორს წასვლა, ან არქივების ქექვაა საჭირო. არა ბატონებო! მათი ბაბუები და ბებიები ვინც რუსულ ოკუპაციას ჯერ კიდევ შენატრის და ამის ხორცშესხმას სწორედ თავისი ნაძირალა შვილიშვილებით აპირებენ, ჯერაც ბოგინობენ საქართველოში.

პუტინ–მედვედევმა, სტალინ–ლენინისაგან განსხვავებით, ვერ გაბედეს საქართველოს ბოლომდე ოკუპაცია და ამით რუსი რეაქციონერი პოლიტიკოსების გულისწყრომა და იმედგაცრუება დაიმსახურეს. ▶

# სააკაშვილი პაპის ნაკვალევზე

დღეს მიხეილ სააკაშვილის ეთნიკური წარმოშობის შესახებ პრესაში ფართო სჯა–ბაასია გაშლილი, თუმცა, ჩვენი აზრით, უმთავრესი განსასჯელი ამ პოლიტიკური ავანტიურისტისა პოლიტიკური ფესვების ჩვენებაა.

ყველგან და ყოველთვის პოლიტიკური ფესვები იყო და არის მასაზრდოებელი პოლიტიკური აწმყოსი. მიხეილ სააკაშვილის „ნაცელიტა“ დუმილით უვლის გვერდს, რომ მის პრეზიდენტს ამხანაგი პაპა ჰყავდა, რომელიც XX საუკუნის 30–იან წლებში ლავრენტი ბერიას აქტიურ–ინიციატივიანი მებრძოლი იყო. მასალა ამხანაგი პაპის შესახებ, რომელიც საქართველოს კომუნისტური პარტიის (ბოლშევიკების) ცენტრალური კომიტეტის ყოველთვიურ პოლიტიკურ–ეკონომიკურ ორგანოშია დაბეჭდილი იმ ტრაგიკულ წლებს განეკუთვნება, „დიდი ტერორის“ სახელით, რომ არის ცნობილი. იმ უაღრესად დრამატულ დროში, რეჟიმის უპირველეს იდეოლოგიურ ორგანოში, საინსტრუქტაჟო მასალით მხოლოდ რეჟიმის ინიციატივიანი ფუნქციონერები გამოდიოდნენ. „დიდი ტერორის“ წლებში მიშას პაპა აქტიურად არის ჩართული ცენტრიდან წამოსული დირექტივების რეალიზებაში. ამხანაგი პაპის მოცულობით დიდი საინსტრუქტაჟო წერილი ჩვენი მხრივ შეიკვეცა და გამოიკვეთა ის, რაც ზუსტად წარმოაჩენს გაბატონებული ამხანაგის შვილიშვილის პოლიტიკურ ფიზიონომიას, იმ პოლიტიკურ ფესვს, რაზეც აღმოცენდა დღევანდელი მიხეილ სააკაშვილის რეჟიმი, რომელიც თავის წინაპრის დარად მზად არის კარიერა აკეთოს ყველგან, ყოველთვის და ყველაფრით (**რედ.**).

▼

## რუსეთის იმპერატორ ალექსანდრე III-ის 1886 წლის 16 იანვრის ბძრანებულება

„მისი იმპერატორობითი უდიდებულესობა ბრძანებს, კავკასიაში მორწმუნე კათოლიკეებს, სულერთია, სომხურ წესს ეკუთვნიან თუ ლათინურს, აღარ აქვთ უფლება ქართული ენით ისარგებლონ ეკლესიის ღვთისმსახურებაში, რომ აღარ იყოს დაყოფა ქართველ და სომეხ კათოლიკეებად“.

## რუსეთის პირდაპირი მუქარა

„საქართველოს, რა თქმა უნდა, შეუძლია დაივიწყოს პუშკინი და ლერმონტოვი, მაგრამ ვერ შეძლებს დაივიწყოს გვარი კალაშნიკოვი“.
გაზეთი „Аргументы и Факты“
2010 წლის ივლისი № 29 (1550)
ასე გვემუქრებიან დღესაც რუსი იმპერიალისტები

## ერთიანი ნაციონალური მოძრაობის დოკუმენტზე ხელის მომწერი ფსევდოოპოზიციური პოლიტიკური პარტიები:

– ერთიანი ნაციონალური მოძრაობა
– ახალი მემარჯვენეები
– ქრისტიან–დემოკრატიული მოძრაობა
– ეროვნულ–დემოკრატიული პარტია
– პარტია „ჩვენ თვითონ“
– საქართველოს დემოკრატიული პარტია
– მრეწველობა გადაარჩენს საქართველოს

# გადაჭრით უნდა გავაუმჯობესოთ ჟურნალის მუშაობა

ჟურნალი „მებრძოლი ათეისტი“ საქართველოს მებრძოლ ულმერთოთა კავშირის ცენტრალური საბჭოს ყოველთვიური ორგანო №1–6; 1938 წ.

„სოციალიზმის ძლევამოსილ გამარჯვებათა საფუძველზე საბჭოთა კავშირის მშრომელთა ფართო მასებში დიდი გავრცელება ჰპოვა ათეიზმმა. მაგრამ არსებული მიღწევებით დაკმაყოფილება, რასაკვირველია, არ შეიძლება; ყოვლად დაუშვებელია თვითდამშვიდება და ანტირელიგიური მუშაობის შენელება. საკავშირო კომუნისტური პარტიის (ბოლშევიკების) 1937 წლის თებერვლის პლენუმზე ხაზგასმით იქნა აღნიშნული მუშაობის გაძლიერების აუცილებლობა და დაგმობილი მცდარი შეხედულება, თითქოს ანტირელიგიური პროპაგანდა უკვე განვლილ ეტაპს ეკუთვნოდეს. ლიკვიდატორული დამოკიდებულება ანტირელიგიური მუშაობისადმი ყოვლად დაუშვებელია“.

„ვინ არ იცის, თუ როგორ იყენებენ რელიგიურ ცრუმორწმუნეობას ხალხის მოსისხლე მტრები სოციალიზმის ძლევამოსილი სვლის წინააღმდეგ ბრძოლაში. ჩვენმა საბჭოთა დაზვერვამ არა ერთსა და ორს სასულიერო პირს ჩამოხადა ნიღაბი და ნათელჰყო მათი დივერსიულ–ჯაშუშურ–კონტრრევოლუციური მოქმედება. ყველასათვის ცნობილია, თუ როგორ შეხმატკბილებული მოქმედებდნენ ეს ცოფმორეული ბანდიტები საზიზღარ ტროცკისტ–ბუხარინელებთან ერთად. რეაქციული სამღვდელოება ცდილობს გავლენა მოიპოვოს ყველგან, თუ კი მას ამის საშუალება ექნება“.

„ქართველი ხალხი, ამხანაგ ლ. პ. ბერიას მეთაურობით, ბრწყინვალე გამარჯვებით შეხვდა საქართველოს უმაღლესი საბჭოს არჩევნებს“.

„საქართველოს მბერძოლ ულმერთოთა კავშირის წინაშე დგას გადაუდებელი ამოცანა: მავნებლობის შედეგების ლიკვიდაცია ანტირელიგიური პროპაგანდის ფრონტზე და ანტირელიგიური მუშაობის ისე წარმართვა, როგორც ამას გვავალებს პარტია, როგორც ამას მოითხოვს სტალინური კონსტიტუცია.

„მებრძოლი ათეისტი“, საქართველოს მებრძოლ ულმერთოთა ცენტრალური საბჭოს ორგანო, ჩვენს დანარჩენ პრესასთან ერთად მოწოდებულია ემსახუროს ამ დიდ ამოცანას“.

„ისტორიული ხასიათის – წერილების ბეჭდვა საჭიროა. ისტორიული ხასიათის მასალა დიდ იარაღს წარმოადგენს რელიგიასთან ბრძოლის საქმეში. ასეთი მასალა მკითხველს ნათლად დაანახვებს რელიგიისა და მის მსახურთა მთელ შავბნელ საქმიანობას და მათ საზიზღარ რეაქციულ როლს ისტორიის კონკრეტულ ეტაპზე. წერილის დადებით მხარეებს შორის პირველ რიგში უნდა აღინიშნოს მღვდელი გაპონის ჯალათური მოქმედების ჩვენება და ამ ისტორიულ მაგალითზე ცხადყოფა იმისა, თუ როგორ შეხმატკბილებულად მოქმედებდნენ ანაფორიანი და უანაფორო ექსპლოატატორები და მათი დამცველი ძაღლები – ჟანდარმ–პოლიციელების სახით“.

„ჟურნალმა ფართოდ უნდა გამოიყენოს ხალხური შემოქმედება ანტირელიგიური პროპაგანდის მიზნით. ხალხურ შემოქმედებასთან ერთად საჭიროა ფართოდ გამოყენება მხატვრული ლიტერატურის, ჩვენი მწერლობის ნაწარმოებთა იმ ღირსშესანიშნავი ადგილებისა, სადაც ნაჩვენებია სასულიერო პირთა პარაზიტული, შავბნელი მოქმედება და საერთოდ რელიგიის უმართებულობა და რეაქციულობა“.

„ჩვენი კულტურული ძალები მეტად გაიზარდა. ადგილობრივ ჩვენ მოგვეპოვება მასწავლებლების, ექიმების, აგრონომების და სხვა მაღალკვალიფიკაციის მქონე კულტურული ძალები; გაიზარდა კომკავშირის, პროფკავშირის, კოლმეურნეთა აქტივი.

უმაღლესი საბჭოს დეპუტატების არჩევნებთან დაკავშირებით ჩვენში შეიქმნა აგიტატორთა მტკიცე კადრი. საჭიროა ჟურნალმა თავის ირგვლივ შემოიკრიბოს ეს ახალი კადრი, ჩააბას ანტირელიგიურ პროპაგანდაში და კონკრეტულად უხელმძღვანელოს მას ამ მეტად საპატიო და პასუხსაგებ მუშაობაში“.

„რედაქციამ ბოლშევიკურად უნდა გარდაქმნას თავისი მუშაობა და ჩვენი ანტირელიგიური მუშაობის საქმე აიყვანოს იმ დონეზე, რომელსაც მოითხოვს ჩვენგან ბოლშევიკური პარტია და დიდი ბელადი ამხანაგი სტალინი“.

**მიხეილ სააკაშვილი**

***ჟურნალი „ბოლშევიკი“ №7. 1938 წ.***
***საქართველოს კომუნისტური პარტიის (ბოლშევიკების)***
***ცენტრალური კომიტეტის ყოველთვიური პოლიტიკურ–ეკონომიკური ორგანო.***

◀ ეჭვი არ არის, იმედი ჰქონდათ, რომ საქართველოში მოღალატე ვითომდა პოლიტიკოსებს ქიშპი ექნებოდათ ვინ–ვის დაასწრებდა კრემლში მისალოცი დეპეშის გაგზავნას. ვაი–ქართველები ალბათ დეპეშის ტექსტსაც წინასწარ გამზადებულს შეინახავდნენ! – ასეთი შინაარსით: „ელვა, მოსკოვი – კრემლი, ძვირფასო ვლადიმერ ვლადიმერის ძევ ტირანი გავაგდეთ. საქართველოს თავზე კვლავ რუსული დროშა ფრიალებს. გაუმარჯოს დიდ რუსეთს, ჩვენი ყველა გამარჯვების სულისჩამდგმელს!“ როგორც ხედავთ დიდი ცვლილება ორჯონიკიძის დეპეშასთან დამოკიდებულებაში არ არის, მისამართი, სახელი და დროშაც ემთხვევა.

მოვლენათა განვითარების ასეთი სცენარი – ცხადია ჯერ კიდევ ტრიალებს თანამედროვე „ორჯონიკიძეების“, თუ „ბურჯანაძეების“ თავებში, რაც 2011 წლის მაისის მოვლენებმაც დაადასტურა. ამიტომ 2008 წლის პირველი და უმთავრესი გაკვეთილი ის არის, რომ სახელმწიფომ თავისი სიტყვა უნდა თქვას – ოკუპანტთან პოლიტიკური ხასიათის კონტაქტები უნდა წარიმართოს მხოლოდ და მხოლოდ ოფიციალურ დონეზე, – ან სახელმწიფოს ნებართვითა და თანხმობით. დანარჩენ შემთხვევაში ასეთი ურთიერთობა უნდა გამოცხადდეს კანონგარეშედ და ყველა მასში მონაწილე პირი ჩაითვლის, როგორც კოლაბორაციონისტი, პასუხიც მოეთხოვოს მტერთან თანამშრომლობაში მხილებული მოღალატის სტატუსის გათვალისწინებით. რა მნიშვნელობა აქვს ფარულად მიდის ეს, თუ ღიად და აშკარად.

იმაზე აპერირება, რომ ჩვენ ოფიციალურ რუსეთთან კეთილმეზობლობის გასაუმჯობესებლად დავდივართო – არის მითი. იქ დადიან მხოლოდ ერთი მიზნით, კრემლს დაუმტკიცონ თავისი ერთგულება და დაარწმუნონ ისინი, რომ დაპყრობილი და დამორჩილებული ქვეყნის ყველაზე მისაღები ხელისუფალნი, სწორედ თვითონ იქნებიან.

პირდაპირ უნდა ითქვას, როდესაც ჩვენი ტერიტორიის ოც პროცენტზე მეტი ბარბაროსი ქვეყნის მიერ უკვე მერამდენედ კვლავაც ოკუპირებულია, არა გვაქვს იმისი ფუფუნება, მეხუთე კოლონის აქტივისტებს თავისუფალი მოქმედების საშუალება მივცეთ. გამოცდილებით მაინც უნდა ვიცოდეთ, რომ ერთი რეგვენი ათას მტერზე უარესია. თუ მომენტი იპოვეს პირად ამბიციებს ყველაფერზე მაღლა დააყენებენ და დაუფიქრებლად, ზურგში მახვილს გაუყრიან ქვეყანას.

ბოლოს და ბოლოს, ჭკუა ხომ უნდა ვისწავლოთ და ამ ხალხს მანამდე მოვთხოვოთ პასუხი – სანამ მათი მონდომებით, თბილისის თავზე მართლა არ აფრიალებულა ოკუპანტის დროშა.

**ა. ვარაზაშვილი**

# ლიტერატურული გვერდი

## მზეჭაბუკი პოეტი

### დათა გულუას ესთეტიკური სამყარო



დათა გულუა, 18 წლის მზეჭაბუკი პოეტი, გლოვის ზარით დამკვიდრდა ქართულ პოეზიაში.

დათას პოეტური აზროვნება განუმეორებლობითაა აღბეჭდილი, იდუმალებით აღსავსე და გულმისაწვდომი, მახლობელი და გადამდებიც, რაღაც ჟრუანტელით რომ გმუხტავს, სისხლს გიტორტმანებს და თხემით ტერფამდე გძრავს.

დათას პოეზიაში სიკვდილის მშვენიერების ხატი სიკვდილ–სიცოცხლის საიდუმლოების თვალსაწიერს მოიცავს, რაც კიდევ უფრო გვიმძაფრებს სურვილს ვიაროთ ფრთხილად მისი სულის ლაბირინთებში და ჩვენც განვიცადოთ მისი პოეზიის სურნელება.

თვრამეტი წლის მზეჭაბუკმა თავისთავადი შემოქმედება დაგვიტოვა, რომელიც მისი სულიერი სამყაროს, მთელი მისი გონების, გულლისთქმისა და სუნთქვის განუყოფელი ნაწილია.

წიგნი „მე მაინც მიყვარს“... პოეტის სულის ეკლესიაა, თავად კი უფლის ანგელოზი. დათა ყოველ ლექსში თითქოს თავიდან იწყება, როგორც პოეტი და ლექსის ტრფიალი.

მის სულიერ სამყაროსა და უცნაურ ბედ–იღბალს იოლად ვერ განსჯი, რამეთუ მისი შემოქმედება ესაა მოგზაურობა მატერიის განვითარების უსასრულო პროცესში, სამყაროს უსასრულო მრავალფეროვნებაში. მისი პოეტური სამყარო ბობოქარია, მაგრამ წრფელი, უმანკო, ძველი ღვინოსავით დამათრობელი, ეს ის თავბრუდამხვევი გრძნობაა, ავგაროზივით ყელზე რომ ჩამოგეკიდება და ცხოვრების გზაზე დაგიცავს ბიწიერებისა და ავი თვალისაგან.

დათა გულუამ წინასწარ განჭვრიტა თავისი სიცოცხლის ტრაგიკული ფინალი და თბილისში, ნარიყალას ეკლესიის წიაღში სამუდამო სასუფეველში დამკვიდრების ბედნიერებაც, რამეთუ ღრმად სწამდა: „საფლავს ჟამიც აორთქლებს, მთავარია პოეზიის ბრუნვა“.

დათა გულუას პოეზიაზე დაკვირვება გვარწმუნებს, რომ ის გახლდათ სულიერ სიმაღლეთა წვდომის ნიჭით მირონცხებული, რომლისთვისაც უმთავრესი იყო წარმავალში წარუვალის, მცირედში საყოველთაოს, მიწიერში ზეციერის ჭვრეტა.

„სიწმინდის გედმა“ შექმნა უმშვენიერესი ლირიკული ლექსების ციკლი, რომელიც მისი ცხოვრების უკანასკნელი აკორდია და რომელშიც გახმიანდა „მარადი ბავშვის“ ელვარე ნიჭი. მისი პოეზია, მისი, როგორც ფილოსოფიურად მოაზროვნე პოეტის, არსებობის სასწაულია და მზეჭაბუკმა ცის უსასრულობაში ჰპოვა სულის მარადისი განსასვენებელი.

**ციალა მესხია**
*ფილოლოგიის დოქტორი*

### მეთვრამეტე გამოსვენება

თითქოს დაღამდა ჭაღარა დილა,
თითქოს ეძინა კალაპოტს მტკვრისას,
მხოლოდ ჩემს კალამს, კალამს ეღვიძა,
რომელიც ჰგავდა ღამეს და სიტყვას.

მე დავიბადე, ვიშვი, დედაო,
მე შენი სიტყვა, ლოცვა მაფერხებს,
საიდან მოხველ, ბნელო სევდაო,
საით მიჰქრიხარ, სით მიმაჭენებ?

თოვლმა მოგუდა ხმათა ქუხილი
და აღარ ისმის ალვების მტვრევა.
დღეს ჩემს სასთუმალს შვენის წუხილი,
რა დაამშვენებს ხვალ, ნუთუ ნგრევა?!

ალაპარაკდნენ თეთრი კედლები,
სურათებიდან გადმოწვა ფერი.
სისხლი წყალდება, გულო, ნელდები,
უკვე გავიდა ათასი წელი.

და თითქოს უცებ განიხვნა ზეცა –
თორმეტი სხივი ამოძვრა ჭრაქით,
ჩამოასვენეს უცნობი კუბო,
ჩამოასვენეს ფოთლების ჩქამით.

ჩამოატარეს ჩემს სარკმელებთან
თეთრ სუდარაში მძინარე გვამი,
რომ მიასვენეს მზის სარქველებთან,
მე მხოლოდ მაშინ ვიცანი თავი.

მე შენ გაჩუქე თვე გაზაფხული,
შენ კი დამითმე ბილიკი ზამთრის.
მე მაინც მიყვარს ის სასწაული,
თეთრი კვიცივით უცებ რომ გარბის.

როცა გარდავა თორმეტს ისარი
და მეთვრამეტე მაინც გათენდა,
გულის საკლავი სწორედ ის არის,
ჩემს პოეზიას კვლავ რომ დანებდა.

დანებდა ყინვით მოვერცხლილ ფანჯრებს,
დანებდა სულის ამოძრავებას,
როცა კანკალით გააღებს ფარდებს
და უკვდავებაც იქვე დახვდება.

ჩვეულად დინჯი და მოღიმარი
მრავალისმეტყველი ბროლის თვალებით,
თითქოსდა მუნჯი, მზით მოელვარე
და დახვეული ლურჯი კალთებით.

აი, მშვენება, ცის ჰარმონია,
უფალო, რისთვის ჩამესმის ლექსი?
თითქოს მოკვდავის ალეგორია –
მე შენ დამკიდე, დამარქვი, გესმის?!

და მეთვრამეტედ შევხვდები ზამთარს,
ოცდამეერთე დღე მიკაკუნებს,
ათას ტლაპოში, ტალახში ნავალს,
და ისევ ქარი კარს მიბრახუნებს.

მე მეთვრამეტედ გამომასვენეს
და ჩამასვენეს სასუფეველში.
ვიცი, ტკივილი არ მომასვენებს,
შენ კი ილოცებ საკურთხეველში.

თითქოს დაღამდა ჭაღარა დილა,
თითქოს ეძინა კალაპოტს მტკვრისას,
მხოლოდ ჩემს კალამს, კალამს ეღვიძა,
ეღვიძა ტკივილს, ღამეს და სიტყვას.

20.12.2002

### გამთლიანება და განშორება

ათრთოლებული, ვით მტევნები ვაშლის
და მოგიზგიზე ხანძრები თვალის,
პირთ მომდინარე ჩანჩქერთა წყალი
გაშლის
ილუზიათა ვერცხლის პორტრეტებს.
და მორბენალი ალერსის ქარი,
როგორ გაათბობს ფარჩით მომენტებს.
და თითქოს, ბაგე
გაგვიხდა მტკნარი,
ისევ წყნარი,
ვით შემოდგომის ტირიფის რტონი,
თითქოს დალაგდნენ ოქტომბრის მკერდზე
და თითქოს ერთნი, თითქოს მარტონი,
ისე ჩაგვაღნა გულები მხრებზე,
როგორც თეთნულდი აღნება კლდეებს,
როცა ზაფხული გახმიანდება,
ჩვენ შევჩერდებით, მაგრამ ოცნება,
როგორც ყოველთვის დაგვიანდება.
სადღაც მინდორში ვნების ძაღლები
ყეფდნენ ჩვენ შორის გაწყვეტილ თოკებს
და სიყვარულის თითქოს დახლები
ისროდნენ სიძვით დატენილ თოფებს.
და ასდიოდა სუნი გუბეებს,
სიბილწის სუნი, ხვეული ბუზთა,
როგორ ავსებენ სულის უბეებს,
სხვა აფეთქება სწყურიათ, უნდათ.
და კვლავ კისერი გადავუსერე,
მე გამოვცალე ვნებისგან ტოლჩა,
კოცნით თვალები გადავუჩეხე,
გონდაკარგული დაეცა, მორჩა.
კვლავ ავუყევი აშოლტილ სხეულს
და კვლავ ვიყავი ალერსის სიო,
თითის კვირტები გადავუკოცნე,
არ ვშორდებოდი, ვით იუპიტერს იო.
შუბლს გადაისვა თეთრი მკლავები
და აქვითინდა, როგორც ცოდვილი,
მზერით დაიძრნენ ცეცხლის ლავები
და აუწითლდა ღაწვი მოვლილი,
კვლავ დათოვლილი,
უცხო სხვა თოვლით ათეთრებული.
და მონადირე ვიდექ საფანტით,
თითქოს მრისხანე, დაუნდობელი
და აჩეჩილი ლომის ფაფარით
ვუმზერდი მკერდში დაკოდილ ირემს
სხვა მრისხანებით,
თითქოს პირველად შევიბრალე უმანკო
სული
და ანათემით
ვეწვიე ედემს, ბაღნარს უფლისას,
ტლაპონავალი,
და ჩამომაგდეს შეძახილივით:
„ჯერ გზა გაქვს სავალი!!!„
და ზეცად აჭრილს დავენარცხე
ცარიელ ნავებს,
ვეღარ ვკოცნიდი, სანატრელო,
მაგ ზღვისფერ მკლავებს.
გუშინ თუ მის წინ რომ მეწვა ხელზე,
ვით ძედ შობილი კვიცი,
შემოგეხვია ჰიტონი წელზე
და ვეღარ იხსნი, ვიცი...
ვიცი, ოქტომბერს ვეღარ შეგიცვლი,
აი იმ ზღვისპირა ვალსით
და მოგიტაცებს ვიღაც ფირალი
შხამიან მტევნებს ვაშლის.
მარტო ჩაგკბიჩავს?!
მარტო ჩაიმტვრევს?!
მარტო გიშველის ლოცვა?
ისევ მოგიწევს შენ ნაბიჯ–ნაბიჯ
მზის ტაძრებისკენ ცოცვა.
კვლავ თმებგაშლილი
ძუ ვეფხვივით იწვა ჭალაში,
ელოდებოდა ახალ მფრინავ ფირალს.
ფაფარაშლილი ქროდა განგაში
და ლომებს ვუმზერთ ხაფანგში მტირალს.
იმ ადგილას, მარტოობა სადაც მარხია,
აი, იმ ადგილას იარაღიც ტირის,
სადაც ვნების მაშხალები ანთია
და მბორგავ სულთა ფაეტონი მიჰქრის.

6.01.2003

### სუფსარქისის ქართა მისტერია

ზარები დონ...
ზარები დონ...
ზარები დონ...
მორბის სუფსარქისის ქართა მისტერია,
სული დაემონა მბორგავ ისტერიას...
ზარები დონ...
ზარები დონ...
ზარები დონ...
უკვდავ გოლიათებს პატიჟებს აკლდამა,
ფილტვი ამოვივსეთ, გვაკლდა რა – კანტატა.
ზარები დონ...
ზარები დონ...
ზარები დონ...
გაბზარულ კუბოში ვხედავ ჩვენს პაპებს –
ამობრუნებულთ, სისხლიან კაბებს...
ზარები დონ...
ზარები დონ...
ზარები დონ...
ტაძრის სიჩუმეში ლოცულობს აბატი
და სანთლებს ანთებს სიკვდილის ნაბადი...
ზარები დონ...
ზარები დონ...
ზარები დონ...
კოშკებს სდარაჯობს ქარი დატანჯული,
იქვე საკნებში იხრჩობა რჯული...
ზარები დონ...
ზარები დონ...
ზარები დონ...
ქვესკნელის ტუფისგან ნაშენი სახლები,
მეფისტოფელის ჭრელი ვასლები...
ზარები დონ...
ზარები დონ...
ზარები დონ...
სიზმარი მწოვდა, როგორც ვურდალაკი,
და თითქოს გავხდი ოცნების დალაქი...
ზარები დონ...
ზარები დონ...
ზარები დონ...
ეშმა აზრდილა სუროდ სამრეკლოზე,
შხამთა ჰარმონია აწევს კენწეროზე...
ზარები დონ...
ზარები დონ...
ზარები დონ...
აწმყოს პოეზიამ შვა პანთეონები,
ვარდების ომიდან – ეკლების ომები...
ზარები დონ...
ზარები დონ...
ზარები დონ...
მთაწმინდას ხურავს ნისლის ხალათი
და ალიონი მოდის, ჯალათი.
ზარები დონ...
ზარები დონ...
ზარები დონ...
გამოქვაბულში თვლემენ შუბები,
ვენით დაკოჟრილი ძარღვის შუბლები.
ზარები დონ...
ზარები დონ...
ზარები დონ...
მჯერა, ფხიზლად დგანან დღეს მუზარადები,
ჰაერო, ფილტვში ისევ ზარალდები.
ზარები დონ...
ზარები დონ...
ზარები დონ...
რატომღაც, ფლიდნი ხატებს გვირჩევნია,
მორბის სუფსარქისის ქართა მისტერია...
ზარები დონ...
ზარები დონ...
ზარები დონ...
სარკმელს მიკრობილან მკვდარი არწივები,
ყინულს მივეცემი და კვლავ გავცივდები.
ტაძრებზე თოვს....
ზარები დონ...
ზარები დონ...

18.02.2003

*ეს ლექსიც თავისთავადი წინასწარმეტყველური განჭვრეტაა პოსტშევარდნაძისტული საქართველოს პოლიტიკური მომავლისა, რაზეც ზარების რეკვით მიგვანიშნებს პოეტი (ლ. ც.).*

ლიტერატურული გვერდი

# პური, დედი...

## ვუძღვნი კუჭთა ზეობისათვის შემართულთ, გამყიდველ ქართველ მდიდრებს

თამარ დადიანი



გამთენიისას აყივლდა მამალი:

– ყიყლიყოოო!

აუწყა სოფელს დილის სიამე და... და ბავშვმაც დაჭყიტა თვალები, დედას შეხედა, მერე წამოდგა და... და, ეჰ, დიდხანს უყურა ლოგინად ჩავრდნილს და... მ! ფეხი გადადგა, დედას ემთხვია... დედა? დედა, ეჰ, ტირის, პატრონი არ ჰყავს. კერაგაციებულ ოჯახს თაგვიც არ აწუხებს და...

– ყიყლიყოოო! – ყივის მამალი... ჰმ! ეძებს სხვა ოჯახებიდან ხმის გამცემს, ლამაზს... მაგრამ? ამაოდ. ისიც უპატრონოდაა დარჩენილი, და, ეჰ, საქათმეში გამომწყვდეულს დაკარგული აქვს თავისუფლება და კენტად დარჩენილს ძალა ელევა და მაინც გულის გასახარებლად ყივის მამალი:

– ყიყლიყოოო!

და, ეჰ, პატარა ნინი მამლის გაცრეცილ ხმაზე იღვიძებს მხოლოდ და ახლაც ჩვეულებისამებრ ძილმიტოვებული დგას დედის წინ და... და უცებ... და, ეჰ, დაიხარა, შუბლზე ეამბორა და ყურში ჩასჩურჩულა:

– დედი, ძვირფასო დედი, სიცოცხლევ ჩემო, არ მიმატოვო, არ მიმატოვო, ხომ გესმის ჩემი?! დედი, დედი, ვერ გავძლებ უშენოდ, დედი და ვერც დედი, ჩემო ლამაზო დედი, არასდროს გეტყვი პური მომეცი, დედი... დედი... საყვარელო დედი, ნუ, ნუ მებუტები, სახლიდან წავალ, შიშველფეხება დავივლი სოფელს და... დედი, არ მიმატოვო და... და ყველას ვთხოვ ფულს, ტანსაცმელს, პურს... დედი, დედი, ჩემო ლამაზო დედი, არ გამებუტო, მე გული მტკივა, რომ გამოგწოვე ძუძუდან რძე, სითბო და გაგაციე.

დედა უსმენს თავის გაჩენილ მშვენიერებას... ჰმ! ღონემიხდილი თავისთვის, უხმოდ, სიკვდილსა სთხოვს უფალ–განგებას და, ეჰ! და, მგონი, შვილთა ტანჯვას ვერ უძლევს სული და, აჰა, ცრემლად იღვრება თვალები მისი და, ეჰ! და თითქოს თავის ნებიერას ამხნევებს ამით, მაგრამ? და, არა, არა, დედის სულის ტანჯვა პირმშვენიერისთვის მაინც უხილავია. და, პატარა, ციცქნა ნინი მოსცილდა დედის დარდით ჩამჭკნარ სხეულს და თავის უთაგვო სოროში ტანსაცმელს დაუწყო ძებნა. ჰმ! ძონძად იქცა პატარა ანგელოზთ სხეული... და, ეჰ! უბედურებავ, პალტოთ ნაგლეჯები ფარავს სხეულთ მშვენიერებას და... და, ეჰ, ფეხთ შიშველა აღებს კარს და ისევ დედას... დედას შესცქერის თვალცრემლიანი, თითქოს... და ისევ, ხმამაღლა ყვირის:

– დეე... მე მალე მოვალ, არ მიმატოვო... დავივლი სოფელს და... და პურს, გადამრჩენს, მოვიტან მალე...

ჰმ! ბავშვი გაიქცა. მამალი კი ისევ ყივის:

– ყიყლიყოო!... – ეტყობა უხმობს, მართლაც, ვიღაცას ან, იქნებ, მასაც ამ ბავშვივით შია კიდეც... ჰმ! და არავინ იცის, რა ხდება მაინც და... და დრო მიდის... დღის შუქიც ძალას იკრებს და... და, ეჰ, ბავშვი კარიკარ დადის... საბრალო ეძებს ყველგან ლუკმა–პურს... ჰმ! დამწუხრებული, შავ ტურტლად ქცეული თითებით აღებს სოფლად მცხოვრებთა კარებს და... და რომ ეგონა: „მგონი, გადავრჩი“, ამ დროს ხდებოდა პირიქით უკვე... და შემდგომ ძონძად ქცეული პატარა, ციცქნა, აჰა, და მიადგა ვიღაცას, ეჰ, მოხუცს და:

– დეიდა, მიშველე, მშია... პატარა პურის ნატეხი მინდა. ერთ ლუკმას აქ შევჭამ შენთან, მეორე ლუკმას დედას წავუღებ... დედა მიკვდება...

– ვაიმე, შვილო, რა მოგცე, არ ვიცი, ჩვენც მაგ დღეში ვართ, შიმშილით ვკვდებით... აღარ გვაქვს პური, შაქარი, წყალი და ღვინო... მაგრამ გვაქვს ოქრო და ვერცხლი... ეჰ, რად გინდა, ველარ ვცლით პურში და რძეში...

მოხუცი ტირის და მასთან ერთად კვნესის ხანში შესული კაციც და, უბედურებავ, შიმშილს ამათთვის ჩამოუვლია დასაღუპავად. და, აჰა, ლოგინად ჩაყრილი ძვალზედ გაკრული ტყავი და სული ერთად კვნესის. და, ეჰ, შიმშილისგან თრთის კიდეც სხეულთ ძვალი და...და, უბედურებავ!...

ციცქნა შეშინდა, ატირდა კიდეც, ლოგინად მყოფთა შეცრეცილ ხმაზე თუ...

– ღმერთო, გვიშველე, მოგვიგდე პური... ღმერთო, გვიშველე, მოგვიგდე წყალი, შაქარი, ღმერთო...

ჰმ! და ბავშვი... უჰ! ბავშვი გავარდა ღრიალით სხვასთან და, ეჰ! და კარი გააღო და:

– ძია... დეიდა... ვინცა ხართ აქა... მიშველეთ, მშია, პური მაჭამეთ...

და აქაც, უბედურებავ, მოხუცი ვერ დგება ფეხზე. ჰმ! ლოგინს მიჯაჭვული და, ეჰ! და სიცოცხლეგამომშრალი თვალი ჭერს მიშტერებია... ბავშვი კი? ეჰ, საჭმელს თხოვს მოხუცს, მაგრამ... და ისევ ატირდა ბავშვი... სახე გადაუყვითლდა საწყალს, ტანიც უფრო მეტად აუცახცახდა შიშისგან პატარას და:

– მშია, მშია... მიშველე, ღმერთო... მშია! – ეჰ, თხოვნა–ძახილით მიადგა ახლა სასახლეს და... ბავშვის თვალები სიხარულად იქცა, თუმც მაინც კარი ფრთხილად შეაღო და... და, ეჰ, შესძახა ნაზი ხმით კიდეც:

– მიშველეთ, ვკვდები შიმშილით, კეთილო ხალხო... იქნებ, მისაჩუქროთ ნაგლეჯი პური...

ნინის ყვირილში ქალი ბრილიანტში ჩასმული სხეულით გამოჩნდა, და... და პატარა მათხოვარს ზიზღით შეხედა... ჰმ! და ტუჩები გულთ ამრევად ამოატრიალა და მსახურს უბრძანა:

– გააგდეთ ეგ მათხოვარი ჩემი სახლიდან... გაასუფთავეთ ოთახი ჩქარა მისი სუნისგან.

მსახურმაც თავისი ბანჯგვლიანი ხელით ყურებში ჩაავლო პატარას და... კარი ჩაკეტეს... ბავშვი მიწაზედ გართხმული ტირის... და, ეჰ! და საბრალოს შიმშილი უკორტნის გულს. და, აჰა, მუხლად დაჩოქილი უფალს სთხოვს ისევ შველას:

– უფალო! ღმერთო! გადაგვარჩინე ყველა, ვინც კი ღირსნი ვართ ამ ქვეყნის, ღმერთო!...

და, ეჰ, დღე გადის... პური არ არის ქვეყნად.

ბავშვი? საბრალომ შემოიარა ყველგან სასახლე, ქოხი და რომ დარწმუნდა, ყველა ოჯახში შიმშილი იყო მარტოდ, მიბრუნდა სახლში ტირილით, გლოვით, ჰმ! და კარი გააღო დაღლილმა ბავშვმა... დედას დაადგა თავზე მოსაფერებლად, მაგრამ რას ხედავს, ეჰ... სისხლით მორწყული დედის ლოგინი... და დედა... ოჰ! ლოგინად მყოფი, აღარ სუნთქავს, არ არის ქვეყნად... და, ეჰ, ძუძუ მოეჭრათ საწყალ ქალისთვის და ზედ დაედოთ ქაღალდთ ნაგლეჯი კიდეც...

ბავშვი? და, ეჰ, საბრალომ ქაღალდს მოჰკიდა ხელი, გაშალა თრთოლვით და წაიკითხა:

„მაპატიეთ, რომ შევცოდე, მაგრამ ბრალი არ არს ჩემი. შიმშილი მსპობდა უბედურსა და ამიტომ მოვჭერ ძუძუ, ორთავ ძუძუ... უფალო ღმერთო, პატრონ სახლთა, მაპატიეთ, მაპატიეთ...“

– ვაი, ღმერთო! ეს... ეს რა მოხდა? სად არის ჩემი ლამაზი დედა? ვინ? ვინ მოსჭრა დედას ძუძუ, ღმერთო? ეს... ეს... სად არის ჩემი ძუძები, ღმერთო, სად? ღმერთო! რატომ? რა მოხდა? რისთვის ღმერთო? რატომ მოაჭრეს ძუძუ, ღმერთო, რატომ? ოო... დედა... დედა!!!. – და ცისკენ ხელებაშლილი ნინი ყვირლ–კივლით გარბის. და, აჰა, კიდეც მიადგა ოჯახს, სადაც ცხოვრობს მოხუცი ქალი და შვილები მისი. და ჰმ! მამალი? მამალი უკვე დადუმებული ხმას არ იღებს... და, ეჰ! და დღე ბნელად შეიცრიცა და... და პატარას ყვირილი ისმის მხოლოდ და, აჰა!

– დეიდა მიშველე... დეიდა...

და ბნელი კედლები... და აქაც დუმილი... ჰმ! და აღარ ისმის მოხუცის ხმა და... აჰა! და ნინიმ ბნელში ნაბიჯი გადადგა და... და, ეჰ, უბედურებავ! ფეხი, ფეხი წამოჰკრა რაღაცას და... დაიჩოქა... ჰმ! ხელით შეეხო... და, აჰა, ცხვირი, ყურები, სახე, სისხლი და...

ბავშვი, ოჰ, კივის:

– დეიდა, მიშველე... დეიდა, მიშველე! – ჰმ! აქაც ვიღაც ყოფილა, თურმე და... და, ეჰ, ამისთვისაც მკერდი და... ჰმ, ძუძუები მოუჭრიათ და... და სხვებიც... სხვებიც დახოცილები ყრიან, უბედურებავ!...

ჰმ! ოქრო, ვერცხლი ზედ დაუყრიათ და... და, ეჰ! და სისხლში თუ ძუძებით ხელგავსილები წასულან... ოჰ!! პატარა, ციცქნა, ისევ კივის და ისევ:

– მიშველეთ... მიშველეთ... მიშველეთ!... – და ამ ძახილით მიადგა იმ ლამაზ სასახლეს, საიდანაც... და საბრალოს პურის თხოვნა სურდა, მაგრამ? ეჰ! აქაც... აქაც საშინელება და... და ყურებდაჭრილი გვამები დაუყრიათ ძირს და... მსახური? ეჰ, მსახურის არც გვამია და არც ცოცხალი ჩანს სადმე... და, ეჰ! უბედურებავ, ნახე, ციცქნამ გვამებზე იპოვა პური, რძე, შაქარი, ფული, ოქრო და... ჰმ, ლუკმად დაღეჭა პურთ ნამცეცი და... უცებ ატირდა, ატირდა მწარედ... და, ეჰ! და გლოვად ქცეული გარბის შინ და აღარ უნდა პური, ოქრო, შაქარი, ვერცხლი... თუმც პურთ ნამცეცი ხელთა აქვს და... და დედა, მხოლოდ დედა... აჰა, დედის თვალებიც და... და, ეჰ! და ქარმა კიდეც წააქცია პატარა ნინი. და პურთ ნამცეცით მიწაზე გორაობს საბრალო. და, აჰა, ქარი ისევ, და ისევ ნინი, ეჰ, წაჰგლიჯა პალტოთ ნაგლეჯი და მტვერში ამოგანგლული დედის გვამთან გადააგორა. ეეჰ, საბრალომ წუთიერად წამოსწია თავი, დედის სისხლიან მკერდს შეხედა, ჩაეკრა და ისევ წყნარად წასჩურჩულა:

– მშია, დედი... ჩემო ლამაზო დედი... დე... დიიი!... – და ეს უკანასკნელი ჩურჩული თუ ამოძახილი ზეცად აიჭრა დედის სულთან ჩახუტებული და... და, ეჰ, სოფელი? სოფელი კი დარჩა მამალთ გარეშე და...

***1996 წ. ვარდობისთვე.***



# სადავო ტერიტორიების მოსახლეობის ეთნიკური შემადგენლობა

ენდრიუ ანდერსენი
*პოლიტოლოგიისა და ისტორიის პროფესორი, კალგარის უნივერსიტეტის*
*სამხედრო-სტრატეგიული კვლევების ცენტრის კავკასიის სპეციალისტი*

სომხური მხარე ორ სადაო მაზრას სომხეთის შემადგენელ ნაწილად თვლიდა მათი მოსახლეობის ეთნიკური შემადგენლობის მიხედვით. ფაქტობრივად, XX საუკუნის დასაწყისში, ამ ორი მაზრის მოსახლეობის მნიშვნელოვან ნაწილს ეთნიკური სომხები შეადგენდნენ, ქართული მოსახლეობა კი შეადგენდა მხოლოდ უმნიშვნელო უმცირესობას.

**სრულიად რუსეთის 1897 წლის აღწერით ამ ორი მაზრის მოსახლეობა ხასიათდებოდა შემდეგნაირად:**

| ბორჩალოს მაზრა | | | ახალქალაქის მაზრა | |
|---|---|---|---|---|
| ეთნიკური კუთვნილება | % მთელი მოსახლეობიდან | | ეთნიკური შემადგენლობა | % მთელი მოსახლეობის |
| სომხები | 32.1 | | სომხები | 71.1 |
| თათრები[1] | 31.3 | | თათრებიТатары | 10.2 |
| ქართველები | 3.6 | | ქართველები | 6.2 |
| რუსები | 5.6 | | რუსები | 9.4 |
| ბერძნები | 16.7 | | ბერძნები | 0.1 |
| გერმანელები | 1.4 | | ქურთები | 1.1 |
| სხვანი | 9.3 | | სხვანი | 1.9 |

**ცხრილი 1: ბორჩალოსა და ახალქალაქის მაზრების მოსახლეობის დაყოფა ეთნიკურ ჯგუფებად (წყარო: 1897წლის 9თებერვლის რუსეთის იმპერიის მოსახლეობის საყოველთაო აღწერა)**

როგორც ზემოთმოყვანილი ცხრილიდან სჩანს, ბორჩალოს მაზრაში სომხები მოსახლეობის მესამედზე ცოტა ნაკლებს შეადგენდნენ, ამიტომ ის წარმოადგენდა ყველაზე მრავალრიცხოვან ეთნიკურ ჯგუფს. მაზრის სამხრეთით, ლორის მხარეში სომხები შეადგენდნენ მოსახლეობის აბსოლუტურ უმრავლესობას. მხოლოდ მხარის დასავლეთში კომპაქტურად ცხოვრობდნენ რუსი სექტანტები (მალაკანები), ალავერდის რაიონში კი ბერძნები.

ბორჩალოს მაზრის ჩრდილოეთი ნაწილი კი უფრო ჭრელი იყო, ზემოთ ჩამოთვლილი ეთნიკური ჯგუფებიდან იქ ბევრი თათარი ცხოვრობდა, აგრეთვე მნიშვნელოვანი იყო რიცხვი გერმანელებისა და ქართველებისა.

**ბორჩალოს მაზრის ეთნიკური ხასიათი XIX საუკუნის ბოლოსათვის გამოიყურებოდა ამგვარად:**

| მხარე | ცენტრი | მთელი მოსახლეობა | მ. შ. ქართვ. | მ.შ. სომეხი | მ.შ. თათარი | მ.შ. რუსი | მ.შ.. ბერძენი | მ.შ. სხვანი |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| ბორჩალო | შულავერი | 19109 | 8 | 6724 | 12377 | 0 | 0 | 0 |
| ეკატერინენფელდი | ეკატერინენფელდი | 13973 | 560 | 1436 | 10028 | 8 | 727 | 1214 |
| ლორე | ჟელალ-ოღლი | 32786 | 27 | 23339 | 1657 | 5315 | 2368 | 80 |
| თრიალეთი | ბაშკიჩეტი | 35989 | 3578 | 6333 | 8974 | 701 | 15891 | 512 |
| სულ მაზრაში | | 101857 | 4173 | 37832 | 33036 | 6024 | 18986 | 1806 |

***ცხრილი 2:ბორჩალოს მაზრის მოსახლეობის დანაწილება ეთნიკურ ჯგუფებად (წყარო: თბილისის გუბერნიის მოსახლეობის კომლების სია 1887 წ.)***

ბორჩალოს მაზრაში ისტორიულად უძველესი დროიდან სახლობდნენ როგორც სომხები, ასევე ქართველებიც, რაზეც მეტყველებენ არქიტექტურისა და კულტურის ძეგლები. კერძოდ, მაზრის სამხრეთის არქიტექტურული მემკვიდრეობა – ისტორიული ლორეს (ლეორეს მხარის) მიუთითებს, როგორც ქართული ასევე სომხური კულტურის არსებობის ნაკვალევზე. უპირველეს ყოვლისა ეს არის სომხური მონასტრები ოძუნში, სანაინსა და ახტალაში, აგრეთვე ქართული ეკლესიები ახტალასა და აქორში (ყველანი შუასაუკუნეების პერიოდისა). ამავე დროს ყოფილი მაზრის ჩრდილოეთით კულტურის ძეგლთა ხასიათში ლორესთან შედარებით უფრო მეტად სჭარბობს ქართული ელემენტი (მაგალითად უძველეს ქართულ ეკლესიათგან ჩვენამდის მოღწეული – V საუკუნის ბოლნისის სიონი აუტენთური ეპიგრაფიული წარწერით).

***ქართული ეკლესია ახტალაში***



***სომხური მონასტერი სანაინში***



თითქმის ოთხსაუკუნოვანმა განუწყვეტელმა ომებმა, რომელთაც თან მოჰყვა რუსეთის მიერ საქართველოს შთანთქმა, გამოიწვია ქართლ-კახეთის სამეფოს სამხრეთ-დასავლეთის საზღვრების ეთნიკური სურათის შეცვლა, რომლის შემადგენლობაში შედიოდა ბორჩალო, შამშადინი და ბამბაკი (მოგვიანებით ორი უკანასკნელი ოლქი შევიდა ელიზავეტპოლისა და ერევნის გუბერნიების კახზახისა და ნაწილობრივ ალექსანდროპოლის მაზრების შემადგენლობაში).

მუსულმანური სახელმწიფოების – ოტომანთა იმპერიის და ირანის - ექსპანსიისა და მომთაბარე ტომების გამუდმებული თავდასხმების შედეგი იყო ბორჩალო-ბამბაკის ქრისტიანი მიწათმოქმედი მოსახლეობის (ქართველებისა და სომხების) ამოწყვეტა ან წასვლა მშობლიური ადგილებიდან. დაცარიელებულ ტერიტორიებზე დასახლდნენ თურქული მომთაბარე ტომები, რომელთა შთამომავლები აქ დღესაც ცხოვრობენ. 3

რუსეთთან მიერთების შემდეგ იმპერიული ადმინისტრაცია ცდილობდა მხარის ნაწილობრივი დეპოპულაციის კომპენსირებას და მისი იქ ყოფნის გამყარებას, ამიტომ ასახლებდა იქ თურქეთიდან წამოსულ ქრისტიან ლტოლვილებს (სომხები და მცირე რაოდენობის ბერძნები), აგრეთვე ცენტრალური რუსეთიდან და გერმანიიდან ჩამოყვანილ კოლონისტებს.

რაც შეეხება ახლაქალაქის მაზრას, როგორც I ცხრილიდან ჩანს, სომხები XX საუკუნის დასაწყისისთვის შეადგენდნენ მოსახლეობის საერთო რაოდენობის სამოცდაათ პროცენტზე მეტს; ქართველების პროცენტი ბორჩალოსთან შედარებით რამდენადმე მაღალი იყო, მაგრამ მცირედით აღემატებოდა მოსახლეობის საერთო რაოდენობის 6 % -ს. ამგვარი ეთნო-ლინგვისტური სურათი ჯავახეთში (ახალქალაქის მაზრაში) ჩამოყალიბდა გაცილებით მცირე პერიოდის განმავლობაში, ვიდრე მეზობელ ბორჩალოში, კერძოდ კი XIX საუკუნის ბოლო ორ მესამედის განმავლობაში, როდესაც ეს ტერიტორია თურქეთიდან გადავიდა რუსეთის შემადგენლობაში.

ქართველთა უმრავლესობის რამოდენიმე თაობა, რომლებიც ჯავახეთში 1827 წლისათვის (მორიგი რუსეთ-თურქეთის ომის დაწყებამდის) ცხოვრობდნენ, ოტომანთა იმპერიის მუსულმანებისადმი ლოიალურად იყო განწყობილი და მხოლოდ უნიშვნელო რაოდენობა იყო მართლმადიდებლური ან კათოლიკური (ქართველები, რომლებიც უარს ამბობდნენ მიეღოთ ისლამი ან კათოლიციზმი XVII- XVIII საუკუნეების განმალვობაში მასიურად გამოაძევეს ამ მხარიდან). 4

1828-29 წწ. ომის მსვლელობისას გამუსულმანებული ქართველი-ჯავახები მედგარ წინააღმდეგობას უწევდნენ რუსეთის არმიას, ომის შემდგომ მათმა უმარავლესობამ დატოვა ტრადიციული საცხოვრისი და წავიდა თურქეთში. მათი ადგილები დაიკავა უმეტეს წილად თურქეთის ერზერუმის ვილაიეთიდან გადმოსახლებულმა სომხებმა, რომლებიც მოწვეულნი იქნენ რუსეთის იმპერიის მთავრობის მიერ.

ყოფილ ახალქალაქის მაზრაში ისტორიულ-არქიტექტურული სიტუაცია განსხვავდებოდა, აგრეთვე ბორჩალოსაგან. აქ ჩვენ ვხედავთ ადრეული და განვითარებული შუასაუკუნეების ქართული კულტურული მემკვიდრეობის ძეგლების დიდ რაოდენობას, რომელიც მოიცავს ციხე-ქალაქ ვარძიას, ზედა თმოგვის კლდოვან-მონასტრულ კომპლექსს, აზავეთის, ფოკას, კუმურდოს ეკლესიებსა და მრავალ სხვა არქიტექტურულ ძეგლს. ამავე დროს სომხური ეკლესიები ახალქალაქის მაზრის ტერიტორიაზე არის არაუხნესი XIX საუკუნისა.

***შუასაუკუნეების ვარძიის მონასტერის კედლის ხატწერის ფრაგმენტი და სამრეკლო***





და ბოლოს, ზემოთთქმულიდან გამომდინარე საჭიროებს დამატებას, რომ პირველი მსოფლიო ომის მსვლელობისას, ორთავე მხარეში ჩამოვიდა თურქეთიდან დევნილი სომეხი ლტოლვილების დიდი რაოდენობა, რომლებიც გადაურჩნენ 1915-1918 წლების ეთნიკურ წმენდებს.

## დასკვნა

ამჟამად სიტუაცია საქართველო-სომხეთის საზღვრის რაიონში შემდეგნაირად გამოიყურება. თვით საზღვრის ხაზი პრინციპში უცვლელად დარჩა 1921 წლის 6 ნოემბრის ხელშეკრულებიდან მოყოლებული. ყოფილი ორი მაზრის სადავო ტერიტორია პირობითად შეიძლება დაიყოს სამ ზონად.

**ზონა „ა“** – ყოფილი ბორჩალოს მაზრის ყოფილი ლორეს ნაწილი ზემოთ აღწერილი მცირედი მატებით, დღესდღეობით სომხეთის შემადგენლობაში მყოფი (დღეს – სამი პროვინციის შემადგენლობაში: დიდი ნაწილი – ლორეში, აგრეთვე ნაწილობრივ შირაქსა და თავუშში). ეს ზონა არ წარმოადგენს საქართველოს პრეტენზიის საგანს, რამდენადაც თანამედროვე საქართველოს არ გააჩნია ტერიტორიული პრეტენზიები მეზობელ სახელმწიფოებთან და მათ შორის სომხეთთანაც, არც სახელმწიფოებრივ დონეზე და არც მასების შეგნებითაც. ზონა „ა“-ს ეთნიკური შემადგენლობა შეიცვალა 1918 წლის დეკემბრის ომის პერიოდთან შედარებით. სხვადასხვა ვითარებათა ძალით, რომლებიც ამ კვლევის ფარგლების გარეთ რჩება, ეს ტერიტორია ფაქტიურად გახდა მონოეთნიკური: თითქმის მისი მოსახლეობის ასი პროცენტი სომხები არიან. არსებობს მცირედი ნარჩენები ბერძნული და რუსული თემებისა.

**ზონა „ბ“** – ბორჩალოს მაზრის ყოფილი ჩრდილოეთის ნაწილი, რომელიც საქართველოს შემადგენლობაშია (ქვემო ქართლის შვიდი რაიონიდან ოთხი: წალკის, დმანისის, ბოლნისის და მარნეულის) წალკის რაიონი, დღეისათვის ეთნიკური სომხებით დასახლებული და თითქმის ორი მესამედით ბერძნებით (ნახეთ 3-ე ცხრილი), იყო მაზრის ერთადერთი ნაწილი, რომელიც ოფიციალურად 1918 წელსაც კი არ იდავებოდა სომხეთის მიერ.

| ყოფილი ბორჩალოს მაზრის ჩრდილოეთი 1989 წლის მდგომარეობით | | |
|---|---|---|
| თანამედროვე რაიონი | ძირითადი ეთნიკური ჯგუფი | % რაიონის მთელს მოსახლეობასთან |
| წალკის | ბერძნები | 61 |
| დმანისის | აზერბაიჯანელები | 63.9 |
| ბოლნისის | აზერბაიჯანელები | 66 |
| მარნეულის | აზერბაიჯანელები | 76.3 |

**ცხრილი 3: ყოფილი ბორჩალოს მაზრის ჩრდილოეთის დომინირებული ეთნიკური ჯგუფები მეოცე საუკუნის ბოლო მდგომარეობით (წყარო 1989 წლის სსრკ-ს მოსახლეობის საყოველთაო აღწერა).**

რაც შეეხება დანარჩენ სამ რაიონს (მაზრის ის ნაწილი, რომელიც იდავებოდა სომხეთის მიერ, მაგრამ დარჩა საქართველოში 1919 წლის 17 იანვრის ხელშეკრულებით) არსებითად შეიცვალა, აგრეთვე მათი ეთნიკური შემადგენლობაც ბოლო 90 წლის მანძილზე და დღეს იქ აზერბაიჯანელები წარმოადგენენ გარდამავალ ეთნიკურ უმცირესობას (ცხრილი 3). შესაძლოა დღეს ამიტომაც საკითხს ამ ზონის სომხეთის კუთვნილების შესახებ, არც არვინ აყანებს.

(ბ) **ზონა „ბ“** –ყოფილი ახალქალაქის მაზრა (სამცხეჯავახეთის მიწის ექვსი რაიონიდან ორი: ახალქალაქისა და ნინოწმინდის რაიონები). როგორც ცხრილი 4-დან ჩანს, XX საუკუნის დასაწყისთან შედარებით, მის ეთნიკურ შემადგენლობაში არსებითი ცვლილებები არ მომხდარა.

| ყოფ. ახალქალაქის მაზრა 1989 წლის მდგომარეობით | | |
|---|---|---|
| თანამედროვე რაიონი | ძირითადი ეთნიკური ჯგუფი | % მთელს მოსახლეობასთან შედარებით |
| ახალქალაქი | სომხები | 91.3 |
| ნინოწმინდა | სომხები | 89.6 |

**ცხრილი 4: ყოფილი ახალქალაქის მაზრის დომინირებული ეთნიკური ჯგუფები XX საუკუნის დასასრულის მონაცემებით (წყარო: სსრკ-ში 1989 წლის საყოველთაო აღწერა) (1)**

სომხეთის პრეტენზიები ოფიციალურ დონეზე ამ ზონაზე მოცემულ მომენტში არ არსებობს. მხოლოდღა, მასების თვითშეგნების დონეზე, ბოლო ათწლეულის მიმდინარეობისას, საქართველოსა და სომხეთის დამოუკიდებლობის აღდგენიდან სწორედ ზონა „ბ“ იყო სუბიექტი, რომლის ირგვლივაც რუსეთის განსაზღვრული მასობრივი საინფორმაციო საშუალებებით და ნაწილობრივ სომხეთისაც, მიმდინარეობდა საზოგადოების შეგნების აქტიური დამუშავება, როგორც სომხეთში, ასევე სომხურ დიასპორებში, რომელიც მიმართული იყო კონფლიქტური სიტუაციის შექმნისა და მაქსიმალური დაძაბულობისაკენ. სწორედ 80-იანი წლების ბოლოს აღმოცენდა ისეთი იდეოლოგემა როგორიცაა „სომხური ჯავაკხი, რომელსაც უკანონოდ ფლობს საქართველო“ და მიმართული იყო საქართველოს სომხებით დასახლებული ოლქების „მეორე ყარაბახად“ გადაქცევისაკენ. დღეს პროპაგანდისტულ კამპანიას, რომელიც მიმართულია სომხეთ –საქართველოს საზღვრის ზონაში დესტაბილიზაციისაკენ, მოცული აქვს მრავალრიცხოვანი ინტერნეტ-რესურსები, რომლებიც პრეტენზიას აცხადებენ მთელი სომეხი ხალხის ინტერესების წარმოჩენაზე. არ იქნება გადაჭარბებული თუ ვიტყვით, რომ უმეტესწილად სომხეთისა და საქართველოს ხელმძღვანელობის აწონილი და თავშეკავებული პოზიციების წყალობით, ამ ხნის განმავლობაში, თავიდან იქნა აცილებული ჯავახეთის საკიხის კონფლიქტად გადაქცევა, პრობლემა არ დასულა მასიურ ძალმომრეობაზე, როგორც ეს მოხდა სამხრეთ კავკასიის სხვა რეგიონებში, და პროგრამაში არ იქნა დაშვებული სამხედრო ზეწოლა საქართველოზე რუსეთის ფედერაციის მხრიდან, რომელიც პრაქტიკულად ხორციელდება 1989 წლიდან მოყოლებული დღემდის. ჯავახეთში პოლიტიკური სიტუაციის გაუმჯობესების განსაკუთრებული დადებითი იმპულსი იყო იქედან 2006 წელს რუსეთის სამხედრო ბაზის გაყვანა, აგრეთვე მთელი რიგი ინფრასტრუქტურული და ეკონომიკური პროგრამების გატარება საქართველოს ცენტრალური მთავრობის მიერ. ახლანდელი ჯავახეთის მთელი რიგი ეკონომიური და სოციალური პრობლემების, აგრეთვე 1918 წლიდან სომხეთ-საქართველოს ურთიერთობების გამოცდილების გათვალისწინებით, საქართველოს შესაძლებელია მიეცეს შემდეგი რეკომენდაციები მთელი რიგი კონფლიქტურსაშიშ ფაქტორების ნეიტრალიზაციისათვის მითითებულ ზონაში:

ზონა „ბ“ მოსახლეობის მაქსიმალური ინტეგრაციის ხელშეწყობა საერთო ქართულ ეკონომიკურ და სოციალურ პროცესებში

შეიქმნას აღნიშნულ ზონაში ადგილობრივი მმართველობის კადრები, რომლებიც განათლებას ქართულ უმაღლესსასწავლებლებში მიიღებენ

რეგიონის მოსახლეობისათვის ქართული ენის შესწავლის ხელშეწყობა სომხური თვითშეგნების შენარჩუნებით

ხელი შეეწყოს ამ ზონაში ინვესტიციების საკეთილდღეო მდგომარეობის შექმნას (უკანასკნელი შეიძლება პროდუქტიული აღმოჩნდეს მხოლოდ სხვა რეკომენდაციების გათვალისწინებით, რომლებიც მოყვანილია, როგორც ზემოთ, ასევე ქვემოთ. წინააღმდეგ შემთხვევაში შესაძლებელია აღმოჩნდეს კონტრპროდუქტიული)

განვითარდეს ადგილობრივი თვითმმართველობა, ამასთანავე თავიდან იქნას აცილებული ტერიტორიულ-კვაზისახელმწიფოებრივი ავტონომიის წარმოქმნა აფხაზეთისა და ოსური ავტონომიის მაგალითზე, რომელთა განვითარებამ მიგვიყვანა ომებამდის და ეთნიკურ წმენდამდის

განსაკუთრებული ყურადღება მიექცეს ზონის სასწავლო დაწესებულებებში ისტორიის ობიექტურ სწავლებას, მათ შორის სომხურ ენაზეც, რომელიც წინ აღუდგება ისტორიული მითების შექმნას, რომელიც საზოგადოების შეგნებაში ჩანერგილია დესტრუქციული ძალების მიერ

ზონა „ბ“-ს მოსახლეობაში ჩატარდეს განმარტებითი პოლიტიკა, რომელიც შეძლებს მოსახლეობის მასებში გაცნობიერებას, რომ სახელმწიფო საზღვრები სრულიად არ არის აუცილებელი ეყრდნობოდეს ეთნიკურს, აგრეთვე ისიც რომ ამა თუ იმ ტერიტორიის გადასვლას მეზობელი სახელმწიფოს იურისდიქციაში შესაძლებელია ჰქონდეს უარყოფითი შედეგები, რომლებიც არსებითად გადააჭარბებს ტერიტორიულ მონაპოვარს, მოიყვანონ მაგალითები იმის შესახებ, რომ თუ როგორ შეიძლება ამგვარი ცვლილებები გადაიქცეს ადგილობრივი მოსახლეობისათვის დიდ უბედურებად

შესწავლილ და დანერგილ იქნას მსოფლიოს სხვა რეგიონების გამოცდილება ანალოგიურ პრობლემებში

სუბიექტური და ობიექტური წინააღმდეგობების თანმიმდევრულმა დალაგებამ, რომელიც შეიქმნა სომხეთ-საქართველოს საზღვრის ზონაში, შესაძლებელია ხელი შეუწყოს რეგიონალურ სტაბილიზაციას და გამოდგეს დადებით მაგალითად რეგიონში სხვა კონფლიქტების წარმატებით გადაჭრისათვის, რომელიც ამჟამად განვითარების უფრო საშიშ სტადიაში იმყოფება.

## მოღალატის განცხადება



ედუარდ შევარდნაძის პოლიტიკურ ბიოგრაფიას თუ ვინმე ერთი სიტყვით შეაფასებს ეს სიტყვა შეიძლება იყოს მხოლოდ და მხოლოდ ღალატი. ახლახან ამ სამშობლოს მოღალატემ და ხალხის მტერმა მორიგი მავნებლური „სიბრძნე“ იღაღადა. ედუარდ შევარდნაძემ განაცხადა: „აფხაზეთი საქართველოს ჩვეულებრივი რეგიონი ველარასდროს გახდება“ (გაზეთი „ასავალ–დასავალი“, 2011 წელი 27 ივნისი – 3 ივლისი № 26 (873). 1992 წლის 11 აგვისტოს ე.წ.“სახელმწიფო საბჭოს“ სხდომაზე, მან და მისმა ხუნტისტურმა ბანდამ დაგეგმეს და განახორციელეს საქართველოს სახელმწიფოს სუვერენიტეტისა და ტერიტორიული ერთიანობის წინააღმდეგ მიმართული ოპერაცია, რომლითაც 1992 წლის 14 აგვისტოს შემდეგ აფხაზეთიდან გამოიდევნა ასეულ ათასობით ქართველი და საქართველოს ერთგული სხვა ეთნიური წარმოშობის ადამიანი, ხოლო ეს ძირძველი ქართული მიწა რუსეთის იმპერიალისტური მუხლუხებით სასრეს პოლიგონად აქცია.

ედუარდ შევარდნაძევ, დღეს ამ სიტყვებით მხოლოდ ერთს ამტკიცებ, რომ საქართველოს სამტროდ და საღალატოდ მოევლინე და თუ ისტორიაში შეხვალ, შეხვალ მხოლოდ სამშობლოს მოღალატისა და ხალხის მტრის სახელით.

## კონსერვატიზმის დეგრადაცია

დიდი ბრიტანეთისა და ჩრდილოეთ ირლანდიის გაერთიანებული სამეფოს პრემიერ–მინისტრმა დევიდ კამერონმა, ოფიციალურად განაცხადა თავისი მთავრობის გადაწყვეტილება, ეკონომიკური დახმარება შეუწყვიტოს ყველა განვითარებად ქვეყანას ვინც სასწრაფოდ არ დააკანონებს ერთსქესიანთა „ქორწინებას“. ედუარდ შევარდნაძის დამსახურებით საქართველო „განვითარებადთა“ რიგებს განეკუთვნება. კონსერვატორი სახელმწიფო–პოლიტიკური ლიდერის ეს ოფიციალური მოთხოვნა „ადამიანის უფლებების დაცვის“ საფარველშია გახვეული. ეჭვიც არავის შეეპაროს რომ ამ ულტიმატუმს აქაური „მეხუთე კოლონა“ გულისფანცქალით ელოდა. წინ ჩვენს ქვეყანას ამ საქმისთვის „დამაშვრალთა“ ხმამაღალი კაკაფონია ელოდება. მათთვის კი, ვისთვისაც ადამიანის უფლებები ადამიანის დეგრადაციას არ ნიშნავს, ეს ულტიმატუმი დიდი და კატასტროფული საფრთხის შემცველია და ამ გამოწვევას, ჩვენის მხრივ ორგანიზებული და კოორდინირებული წინააღმდეგობა უნდა დახვდეს. ეს ყველა ჩვენთაგანის ვალია წარსულის, აწმყოსა და მომავლის წინაშე.

**P. S. სერ უინსტონ ჩერჩილი ვერ მოესწრო კონსერვატორი ბრიტების ამ მორალურ–პოლიტიკურ კულბიტს, თორემ ლიბერალთა რიგებიდან კონსერვატორებში, არც არასდროს გადაეწერებოდა და თავის პოლიტიკურ მომავალს რაიმე სხვა იდეოლოგიას დაუკავშირებდა.**

საქართველოს პირველი პრეზიდენტის ზვიად გამსახურდიას გარდაცვალებასთან დაკავშირებული საკითხების შემსწავლელი საქართველოს პარლამენტის დროებითი კომისიის

გაგრძელება. დასაწყისი იხ. „განმათავისუფლებელი“ №29 გვ.14–15

# დასკვნითი დოკუმენტი

(თბილისი 2011)

***წინააღმდეგობის მოძრაობის წევრის, ქალაქ ზუგდიდის კომენდანტის ბადრი ზარანდიას ჩანაწერებიდან: 1992 წლის თებერვალი, აბაშა.***

ფართო საზოგადოებას დააინტერესებდა, ვინ იდგა ჩემი თანამებრძოლების უკან, ვისგან მოდიოდა ბრძანება მთავარსარდლის განადგურების შესახებ და ვინ იყო უშუალოდ ქალაქ ზუგდიდში ცენტრიდან გადმოსროლილი ამ ბრძანების შესასრულებლად. ქალაქ ზუგდიდში პრეზიდენტის განადგურების საკითხს უშუალოდ ხელმძღვანელობდა უშიშროების სამინისტროს დაქვემდებარებაში მყოფ სპეცრაზმის „ალფას“ დაჯგუფების უფროსის მოადგილე პოლკოვნიკი ბასიკაშვილი, რომელსაც ჩემმა თანამებრძოლებმა ხუთჯერ – ექვსჯერ შემახვედრეს ქალაქ ზუგდიდის „ტაქსოპარკის“ ტერიტორიაზე, სადაც მაშინ „ალფას“ დაჯგუფება იყო დისლოცირებული. პოლკოვნიკ ბასიკაშვილის თქმით, პრეზიდენტის მკვლელი აუცილებლად ზვიადისტი უნდა ყოფილიყო. ამასთანავე, პრეზიდენტის ფიზიკურად განადგურების შემდეგ პრეზიდენტის სხეულს წაიღებდნენ კახეთის რეგიონში, რითაც კვალი უნდა მოესპოთ. მე მეძლეოდა 1000000 (ერთი მილიონი) ამერიკული დოლარი, რომელიც, მისი თქმით, პრეზიდენტ ზვიად გამსახურდიას თან ჰქონდა. ამასთანავე, საზღვარგარეთ გასვლასაც მპირდებოდნენ. მისი მხრიდან ჩემ მიმართ მუქარას ადგილი არ ჰქონია, ვინაიდან მუქარას თავად ჩემი თანამებრძოლები ახორციელებდნენ. შეკითხვაზე, თუ ვინ იძლეოდა ბრძანებას, პასუხი იყო შემდეგი: საქართველოში პირველი კაცი. დიახ, პრეზიდენტ ზვიად გამსახურდიას მოკვლის ბრძანება მოქალაქე ედუარდ შევარდნაძისგან მოდიოდა. პრეზიდენტი და პრემიერ–მინისტრი უნდა დახოცილიყვნენ მათი გაანგარიშებით დეკემბრის პირველ ნახევარში. როგორც კი დარწმუნდნენ, რომ პრეზიდენტი ზვიად გამსახურდია ჩემთან შეხვედრაზე არ გამოდიოდა, მას შემდეგ ჩემი თავი გადააბარეს მაშინდელ ზუგდიდის შ.ს. სამმართველოს პოლკოვნიკ ადამიას. სრულიად შემთხვევით ჩემმა მშობლებმა და ნათესავებმა გაიგეს ჩემი ცოლ – შვილის დატყვევება და მათი ჩარევით მოხდა მათი გათავისუფლება. გათავისუფლების მეოთხე დღეს შევხვდი ჩემს ერთგულ მეომარს და დავიწყე პრეზიდენტ ზვიად გამსახურდიას ძებნა, რა დროსაც შევხვდი ერთ–ერთ პოლიტიკოსს და მოვახსენე მომხდარის შესახებ. მესამე დღეს საქართველოს ტელევიზიით გამოაცხადეს, რომ საქართველოს პრეზიდენტი მოკლეს. საქართველოს ბედუკუღმართ ისტორიას ალბათ დასჭირდება თუ ვინ იყვნენ ჩემი თანამებრძოლები:

1. ბეჟან წურწუმია, 1992 წლის მარტიდან დაწყებული იბრძოდა ჩემს გვერდით, 1992 – 93 წელებში მონაწილეობა მიიღო თითქმის ყველა საომარ ოპერაციაში. ერთი წელი ცხოვრობდა ჩემს საკუთარ სახლში, ეს იყო ყველაზე აქტიური წევრი, რომელსაც უნდოდა პრეზიდენტის სიკვდილი. მზად იყო, თვითონ ესროლა ბატონი ზვიადისთვის. მუქარა პატარა სლავიკას სიკვდილით დასჯის შესახებ მოდიოდა მისგან. სამაგიეროდ, ღალატის ფასად დღეს ქალაქ თბილისში აჩუქეს ბინა.

2. ბესიკ ხარებავა – კანონიერების აღსადგენად 1992 წლიდან ჩემ გვერდით იბრძოდა.

3. გია სარია – 1993 წლის იანვრიდან იყო ჩვენ გვერდით, იბრძოდა აფხაზეთში.

4. გოჩა სარია – ამ უკანასკნელის ძმა, ერთ–ერთი ორგანიზატორი ბეჟან წურწუმიასთან ერთად. ზოგიერთ სხვა საკითხსაც ნათელს მოჰფენს ჩემს ხელთ არსებული ინფორმაცია. კანონიერი ხელისუფლების აღდგენის დროს, რომლის მასალების ორიოდე ეგზემპლიარი 1992–93 წლებში მომხდარი მოვლენების შესახებ ქვეყნის გარეთ დევს, რომლებიც დიდი საგანძური იქნება ჩვენი ერის ისტორიისთვის.

რომეო კუჭუხიძის მხარე ბრალს სდებდა პრეზიდენტის დაცვას, რომ გროზნოში იარაღი იაფ ფასში არ აყიდინეს. კერძოდ, საუბარი ეხებოდა სოსო თორიას, რომ ეს იყო ვალტერ შურღაიას ერთ–ერთი დაახლოებული პირის, მიშა დადიანის, სისხლით ნათესავი. პრეზიდენტმა მიშა დადიანი სამხედრო საბჭოში შეიყვანა, ხოლო რომეო კი გამოიყვანა. რასაც, თავის მხრივ, დიდი უკმაყოფილება მოჰყვა.

ერთ-ერთმა ჩემმა თანამებრძოლმა გურამ მამფორიამ, რომელიც დატოვებული იყო ქალაქ ზუგდიდში, ჩემი ქალაქ ფოთში ყოფნისას გზაში დაიჭირა გურამ აბსანძის ძმა, რომელიც მიუძღვოდა პურის ფქვილით დატვირთულ კოლონას, როგორც შემდეგ ჩემთვის გახდა ცნობილი, აბსნაძის ძმა უცემიათ კომენდანტურაში. რაც შეეხება, რომ ლოთი ქობალიას 2500 გვარდიელი ჰყავდა, ეს სიცრუეა, სულ ეროვნული გვარდიის რიგებში 2000 კაცი იქნებოდა, მათ შორის, ზუგდიდის კომენდანტურაში – 150 კაცი, წალენჯიხის ბატალიონში – 150 კაცი, სენაკის ბატალიონში – დაახლოებით 100–150 კაცი, გურიის პოლკში – 200 კაცი. ჯიხა ოდიშის ბატალიონი დაახლოებით 200 კაცი. კისავის ჯგუფი 30 – 40 კაცი. №16 ბატალიონი 30–40 კაცი. ბატალიონი კოლხეთი დაახლოებით 60 კაცი. სპორტსმენთა ბატალიონი რამდენიმე კაცისაგან შედგებოდა. ჯვარის ბატალიონი 40–60 კაცი. გორის ბატალიონი 20–30 კაცი. ზურა ირემაძის 40 კაცი, სპორტული სამსახური 40 კაცი. ტრადიციონალისტები 30 კაცი.



რა როლი ითამაშა ოთარ ფაცაციამ ზუგდიდის ბინძურ თამაშებში?

ფაცაცია არც ძებნაშია და არც ჩანს, როგორც მთავარი ობიექტი. არადა, ოთარ ფაცაცია აკონტროლებდა თითქმის ყველა დაჯგუფებას, რაც მიგვანიშნებს, რომ ოთარ ფაცაცია უცებ პრემიერ–მინისტრად დაინიშნა. მასთან ერთად ამ თამაშს თამაშობდა ოთარ უბილავა. ზაურ ქობალიას, სასამართლო პროცესზე დაკითხულმა ერთ–ერთმა მოწმემ უჩვენა, რომ ის პრეფექტად დანიშნეს ოთარ ფაცაციამ, თემურ ფიფიამ და ვახტანგ ქობალიამ. გოჩა ოთხოზორიას სასამართლოზე გოჩამ უჩვენა, რომ ოთარ ფაცაციას თხოვნით იცავდა წისქვილ–კომბინატს. ზუგდიდში ტარდებოდა თათბირი რეგიონალურ დონეზე. ეროვნული გვარდიის შტაბში ყოფნისას ლოთი ქობალიამ მთხოვა, გავყოლოდი თათბირზე, იქ თათბირზე იმყოფებოდა, ორმოცამდე სხვადასხვა ორგანიზაციის დირექტორი. მომხსენებლები გამოდიოდნენ თათბირზე სხვადასხვა რაიონიდან. ბოლოს ლოთიც გამოვიდა სიტყვით. მე თათბირი მივატოვე, იქიდან გამოსულს შემხვდა პროკურორი კიაზო მანია და მილიციის უფროსი თორნიკე ქირია, რომლებსაც შევპირდი, რომ გავაჩენდი გვარდიელებს და დავშლიდი მათ. ხოლო იმ საღამოს გაეშალათ სუფრა კომბინატში, სადაც პრეზიდენტის დაცვის უფროსს მარგველანს მარგიანმა ტყავის დუბლიონკა აჩუქა. სწორედ ასეთი ქმედებების შემდეგ ოთარ ფაცაცია ჩვენს ნათქვამს აინუნშიც არ აგდებდა. და ბოლოს ისე გათავხედდა, რომ ჩვენი ძმების სასაფლაოების გინებაც დაიწყო, რის გამოც მე მომიწია დამეცხრილა მისი კაბინეტი. მას შემდეგ ოთარი თავის სამუშაო კაბინეტში კაი ხანი აღარ ყოფილა. მას და გრიშა ქობალიას პირდაპირი კავშირი ჰქონდათ მოსკოვთან.

იმ საღამოს ოთარ ფაცაცია და კუკური როგავა მოჰყავთ გვარდიის შტაბში, რის შემდეგაც მათ ვართმევთ ვერტმფრენსა და იარაღს, რომლის გადაცემაც გვინდა პრეზიდენტისთვის, მაგრამ ლოთი ყველა ღონეს ხმარობს ვერტმფრენების დასაბრუნებლად. ლოთი გვირეკავს ზუგდიდში და გვეუბნება, რომ ვერტმფრენი საჭირო იყო დაჭრილების გადასაყვანად, მე იძულებული ვიყავი ვერტმფრენი გამეშვა. რაც შეეხება გრიშა ქობალიას, ის იყო მეორე ფიგურა ფაცაციას შემდეგ. მის ხელში იყო ტელევიზია.

აღსანიშნავია ის ფაქტი, რომ ყველა დაჯგუფების დასაყრდენ წერტილს წარმოადგენდნენ ლოთი ქობალიას დისშვილი და ლოთის მეზობლები.

ვინ გადავიდა ეროვნული მოძრაობიდან საწინააღმდეგო დაპირისპირებაში?

ჯერ კიდევ მთაში ყოფნის პერიოდში სამთავრობო ჯარების მხარეს გადავიდა სენაკის ბატალიონის მეთაური კაკო ელიავა. შემდეგ „კოლხეთის ბატალიონის“ მეთაური ანზორ ჩხეიძე შევიდა პოლიციაში. კიტოვანის მხარეს გადავიდა სოსო ჟღენტიც. იმ პერიოდში, როცა აფხაზეთში გააფთრებული ომი მიდიოდა, ლოთი ქობალია თავის სახლს აშენებდა.

რა უნდოდა გურამ აბსანძეს?

დევნილობაში ყოფნისას, უკვე იმის შემდეგ, რაც უშიშროების მუშაკებს შევხვდი, ჩემთან ამოვიდა გურამ მამფორია და მითხრა, რომ მოსკოვში მიბარებდნენ. მე ზური შონია გავაცილე მოსკოვში, სადაც შეხვდა გურამს, იქიდან დაბრუნებული ზური გურამის თხოვნით, ანუ ბრძანებით, მეუბნებოდა, რომ დამევიწყებინა ბეჟან წურწუმიას როლი პრეზიდენტის განადგურების მოთხოვნაში. მიზეზად კი მას მოჰყავდა, რომ ბეჟანმა უღალატა იდეას და არა ჩვენო. მთიდან ჩამოსვლის შემდეგ მე ისევ შემხვდა გურამისგან გამოგზავნილი ზური შონია, რომელმაც გადმომცა გურამის სიტყვები, მეცხოვრა სადმე რუსეთის ქალაქში და ის მომივლიდა ჩემს ცოლ–შვილთან ერთად. ამავე დროს შემხვდა ყველა ის სამხედრო დაჯგუფების ხელმძღვანელი, რომლებიც დაჭერილები არ იყვნენ. ისინი უკვე ქმნიდნენ ახალ სამხედრო დაჯგუფებას. ისინი იბრძოლებდნენ სამეგრელოს ავტონომიისათვის. თათბირს ესწრებოდნენ ვახო ზარანდია, ანზორ ჩხეიძე და გოჩა არაჩემია, რომლის უშუალო ხელმძღვანელობით მოხდა ეს შეხვედრა. თათბირს ესწრებოდა გურამ მაქაცარიას ძმა როლანდ მაქაცარია, რომელიც თათბირზე გაურკვეველი ბატალიონის სახელით გამოდიოდა. ამ ყველაფერს მოსკოვიდან გურამ აბსანძე მართავდა. ყოველივე ამის შემდეგ მე გადავწყვიტე უარი მეთქვა ამ თამაშში მონაწილეობაზე, ვინაიდან ჩემთვის ნათელი გახდა, რომ ეს პოლიტიკისკენ მიმავალი გზა იყო. ყოველივე ამის შემდეგ ოთარ უბილავა და გურამ აბსანძე ერთმანეთს დაეჯახნენ. ეროვნული გვარდიის სამმართველოს შტაბის ყველა, დაწყებული გვარდიის სამმართველოს უფროსიდან განყოფილების უფროსამდე კონტროლირებადი იყო, გაურკვეველია საიდან დაინიშნენ ისინი ამ თანამდებობებზე.

მე ლოთი ქობალიასგან მოვითხოვდი, გაგვენადგურებინა ქალაქ ზუგდიდში მოქმედი შეიარაღებული ბანდფორმირებები, რომელთა უმრავლესობა მისი მეზობლები იყვნენ. ლოთიმ მომცა სიტყვიერი ბრძანება, ამეყვანა მისი მეზობლები, ძმები ვეკუები, ჩამომერთმია მათთვის იარაღი და გამენადგურებინა ისინი, რის გამოც მე მოვთხოვე ლოთის ქაღალდზე დაეწერა ბრძანება. ასევე იყო კიდევ ერთი ფაქტი, როდესაც ლოთიმ ჩემგან მოითხოვა თავისი ერთ–ერთი მეზობლის დაჭერა. ლოთის შესახებ მათ ძალიან ბევრი იცოდნენ ჯერ კიდევ ოსეთში ბრძოლის პერიოდიდან. მათი განადგურების შემდეგ მე დამიპირისპირდებოდა ზუგდიდის მოსახლეობა, რის შემდეგაც თვითონ ლოთი ჩემ წინააღმდეგ მიიღებდა ზომებს.

**შენიშვნა: როგორც პროკურატურის მიერ წარმოებული დაკითხვებიდან ამოღებული მასალა, ისე დროებითი საპარლამენტო კომისიის მიერ ჩატარებული გამოკითხვები, დასკვნით დოკუმენტში, შეტანილია დაიჯესტის ფორმით, მათში სტილი არ არის დაცული, თუმცა ყველა ჩვენების შინაარსი ზუსტადაა გადმოცემული. ხოლო ბადრი ზარანდიას დღიურს რაც შეეხება, მასში ავტორის სტილი პრაქტიკულად დაცულია.**

# რევოლუცია ქართულად — მრავალსერიანი ფილმი პირდაპირ ეთერში

პამფლეტი

რეჟისორი — ვლადიმერ პუტინი, სცენარი — რუსეთის ფეესბე–სი, პროდიუსერი — რუსეთის გრუ, მუსიკა იტალიური — ბელა ჩაო, ოპერატორები — საზოგადოებრივი ტელევიზიის მეორე არხი და მაესტრო. მთავარ როლში — ქართული რევოლუციების ამომავალი ვარსკვლავი და მომავალი ოსკაროსანი, შეუდარებელი ნინო ბურჯანაძე. ფილმში ასევე მონაწილეობენ ცნობილი ქართველი მსახიობები: გოგი ქავთარაძე, დიმა ჯაიანი, გია ბურჯანაძე, რეზო ესაძე. სპეციალური მოწვევით: ნონა გაფრინდაშვილი, ელიზბარ ჯაველიძე, თემურ შაშიაშვილი, ირაკლი ბათიაშვილი, გია კობახიძე, ელდარ კურტანიძე. ეპიზოდურ როლებში: ლევან გაჩეჩილაძე, ეროსი კიწმარიშვილი, სოზარ სუბარი. სპეცეფექტების კონსულტანტი ბადრი ბიწაძე. მასობრივ სცენებში — რიგითი თბილისელები და რაიონებიდან ჩამოსული მოქალაქეები.

ფილმს, — მართალია რეჟისორი, სცენარისტი და პროდიუსერი რუსი ჰყავს, მაგრამ იგი დამზადებულია საქართველოში. ლათინო–ამერიკული მრავალსერიანი ფილმებივით მაყურებელი აქაც ხვდება: გმირებსა და ანტიგმირებს, მძაფრ სიუჟეტიან სცენებს, ჩხუბს, გამოკიდებასა და სირბილს, ინტრიგაც ბევრია, დაფარული თუ გამჟღავნებული სიყვარულიც, მონანიებაცა და შერიგებაც, საზღვარგარეთიდან დიდი ხნის უნახავი რაინდი ოქრუაშვილი ჩამოსვლის მოლოდინიც და იმედგაცრუებაც. აქ კარგად ჯდება ეპიზოდი — ცისფერი მთებიდან ირაკლი! ჩვენ ვართ — ის კი არ ჩანს. ერთი სიტყვით ყველაფერია იმისათვის, რომ მაყურებელი გაერთოს და დაისვენოს, რაც მთავარია, ფილმი–რევოლუცია ქართულად ყოველ ათ წუთში არ წყდება და იგი უგემოვნო რეკლამებით არ არის გაჯერებული. თან ყოველ ნახევარ საათში არ მთავრდება და ადამიანს მომდევნო სერიის სანახავად მთელი მეორე დღე არ უწევს ლოდინი.

ხელისუფლების წინააღმდეგ გამოსვლები დასაბამიდან იღებს სათავეს,მაგრამ რევოლუცია მას 1649 წლიდან ეწოდება, როდესაც ინგლისის პარლამენტმა თავის მეფეს ჩარლზ I ომი გამოუცხადა, იგი ტახტიდან ჩამოაგდო და სიკვდილითაც დასაჯა. ამის მერე რევოლუციები სხვადასხვა ქვეყანაში, სხვადასხვა დროს არაერთხელ მოხდა და მას მილიონობით ადამიანის სიცოცხლე შეეწირა. მაგრამ ექსკლუზივი ამ საქმეში გვეკუთვნის ჩვენ, ვინაიდან მას პირდაპირ ეთერში 24 საათიან რეჟიმში ვაჩვენებთ, მაყურებელსაც ქუჩაში გასვლა მონაწილეობისა და სიახლეების გასაგებად არ ჭირდება. მხარ–თეძოზე წამოწოლილი ყველაფრის საქმის კურსშია.

ჩვენი რევოლუციის მთავარმა გმირმა ნინო ბურჯანაძემ — მე, ჰოლივუდის კინო ვარსკვლავებზე ნაკლები რითა ვარო. ამიტომ, რეჟისორთან არაერთხელ შეხვედრისას კატეგორიულად მოითხოვა მხოლოდ მისთვის ჰონორარის სახით ოცი მილიონი დოლარის გადახდა. მისმა ასეთმა მადამ რუსეთის დუმაში საკმაო გაღიზიანება გამოიწვია. დეპუტატებმა განმარტება მოითხოვეს, რომელი ანჯელინა ჯოლი ან შერონ სტოუნი ეგ არის ერთ ფილმში მონაწილეობისათვის ოც მილიონს რომ ითხოვსო. საქმეში პუტინი ჩაერია და აუხსნა დუმის დეპუტატებს — ამ წუთში სხვა გამოსავალი არა გვაქვს, უნდა გადავუხადოთ რასაც ითხოვსო.

სცენარის მიხედვით ნინო ბურჯანაძეს, როგორც მთავარ გმირს ევალებოდა მაქსიმალურად გამოეყვანა ქუჩაში სააკაშვილის ხელისუფლებით უკმაყოფილო ადამიანები, მისი გათვლებით — ასეთი ორმოცდაათი პროცენტია, ამას დაუმატეთ რუსების მოყვარული ოცი პროცენტი და რომ შეკრიბა, სიხარულით ცას ეწია. პუტინს ახარა რევოლუციის დაწყების დღეს მინიმუმ ექვსასი ათას კაცს ქუჩაში დავაყენებო. ასეთ მასას კი სააკაშვილის ხელისუფლება რას გაუმკლავდება, ჩემს პრეზიდენტობას წინ ვერაფერი დაუდგებაო. პუტინმა ითხოვა — ეცადე არ გაგექცეს, როგორმე ცოცხალი ჩამაგდებინე ხელშიო.

სცენარში სერიოზული ადგილი ჰქონდა დათმობილი რევოლუციის მომზადების საორგანიზაციო საკითხებს. თითოეული წვრილმანი დეტალურად იყო გაწერილი. თუმცა ცალკეულ შემთხვევაში, ფილმის მონაწილენი ლოკალური ხასიათის ამოცანების გადაწყვეტაში — შეზღუდულები არ იყვნენ. ისინიც მივიდნენ და თავიანთ სამუშაო ჯგუფს დაარქვეს სახალხო კრება. სცენარში ასევე ბევრი იყო ლაპარაკი, რომ ნინო ბურჯანაძეს თავის გარშემო უნდა შემოეკრიბა სხვა ოპოზიციური პარტიებიც. რაც მის რევოლუციას მეტ ლეგიტიმურობასა და საერთაშორისო არენაზეც მეტ მხარდაჭერას შესძენდა, თან რაც ყველაზე უფრო მისაღები ჩანდა, რუსული კვალი ნაკლებად თვალში საცემი იქნებოდა. სცენარისტები აქ მთლიანად მიენდნენ ნინო ბურჯანაძის დაპირებას, — რას ამბობთ?! — ისეთი ავტორიტეტი მაქვს ფეხს ერთს დავაბაკუნებ თუ არა — მთელი ოპოზიციური სპექტრი ჩემს დუდუკზე იცეკვებსო.

სცენარში დიდი ადგილი ჰქონდა დათმობილი მოთხოვნას, რომ სახალხო კრებას უნდა ჰყოლოდა თავისი გასამხედროებული შემადგენლობა ე.წ. „შტურმავიკები", რომლებიც შეიარაღებული იქნებოდნენ ერთი შეხედვით უწყინარი ხელკეტებითა და ფარებით. სინამდვილეში კი — მზად უნდა ყოფილიყვნენ ავტომატებისა და ყუმბარმტყორცნების გამოყენებისთვისაც. გათვალისწინებული იყო სხვადასხვა შეიარაღებული ჯგუფების ცხინვალიდან ჩართვის საკითხიც. ამ ე.წ. „შტურმავიკების" შეკრებებზე — ბევრს კითხულობდნენ: კამოს, ბაკუნინის, კროპოტკინის, ჩერქეზიშვილისა და სხვა ტერორისტ–ანარქისტების შესახებ მოგონებებსა და ბიოგრაფიულ ცნობებს. ნინო ბურჯანაძეს — ლენინის სიტყვებიც კი გაახსენდა,რომელსაც რაიკომის პირველი მდივანი მამამისი ანზორი ბავშვობაში ხშირად უმეორებდა — „მთავარია ნაპერწკალი — ალი მალე აენთებაო", რაც მოძრაობას ძირითად ლოზუნგად წაუმძღვარეს.

ნინომ სცენარისტებს ურჩია — ისეთი გამაღიზიანებელი სიტყვის, როგორიცაა „შტურმავიკები"–ს ნაცვლად ეხმარათ — შეფიცულები. ქართველის ყურს უშნოდ არ ხვდება, თან უკვე გაგონილი აქვთ, ხოლო ჩვენ მასში რას ვგულისხმობთ, ვერ მიხვდებიანო.

შეფიცულების ხელმძღვანელი მართლა ბევრი ეძებეს, ბოლოს ყურადღება სწორუპოვარ სარდალსა და დიდ სტრატეგზე — ვინმე გენერალ გია უჩავაზე შეაჩერეს. თუმცა ვერავინ გაიხსენა, სად მიიღო ამ კაცმა ასეთი მყვირალა სამხედრო წოდება. სამაგიეროდ ზოგიერთებს გაახსენდათ — რომ ეს დიდი სარდალი ცნობილი იყო: იარაღის ვაჭრობით, მოღალატური ხასიათით, გამორჩენის მიზნით ერთი ბანაკიდან მეორეში ხშირი გადარბენა–გადმორბენით. მაგრამ ბათიაშვილის რეკომენდაციამ გაჭრა და ისიც საქმეს შეუდგა.

ჩინგიზ–ხანივით შეფიცულები — ათეულებად, ასეულებად და ათასეულებად დაყო. თითოეულს თავისი ხელმძღვანელი ჩაუყენა. საქმე ეკიპირებაზე რომ მიდგა, გენერალმა მოითხოვა — ყველა შეფიცულს უნდა ქონდეს ხელკეტი, ფარი და შურდული ე,წ. „რაგატკა", რომლითაც რკინის ბურთულებს გავისვრითო. შეფიცულებმა შეიცხადეს, შურდული გასაგებია, მაგრამ მასზე წამოსაცმელი რეზინები საიდან მოვიტანოთ, რამდენი ხანია ტრიკოები შემოგვაცვდა და ახალი ვერ გვიყიდიაო. ყველამ ნინო ბურჯანაძისაკენ გაიხედა — მამაშენ ანზორას ექნება დიდი ტრიკოები და შენ უნდა გვიშველო, მთლიანად თუ არ დაგანება, იქნებ რეზინები მაინც გამოაცალოო. ბადრი ბიწაძემ ნინოს წასჩურჩულა, სხვა გზა არ არის, ცოტა გაიჭირვოს, რამოდენიმე დღე, რომ არ ჩაძვრეს, ხელმოკიდებულმა იაროს, — ამასობაში მოვიგებთ რევოლუციას და შორენას ტრიკოსავით — მის ნიფხავს ბაირაღად გამოვფენთ თბილისის თავზე, ყველა გაიგებს რა ისტორიული როლი შეასრულა სასტიკი რეჟიმის დამხობაშიო.

ახლა ჯერი რკინის ბურთულებზე მიდგა — შაშიაშვილმა მთელი ელიავას ბაზრობა შემოვიარე, ვერსად მივაგენიო. გადაწყდა, რუსეთმა უნდა მოგვაშველოს საკისურები ე.წ. „პათევნიკები", ჩვენ მას აქ დავამტვრევთ, როგორც ბავშვობაში და რკინის ბურთულები ახლაც ბევრი გვექნებაო. ნინო ბურჯანაძემ, რომ წარმოიდგინა მისი შეფიცულები კომბლითა და შურდულით ხელში მიხვდა, რომ დანიელ დეფოს რობინზონ კრუზოს დაამსგავსა ეს ხალხი. ასე არ გამოვა, თქვა მან, — ამათ ცოტა თანამედროვე შეიარაღებაც თუ არ მივეცით — მოსკოვში სიცილით მოკვდებიან და ჩვენს გულწრფელობაშიც ეჭვი შეეპარებათო. ეს კი, რასაც ნიშნავდა ყველა მიხვდა, — დარჩებოდნენ უფულოდ. ქართული რევოლუციაც შუა გზაში გაჩერდებოდა. კურტანიძე კი რომელი ჯეკ ლონდონის მექსიკელია? — რინგზე გამოვიდეს და რევოლუციის გულისთვის ბრძოლა მოიგოს.

პროფესიონალი მაინც პროფესიონალია! — აქ უჩავას გაუნათდა გონება „მოლოტოვის კოკტეილი!" შესძახა მან. სწორია — დაუდასტურა ნინომ. აი, რა აკლია ჩვენს რევოლუციას, ძვირიც არ ჯდება და ეფექტიც გადასარევი აქვს. მაგრამ ლოთები ბევრი გვირევია და ესენი თავის ნებაზე თუ მიუშვით შეიძლება ბენზინის მაგივრად არაყი ჩაასხან შიგნითო. მსგავსი გაუგებრობების თავიდან ასაცილებლად, კონტროლი — გია ბურჯანაძეს დაევალა.

სახალხო კრების ლიდერებს, სანამ თავის მომხრეებს ქუჩაში გამოიძახებდნენ — გამარჯვებაში ეჭვიც არ ეპარებოდათ და იმასაც კი განიხილავდნენ, სააკაშვილი როგორ დაესაჯათ!

შაშიაშვილს თავისი მანამდე არაერთხელ მოწადინებული სასამართლოს გამართვა გაახსენდა და განაცხადა — უნდა გავასამართლოთ და ოცი წლით ჩავაყუდოთო.

ბათიაშვილმა, კარგი იქნება, თუ ჩამოვახრჩობთო.

გია კობახიძემ — ეშაფოტზე ავიყვანოთ და თავი გავაგდებინოთო.

ნინო ბურჯანაძემ — სცენარში ამის შესახებ პირდაპირ არის ლაპარაკი და ჩვენ გადახვევა–გადმოხვევის უფლება არა გვაქვს. იგი უნდა დავაპატიმროთ და რუსეთს გადავცეთ, რომ ჩვენი გამარჯვების მთავარმა შემოქმედმა პუტინმა თავისი მუქარა აუსრულოსო. არავითარ შემთხვევაში თქვა ნონა გაფრინდაშვილმა, რომელი თეიმურაზ მეფის შთამომავალი ეგ არის, რომ დაასაჭურისონო. არა! ქალბატონო ნონა — დაამშვიდა ნინომ, მხოლოდ ჩამოკიდებენ, დასაჭურისება პუტინს არასოდეს უხსენებიაო. არ ვიცი — თქვა ელიზბარ ჯაველიძემ — ამაზე თვითონ უფრო მეტს ლაპარაკობს, ვიდრე პუტინი და რატომ მოწონს ამ კაცს ეს ვერ გავიგეო.

გოგი ქავთარაძემ იკითხა — ვაი! თუ აქეთ დაგვიჭირაო?, მე, შვილები მყავს და თუ დამასაჭურისებს ჯანდაბას ჩემი თავი, მაგრამ ჩვენს ახალგაზრდა შეფიცულებს რა ეშველებათო? ამაზე სცენარში არაფერია ნათქვამი — მიუგო ნინომ, შენ კი ადექი და ხეზე დააკაკუნე — ენამ არ გიყივლოსო.

ნინო ბურჯანაძე — რევოლუციის მიმდინარეობისა და განვითარების საკითხებს პირდაპირ ეთერში ტელეფონით უთანხმებს თავისი ოჯახის წევრებს. სცენარი ზეპირად იცის და მისგან გადაცთომას ეგ არ დაუშვებს. ანზორიკო! დაურეკა მან შვილს — ის ქორწილი რა ქორწილია ერთი კაცი თუ არ მოკვდა, ჩვენ კი რევოლუციას ვაწყობთ და შემირცხვენია ის რევოლუცია ხუთასი კაცი მაინც თუ არ მოკვდაო. სხვანაირად კრემლშიც არ დაგვიჯერებენ ასეთი მონდომებულები რომ ვართ. აბა! შენ იცი — ჩვენი ფარული ფრონტის უხილავო გმირო, მართალია ორჯონიკიძე არა ხარ, მაგრამ ხომ გახსოვს რუსული — გრუს ნაწილებს შენ უნდა შემოუძღვე თბილისში, ისტორიამ ეს მისია შენ დაგაკისრა და არ გამაწბილო. რას ამბობ ნინო?! ოღონდ შენ პრეზიდენტი გახდი და გრუს ნაწილებს კი არა, ჰიტლერს შემოუძღვები წინ. მეც ისღა დამრჩენია ვთქვა — ასეთი შვილის გამზრდელი ქალი მიცვნია დედადა.

მინდა ბურჯანაძეების გვარის საქართველოსათვის ღირსეულ წარმომადგენლებს ბოდიში მოვუხადო, მაგრამ ძალიან მაინტერესებს ეს ჩვენი ნინო ბურჯანაძე — იმ ბურჯანაძეების შთამომავალი ხომ არ არის XVIII–ის საქართველოში ტყვეთა სყიდვაში, რომ იყვნენ გაწაფულები და ქართველ ბავშვებს თურქებზე უმოწყალოდ ყიდდნენ. თავადი, რომ გლეხებს ყიდდა — ესეც კი საშინელებაა, მაგრამ გლეხი რომ ისე გაწუწკდება, თავისივე სოციალური წრის წარმომადგენელს დაიჭერს და გაყიდის — ამას საქართველოს სავალალო ეპიზოდებით სავსე ისტორიაშიც გასაკვირი ადგილი უკავია. ვიღაცამ შეიძლება ტენდენციურობა დამწამოს და ამ ამბავის მოგონებაშიც დამადანაშაულოს, ამიტომ არქივების ქექვას არ მოგთხოვთ, აიღეთ! მ. რეხვიაშვილის წიგნი — „იმერეთი XVIII საუკუნეში" — გადაშალეთ 313–ე გვერდზე და თავად დარწმუნდებით. დღეს, ქართველების გაყიდვითა და ტრეფიკინგით დიდ ფულს ვერ იშოვი. დღეს, რევოლუციების მოწყობა უფრო სარფიანია. ხოდა ვიკითხე, ხომ არაფერს ვამტკიცებ, იქნებ შემთხვევით ჩვენმა ნინომ პერეკვალიფიკაცია გაიარა — ისტორიის ჭრილში?

ფილმი რევოლუცია ქართულად იწყება 2008 წლის მოვლენების გახსენებით. ნინო ბურჯანაძე — ჯერ კიდევ პარლამენტის თავმჯდომარეა. ის თავის კაბინეტში ადგილს ვერ პოულობს, აქეთ–იქით დადის, აღელვებულია, რა ქნას არ იცის, თან ცალი თვალი კედელზე ჩამოკიდებული პრეზიდენტის სურათისაკენ გაურბის, თითქოს რჩევას ეკითხება, დარჩეს, არ დარჩეს? იყოს მასთან თუ არ იყოს? ამ დროს თითქოს სურათიც ალაპარაკდა — ყოფნა ნინოჯან ყოფნა. თვალები მაგრად მოიფშვნიტა — ეს რა მელანდებაო. არა?! მყარად გადაწყვიტა. ასეთი აზობოქრებული ხალხის მასები ჯერ არ უნახავს. ეჭვი არ არის ესენი წალეკავენ სააკაშვილის ხელისუფლებას და მეც ზედ მიმაყოლებენ. არადა რამდენი გეგმები აქვს! უნდა, რომ საქართველოს რკინის ლედი გახდეს და მარგარეტ ტეტჩერს გვერდით დაუდგეს. სააკაშვილის გვერდით დგომა კი ახლა უკვე საშიშია. ნივთები ჩაალაგა, კაბინეტს ნაღვლიანი თვალები მოავლო, კარები მაგრად მოიჯახუნა და კიბეებზეც სწრაფად დაეშვა. ოი! საოცრებავ ეს ნაციონალები ცამ ჩაყლაპა თუ მიწამ, კაციშვილი არ ჩანს, არავინ ეუბნება რას აკეთებ? დარჩიო. გასასვლელში სადღაციდან მაბეზარა ჟურნალისტები გამოძვრნენ და მიკროფონი პირდაპირ ცხვირთან მიუტანეს. სხვა გზა არ იყო — რაღაცა უნდა ეთქვა და თქვა კიდეც. დიახ! მე, მივდივარ, მაგრამ არ გეგონოთ ოპოზიციაში. ხელისუფლებაში ყოფნისას იმდენი კარგი საქმე გავაკეთეთ — ახლა მინდა ეს მიღწევები ჩემს თავზე გამოვცადოო. რის გაკეთებას აპირებთ? — კითხეს, საქმის მეტი რა მექნება, უსაქმურად ხომ არ გავჩერდები: სახლი უნდა დავალაგო, იქით სადილი, სარეცხი. ასე რომ, მოსაწყენად ნამდვილად არ მეცლებაო.

მაგრამ ცოტა ხანში თანამდებობის გარეშე დარჩენილს — ნოსტალგია მოეძალა, ასე რკინის ლედი ვერ გახდებოდა. სასწრაფოდ პარტია შექმნა, ხალხის წინაშე ცრემლებიც ჩამოუშვა. რა დღეში ყოფილხართ თქვენ საცოდავებო ეს, რომ მცოდნოდა ცოტა ადრე წამოვიდოდი იმ ხელისუფლებიდანო. მერე აზვირთებულ ხალხს, რომელსაც მისი დანახვაც არ უნდოდა, იმდენი ირბინა ყვარყვარესავით, სანამ სათავეში არ ჩაუდგა. ბლომად ფულიც დახარჯა, სხვებიც აიყოლია და თითქმის მთელი ექვსი თვე ქალაქის ცენტრი დიდ ტუალეტად გადააქცია. რომ ტრაბახობდა მიშას კარგად ვიცნობ და მალე გაიქცევაო, არ გამოდგა მართალი. მიშა არსად წასულა, თავისი სისულელეებით კი თბილისელებს ისე მოაბეზრა თავი, იძულებული გახდა თვითონ გაქცეულიყო მოსკოვში.

ერთ–ერთ სერიაში მოსკოვის სუსხიანი ზამთრის სცენებია გადაღებული. ნინო ბურჯანაძე პუტინთან და სხვა ამხანაგებთან ერთად — საბჭოთა კავშირის ჰიმნის ჰანგებქვეშ „პაკორნაია გარა"–ზე ქუთაისში აფეთქებული ძეგლის ასლის გახსნას ესწრება. მას ბოიარინას სიასამურის ძვირფასი ქურქი მიართვეს, წყალობის ნიშნად, მაგრამ ვალინკები დაავიწყდათ და ფარატინა ფეხსაცმელში გვარიანად შესცივდა. პუტინმა ეს შენიშნა და ბოდიში მოუხადა — როგორ გამოგვრჩაო. თუმცა ნინომ ამაყად მიუგო: რას ბრძანებთ! ვლადიმირ ვლადიმიროვიჩ! — მე, ისე ვარ გაზრდილი საბჭოთა კავშირის ჰიმნის გაგონებაზეც კი ვთბებიო. პუტინს სახე გაუბრწყინდა. ნინოს ყველაფერს შეპირდა და დააიმედა.

ნინო ბურჯანაძე გახარებული დაბრუნდა საქართველოში და მთელი 2009 წლის მეორე ნახევარი, – 2010 წლის ჩათვლით რევოლუციისათვის მზადებას მოანდომა. ხოლო 2011 წლის 21 მაისი ახალი რევოლუციის დაწყების საზეიმო დღედ გამოაცხადა. ნინო იოლად გადარჩა, რეზინის არც ერთი ტყვია არ მოხვედრია ისე გაასწრო. გამოცდილებამ უშველა. ამ სპეცნაზის შექმნაში, გაწვრთნასა და დაგეშვაში ხომ თვითონაც მონაწილეობდა. წინასწარ ხვდება მათი მოქმედების სქემასა თუ ჩანაფიქრს. რას გამოაპარებ, მართალია ბევრი იძახა — ჩხუბი მორევაზეა, თუ მაგრები არიან მოვიდნენ და დაგვშალონო. მაგრამ რა ექნა — კრემლის სცენარში ასე ეწერა და მთავარი როლის შემსრულებელს მისი გადაკეთების უფლება არ ჰქონდა, თუმცა მათი მითითება ბოლომდე მაინც არ შეასრულა, ვინაიდან გაქცევის უფლებაც არ ჰქონდა. ის კი გაიქცა!

ნინო ბურჯანაძეს ყველაზე უფრო მოსკოვიდან წამოსული საყვედურების ეშინოდა, მაგრამ თუ ესენი ასე აშკარად, დაუფარავად თავის გაღიზიანებასა და აღშფოთებას გადმოანთხევდნენ ნამდვილად არ ეგონა. ფულის დაბრუნება არ მომთხოვონო — გული შეუღონდა. მოყვა ვიშ–ვიშს, დარეკა მოსკოვში — პუტინის მისაღებში და ატირებული ხმით მოახსენა გადაეცით ვლადიმირ ვლადიმიროვიჩს, მაგრამ იქიდან ცივად შეაწყვეტინეს — პუტინს თქვენი ცრემლების არ ჯერაო; არა უშავს გაიმხნევა თავი, — კიდევ მოვაწყობ რევოლუციებს და ქალი არ ვიყო კრემლის ნდობა თუ არ დავიბრუნეო!

როგორც ყველა მრავალსერიანი ფილმი, ჩვენი ფილმიც — რევოლუცია ქართულად შეიძლება ითქვას, ასეა თუ ისე მაინც კეთილად დასრულდა, წაგებული, როგორც ყოველთვის ხალხი დარჩა, რომელიც ვერც ბურჯანაძეს გამორჩა რამეს, ხოლო ხელისუფლებისაგან ცემა–ტყეპის, გაზის ყლაპვისა და რეზინის ტყვიების მეტს რას მიიღებდა. მე კი, როგორც ქართველი ხალხის გულშემატკივარს მინდა გირჩიოთ, — არც ერთ რევოლუციას უბრალო ადამიანებისათვის სიკეთე არ მოუტანია, მით უმეტეს, როდესაც მას რუსეთის დაკვეთით ამზადებენ. ამიტომ ნუ აყვებით ავანტურისტებს — თქვენი სამოქალაქო უფლებები შეგნებულად დაიცავით და არჩევნების წინ გადმოგდებულ სატყუარაზე ლორჯოსავით ნუ წამოეგებით.

**მუდამ თქვენზე – შეფიცული**

# სამშობლოზე მჭვუნვარე მოცეკვავე

ზეციურ სასუფეველს შეემატა კიდევ ერთი ჭეშმარიტი მამულიშვილი, საქართველოს დამსახურებული და სახალხო არტისტი, ქართული



ეროვნული ცეკვის მშვენება -ქალბატონი ლატავრა ფოჩიანი.

ქალბატონ ლატავრას სამშობლო თვალისჩინზედ მეტად უყვარდა. ამიტომაც იგი, ეროვნული მოძრაობის აღმავლობის პირველი დღეებიდანვე, საქართველოს თავისუფლებისათვის მებრძოლთა რიგებს შეუერთდა.

ქართული ცეკვის ფერიის შემართება და საბრძოლო სულისკვეთება ბევრ ვაჟკაცსაც შეშურდებოდა.

იგი მამულის წარმატებით ხარობდა, მჭვუნვარებდა სამშობლოს უბედობით. გვახსოვს, მისი მწუხარება 9 აპრილს საბჭოთა ჯარების მიერ გალეწილი სისხლის კალოს გამო, გვახსოვს მისი სიხარული საქართველოს ეროვნული ხელისუფლების მიერ საქართველოს დამოუკიდებლობის გამოცხადებისას. საქართველოს დედაქალაქში, რუსთაველზე საერთო-სახალხო ზეიმისას. უბადლო ხელოვანს, ალბათ, ისეთი აღმაფრენით არასდროს უცეკვია, როგორც იმ დღეს მთავრობის სახლის წინ საქართველოს უსინათლო მეჩონგურეთა მიერ აჟღერებულ ჰანგებზე.

საქართველოს დამსახურებული და სახალხო არტისტი ქალბატონი ლატავრა ფოჩიანი, ქართული ხელოვნების სხივნათელი ვარსკვლავი, შესაშური თავდადებითა და ერთგულებით, სიკეთითა და მოყვასის სიყვარულით გამოირჩეოდა. რამდენადაც იგი დიდი ხელოვანი იყო, ორჯერ მეტად დიდბუნოვანი ადამიანიც გახლდათ. მისთვის უმთავრესი საწუხარი ჯვარცმული სამშობლო გახლდათ.

ეშმას ნაშიერებმა თავისუფლების გზაზე შემდგარ ქართველ ხალხს მალევე წაგლიჯეს ბედნიერება, არ დააცალეს ივერიის გაბრწყინება. იგი არ შეეგუა, არ შეურიგდა საქართველოში კაენის მეორედ მოსვლას. იდგა იქ, სადაც მართალი საქართველო ილეწებოდა. სიმტკიცით, თავდადებითა და ვაჟკაცობით ერკინებოდა სამშობლოს მაოხართ. იგი დევნილი, ჯვარცმული საქართველოს ცხოვრებით ცხოვრობდა. ვერ გატეხეს, ვერ მოისყიდეს. სიცოცხლე ჯოჯოხეთად უქციეს, მაგრამ ბოლომდის უერთგულა სამშობლოსა და მისთვის ტარიგად შეწირული რაინდების ზვიად გამსახურდიასა და მერაბ კოსტავას იდეებს.

ქალბატონი ლატავრა ვაჟკაცურად იტანდა ოცწლიან დევნას, რისთვისაც იგი განკვეთა ეგრეთწოდებულმა ქართულმა ელიტამ, სამაგიეროდ ასჯერ მეტად შეიყვარა მართალმა საქართველომ თავისი მაღალი ხელოვნებითა და მამულიშვილობით, რომელიც თავად იძლეოდა მამულის ერთგულების მაგალითს. სამშობლოს ტკივილი და ვარამი საკუთარ სხეულში განასხეულა და ამ სატკივარით აღესრულა.

და განა მარტო ის? საბედნიეროდ, ქალბატონი ლატავრა მარტო არ ყოფილა. ავაზაკთა ზეობას ემსხვერპლა ქართული ხელოვნების ისეთი ვარსკვლავები, როგორებიც იყვნენ ქართული თეატრისა და კინოს მშვენებანი, ქალბატონები: იზა გიგოშვილი და ლია ელიავა, შეუდარებელი პიანისტი მედეა ფანიაშვილი, ქართული საოპერო ხელოვნების ადრე ჩამქრალი ვარსკვლავი განუმეორებელი მაია თომაძე...

ბევრი უსამართლობა იწვნია ქალბატონმა ლატავრამ ამ ავბედით ოცწლეულში, ავადმყოფობას, სიდუხჭირეს უზადო მოთმინებით იტანდა. კულტურის სამინისტრო არიგებდა მეცენატთა მიერ დაწესებულ მაღალ პენსიებს, რეგვენ და უბირ ჩინოვნიკს ქალბატონი ლატავრასათვის ასეთი რამ უთქვამს: პენსია რომ დაგენიშნოთ, პოდიუმზე უნდა გახვიდეთო (?!). იწყინა და იუკადრისა. როგორ შეკადრეს?! პოდიუმი ხომ წკრიალაშვილებისა და ბეგაშვილების საჯირითო ასპარეზია!

დღეს, როდესაც ქართული „იუთუბეს „ სივრცე გავსებულია უამრავი მასალით, მასში ერთი კადრიც კი არ არსებობს ქალბატონი ლატავრას მიერ შესრულებული უნატიფესი ცეკვებისა.

შევარდნაძის მემკვიდრე სააკაშვილის ხროვას თავად არ აღმოაჩნდა ნება ცეკვის დედოფლისათვის დიდუბის პანთეონში მაინც მიეჩინა ძვალთშესალაგი და ეს პატივი მხოლოდ ხელოვან – შემოქმედთა ერთი ნაწილის დაუღალავი და ჯიუტი ბრძოლით იქნა ხელისუფლებისაგან გამოთხოვილი. მაშინ, როდესაც ქალბატონი ლატავრა თავისი უმწიკვლო ცხოვრებითა და გენიალური ნიჭითაც უდაოდ იმსახურებდა მთაწმინდის პანთეონსაც.

**ალექსანდრე სანდუხაძე**
**ლეილა ცომაია**

# გამოსათხოვარი

ძალიან მიმძიმს, რაიმე სამგლოვიარო დავწერო ადამიანზე, რომელიც უდიდესი ენერგიულობით, დადებითი მუხტის გადამდები, ბრწყინვალე ქალბატონი იყო.

მადონა თევზაძე – საქართველოს კინომატოგრაფისტთა შემოქმედებითი კავშირის წევრი, მხატვრული, დოკუმენტური და ანიმაციური ფილმების ხმის რეჟისორი. მას სამოცზე მეტი ფილმი ჰქონდა გახმოვანებული. განსაკუთრებით უყვარდა საბავშვო მულტიპლიკაციურ ფილმებზე მუშაობა. 1981 წელს სოხუმში რესპუბლიკის კინოფესტივალზე მიიღო მთავარი პრიზი „საუკეთესო ხმის რეჟისურისთვის“, 2005 წელს ასევე მიიღო მთავარი პრიზი ფილმისთვის „მონეტა“. მადონა თევზაძეს ეპიზოდური როლიც ჰქონდა ნათამაშები მხატვრულ ფილმში „პირველი მერცხალი“. მოღვაწეობდა საპატრიარქოს ტელევიზიაში. ბოლოს, როცა მივაკითხე სტუდიაში დოკუმენტურ ისტორიულ ფილმზე მუშაობდა. უამრავი სამომავლო გეგმები ჰქონდა, მაგრამ ვაი, რომ მძიმე სენმა უდროოდ იმსხვერპლა. მას ძალიან მოსწონდა თავისი პროფესია. ამბობდა, კინომატოგრაფიას უცრემლოდ ვერ ვიხსენებო. გაზეთ „ახალი 7 დღის“ ჟურნალისტმა მას ათასი ხმის ქალბატონი უწოდა. მაგრამ განსაკუთრებული ადგილი მის ცხოვრებაში ეკავა ეროვნულ–განმათავისუფლებელ მოძრაობას, სადაც გავიცანი. მოუშუშებელი იარა სამუდამოდ გაჰყვა, რა ტრაგედიაც გადაიტანა საქართველომ.

კანონიერი ხელისუფლების დამხობის შემდეგ, როგორც ზვიად გამსახურდიას მომხრეს, მასაც



მოაკითხეს ხუნტის ავტომატიანმა დამცველებმა და სამხედრო კომენდატურაში გაამწესეს. მადონა გროზნოშიც ჩავიდა და მოინახულა ზვიად გამსახურდია. ერთხელ მითხრა: – არ დამცინო, იმდენად საშინელი ფსიქოლოგიური სტრესი მივიღე მიტინგების დახვრეტისას, რომ ერთ–ერთ მანიფესტაციაზე პარალელური ქუჩით მოგყვებოდით და სულ იმის მოლოდინში ვიყავი, ეხლა ტყვიას გვესვრიანო. ერთი სევდიანი ამბავიც მახსენდება, შევარდნაძის ხუნტის მიერ ორთაჭალის ციხის საავადმყოფოში იმყოფებოდა ზვიად გამსახურდიას ეროვნული გვარდიის ჯარისკაცი ხვიჩა კვირტია, რომელიც სასიკვდილო სენით იყო დაავადებული წამების შედეგად. მას სჭირდებოდა ძალიან ძვირად ღირებული მედიკამენტები, მე ამის საშუალება არ მჰქონდა, მადონამ, არ ვიცი საიდან, მთელი ყუთი უშოვა და ციხის კარებამდეც მომყვა. ძალიან ვნანობ, რომ ვერ მოვასწარი მასთან ინტერვიუს აღება რადიო „ობიექტივში“. მაშინ, დროებით ჩემი გადაცემები შეწყდა. – არა უშავს – ვუთხარი, ცოტა ხანში დავბრუნდები და დავსხდეთ სტუდიაში-მეთქი, მან გაიღიმა და უცებ ძალიან სევდიანი ღიმილი დავიჭირე. მას, უკურნებელი სენი უკვე ჰქონდა შეყრილი, მაგრამ თავის პირად ტკივილს არავის უმხელდა. ასეც წავიდა ამ ქვეყნიდან ჩუმად, უპრეტენზიოდ. მე კი უდიდესი სევდა და სამარადისო ხსოვნა დამიტოვა.

**ირაკლი შონია**

# კომპრომატების ომს შეწირული სახელმწიფო ინტერესები

***„სახელმწიფოს აქვს კომპრომატები სასულიერო პირებზე – ეპისკოპოსებზეც და მღვდლებზეც“***

***დეკანოზი დავით ქვლივიძე,***
***ჩიტაძის ქუჩის წმ. ნინოს ეკლესიის მღვდელმსახური***

2011 წლის 11 ივლისის სრულიად საქართველოს სამოციქულო ავტოკეფალური მართლმადიდებულური ეკლესიის სინოდის დადგენილება 5 ივლისის საქართველოს პარლამენტის კანონის რელიგიური ორგანიზაციების სტატუსის შესახებ, დღემდე იწვევს ჩვენს სამართლიან აღშფოთებას. ქართველი ერი სამარადჟამოდ შეურიგებელი დარჩება სახელმწიფოსა და ეკლესიის მეთაურების იმ ერთობლივი მოღალატური ქმედების მიმართ, რომლითაც მართლმადიდებლურ აღმსარებლობას წაერთვა დომინანტური სტატუსი და დანარჩენ კონფესიებს გაუთანაბრდა.

არანაკლებ აღმაშფოთებელი და გულისმომკვლელი იყო პატრიარქის სახელით 24 ივლისს გავრცელებული განცხადება, რომ „11 ივლისს 2011 წლის სხდომაზე მღვდელმთავართა შორის აზრთა სხვაობას ადგილი ჰქონდა მხოლოდ უმნიშვნელო პროცედურულ საკითხებზე... და მღვდელმთავრებმა, მსჯელობის შემდეგ, **ერთხმად** (ხაზგასმა ჩვენია – **რედ**.) მიიღეს განჩინება“, რომელმაც ასე გაგვაწბილა და დაგვამწუხრა სრულიად ქართველი ერი.

მიუხედავად კათოლიკოს–პატრიარქის 24 ივლისის განცხადებისა, ჩვენ (მაინც), სანდო სამღვდელო პირთაგან გამოსული ინფორმაციის მიხედვით წარმოგიდგენთ იმ შეუწყნარებელი დადგენილების მოწინააღმდეგე და მომხრე იერარქთა ვინაობას, რომელთა კომპრომატებსაც შეეწირა სახელმწიფო ინტერესები.

დაე უწყოდნენ ჩვენმა მაღალუსამღვდელოესობამ, რომ ვერანაირი დემაგოგიური შეგონებებით ვერ დაგვამუნათებენ და ვერც დაგვაბრკოლებენ მხილების გზაზე, რაიც, მხოლოდ და სწორედ ჩენი დედა ეკლესიის სიწმინდის, ძლიერებისა და დაცვისთვისაა მოწოდებული.

გულით გვწადიან, რომ იერარქთა შორის ერთობა იყოს მხოლოდ და მხოლოდ სახელმწიფოებრივი ინტერესებისა და მართლმადიდებლობის დაცვის საკითხში!

**(რედ.)**



### ანტიმართლმადიდებლური დადგენილების

**მოწინააღმდეგე მღვდელმთავრები:**

1. სრულიად საქართველოს კათოლიკოს–პატრიარქი, ცხუმ–აფხაზეთის მიტროპოლიტი ილია II – ერისკაცობაში, ირაკლი შიოლაშვილი.
2. ურბნისისა და რუისის მიტროპოლიტი მეუფე იობი – ერისკაცობაში, ელგუჯა აქიაშვილი.
3. ნიქოზისა და ცხინვალის მიტროპოლიტი მეუფე ისაია – ერისკაცობაში, ზურაბ ჭანტურია.
4. თიანეთისა და ფშავ–ხევსურეთის მტიროპოლიტი მეუფე თადეოზი – ერისკაცობაში, მირიან იორამაშვილი.
5. წილკნისა და დუშეთის მიტროპოლიტი მეუფე ზოსიმე – ერისკაცობაში, შოთა შიოშვილი.
6. ბოდბის მთავარეპისკოპოსი მეუფე დავითი – ერისკაცობაში, გიორგი ტიკარაძე.
7. ბორჯომისა და ბაკურიანის მიტროპოლიტი მეუფე სერაფიმე – ერისკაცობაში, თამაზ ჯოჯუა.
8. ბათუმის, ჩრდილოეთ ამერიკისა და კანადის მიტროპოლიტი, მეუფე დიმიტრი – ერისკაცობაში, დიმიტრი შიოლაშვილი.
9. მესტიისა და ზემო სვანეთის ეპისკოპოსი მეუფე ილარიონი – ერისკაცობაში, დავით ქიტიაშვილი.
10. გურჯაანისა და ველისციხის ეპისკოპოსი მეუფე ექვთიმე – ერისკაცობაში, თეიმურაზ ლეჟავა.
11. დმანისის, აგარაკ–ტაშირისა და ირლანდიის მთავარესპიკოპოსი მეუფე ზენონი – ერისკაცობაში, იმედა იარაჯული.
12. გარდაბნისა და მარტყოფის ეპისკოპოსი მეუფე იაკობი – ერისკაცობაში, კონსტანტინე იაკობაშვილი.
13. საგარეჯოსა და ნინოწმინდის ეპისკოპოსი მეუფე ლუკა – ერისკაცობაში, ვაჟა ლომიძე.
14. ბოლნისის ეპისკოპოსი მეუფე ეფრემი – ერობაში, დავით გამრეკლიძე.

### ანტიმართლმადიდებლური დადგენილების

**მომხრე მღვდელმთავრები:**

1. მაღალუსამღვდელოესი გერასიმე, ზუგდიდისა და ცაიშის მიტროპოლიტი, საპატრიარქოს საგარეო ურთიერთობის განყოფილების თავმჯდომარე – ერობაში, გიორგი შარაშენიძე.
2. მაღალყოვლადუსამღვდელოესი გრიგოლი, ფოთისა და ხობის მიტროპოლიტი, გამომცემლობისა და რეცენზირების დეპარტამენტის თავმჯდომარე – ერობაში, გურამ ბერბიჭაშვილი. სწორედ ეს მეუფე მდივნობდა 11 ივლისის სინოდის სხდომას, რომელის დადგენილებაშიც თავდაპირველად ჩაიწერა, რომ „ჩვენ არ ვეთანხმებით ამ კანონპროექტსო“, მაგრამ მეუფე გრიგოლმა ეს ფრაზა ოქმში არ შეიტანა.
3. მაღალყოვლადუსამღვდელოესი თეოდორე, ახალციხისა და ტაო–კლარჯეთის მიტროპოლიტი, საქართველოს პატრიარქის ქორეპისკოპოსი – ერობაში, დიმიტრი ჭუაძე.
4. მაღალყოვლადუსამღვდელოესი ნიკოლოზი, ახალქალაქის, კუმურდოს და სამხრეთ ამერიკის მიტროპოლიტი, საპატრიარქოს მისიისა და ევანგელიზაციის განყოფილების თავჯდომარის მოადგილე – ერობაში, პაატა ფაჩუაშვილი.
5. მაღალუსამღვდელოესი იოანე, რუსთავისა და მარნეულის მთავარეპისკოპოსი, წმინდა მეფე დავით აღმაშენებლის განათლების ცენტრის თავმჯდომარე – ერობაში, გიორგი გამრეკელი.
6. მაღალყოვლადუსამღვდელოესი კალისტრატე, ქუთათელ–გაენათელი მიტროპოლიტი – ერობაში, შოთა მარგალიტაშვილი.
7. მაღალყოვლადუსამღვდელოესი დანიელი, საჩხერისა და ჭიათურის მიტროპოლიტი, საქართველოს საპატრიარქოს მისიისა და ევანგელიზაციის ცენტრის თავმჯდომარე – ერობაში, დავით დათუაშვილი.
8. მაღალყოვლდუსამღვდელოესი ელისე, ნიკორწმინდის მიტროპოლიტი, საქართველოს საპატრიარქოს სიწმინდეთა მოძიებისა და დაცვის განყოფილების თავმჯდომარე – ერობაში ელდარ ჯოხაძე.
9. მაღალყოვლადუსამღვდელოესი იოსები შემოქმედის მიტროპოლიტი – ერობაში, გიორგი კიკვაძე.
10. მაღალუსამღვდელოესი სერგი, ნეკრესის მიტროპოლიტი – ერობაში, ზურაბ ჩეკურიშვილი.
11. ყოვლადუსამღვდელოესი მელქისედეკი, დედოფლისწყაროსა და ჰერეთის ეპისკოპოსი – ერობაში, არკადი ხაჩიძე.
12. მაღალუსამღვდელოესი სტეფანე, ცაგერისა და ლენტეხის მთავარეპისკოპოსი, ახალგაზრდობის სულიერი და ინტელექტუალური განვითარების ცენტრის თავმჯდომარე – ერობაში, სტეფანე კალაიჯიშვილი.
13. მაღალუსამღვდელოესი შიო, სენაკის, ჩხოროწყუსა და ავსტრალიის მიტროპოლიტი – ერობაში, ელიზბარ მუჯირი.
14. მაღალუსამღვდელოესი იეგუდიელი, სტეფანწმინდისა და ხევის მთავარეპისკოპოსი – ერისკაცობაში, გოჩა ტაბატაძე.
15. მაღალყოვლადუსამღვდელოესი ანანია, მანგლისისა და წალკის მიტროპოლიტი – ერისკაცობაში, თენგიზ ჯაფარიძე.
16. მაღალყოვლადუსამღვდელოესი აბრაამი, დასავლეთ ევროპის მიტროპოლიტი (ამირან გარმელია).
17. მაღალყოვლადუსამღვდელოესი ვახტანგი, მარგვეთისა და უბისის მიტროპოლიტი – ერობაში, ბადრი ახვლედიანი.
18. მაღალუსამღვდელოესი ანტონი, ვანისა და ბაღდათის მიტროპოლიტი – ერობაში, მარკოზ ბულუხია.
19. მაღალუსამღვდელოესი ანდრია, სამთავისისა და გორის მიტროპოლიტი – ერობაში, ამირან გვაზავა.
20. მაღალუსამღვდელოესი გიორგი, ტყიბულისა და თერჯოლის მიტროპოლიტი – ერობაში, გურამ შალამბერიძე.
21. მაღალუსამღვდელოესი საბა, ხონისა და სამტრედიის მიტროპოლიტი, რელიგიური ტურიზმის დეპარტამენტის თავმჯდომარე – ერობაში, ზაზა გიგიბერია.
22. მაღალუსამღვდელოესი პეტრე, ჭყონდიდის მიტროპოლიტი – ერობაში, პაატა ცაავა.

# როგორ ინგრეოდა პროფკავშირული მოძრაობა საქართველოში

საქართველოს დღევანდელი ყოფა, რომელიც სავსეა სოციალური უსამართლობითა და მშრომელი მასების პირდაპირი დისკრიმინაციით მხოლოდ „ვარდების რევოლუციით“ არ დაწყებულა. ანტიჰუმანური და ანტისოციალური რეჟიმის პირობებში, საქართველოს მოქალაქეთა უმრავლესობა, სიღატაკისა და შიმშილის მარწუხებშია მოქცეული. მათი სოციალურ–ეკონომიკური მდგომარეობის გაუმჯობესება ფართო სამოქალაქო და სოციალური მოძრაობის გაშლაზეა დამოკიდებული. არსებული „ნაციონალური“ რეჟიმი კი აგრძელებს რა ე. შევარდნაძის რეჟიმის პოლიტიკას, მშრომელი მასებისადმი მხოლოდ ექსპლუატაციისა და რეპრესიის ენაზე „საუბრობს“. ახალი თაობისთვის საინტერესო უნდა იყოს იმის ზუსტი ცოდნა, თუ როგორ მოხდა პროფკავშირული მოძრაობის დანგრევა და მშრომელი მასების, მათი სოციალურ–შრომითი ინტერესების წარმომადგენლისა და დამცველის გარეშე დატოვება, იმ კრიტიკულ დროში, როდესაც იცვლებოდა სოციალურ–ეკონომიკური სისტემა, მკვიდრდებოდა განსხვავებული წარმოებისა და გაცვლის წესი.

1991–1992 წლების დეკემბერ–იანვრის ანტიკონსტიტუციურმა შეიარაღებულმა სახელმწიფო გადატრიალებამ – სამშობლოს ღალატისა და ხალხის მტრობის ამ სამარცხვინო აქტმა, ყველა სხვა ნეგატიურ გავლენასთან ერთად მოშალა და დაანგრია პროფკავშირული მოძრაობა.

1991 წელს საქართველოს რესპუბლიკის სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის აღდგენის დროს პროფკავშირებში 2 900 000 ადამიანი ირიცხებოდა. 1991 წლის 26 მაისს საპრეზიდენტო არჩევნებში მართლაც შთამბეჭდავად გამარჯვებული ზვიად გამსახურდიას საარჩევნო პროგრამაში გაცხადებული იყო, რომ რესპუბლიკის რეფორმატორული კურსი მიმართული იქნებოდა სოციალური საბაზრო მეურნეობის ფორმირებისაკენ. ამ სოციალური და ეკონომიკური კურსის პირობებში ერის ინტერესები გათვალისწინებულ იქნებოდა არა ქაღალდზე, არამედ რეალურ ეკონომიკურ ცხოვრებაში, რადგან მთლიანად ერი ისარგებლებდა საბაზრო ეკონომიკაში სუვერენული სუბიექტის სტატუსით. ეს რეფორმატორული კურსი სტრატეგიულ საფრთხედ აღიქვეს ადგილობრივმა კორუმპირებულმა სამეურნეო და პარტიულმა ფუნქციონერებმა, პრივილეგირებულმა ხელოვანებმა, კრიმინალებმა, საბჭოთა პერიოდის ჩრდილოვანი ეკონომიკის საქმოსნებმა, მილიციისა და სუკ–ის მექრთამე ოფიცრებმა, ანუ ყველა იმ პირმა, ვინც „უძრაობის“ ხანიდან იშოვა სასტარტო კაპიტალი. აი, ამ სოციალურმა ფენამ, შემდგომში ხმალამოღებულმა იბრძოლა ქვეყანაში კონსტიტუციური კანონიერების, წარმომადგენლობითი დემოკრატიისა და ერის სუვერენიტეტის წინააღმდეგ. მათთვის გამართული და ქმედითი პროფკავშირული მოძრაობა სიძულვილის მეტს არაფერს იწვევდა. მათ ჩაშალეს პროფკავშირების რეფორმირების მცდელობა, რადგან ზუსტად იცოდნენ, რომ სოციალური საბაზრო მეურნეობის ფორმირებისას თავისუფალი და დემოკრატიული პროფკავშირები ყველა ეკონომიკურ და სოციალურ გამოწვევას ღირსეულად და შესაბამისად უპასუხებდა.

1991 წლის შემოდგომაზე, რუსეთის ფედერაციის პრეზიდენტის ბორის ელცინის იმპერიული, კორუმპირებული რეჟიმის სტრატეგიული მართვით საქართველოში ანტიეროვნული და ანტისაზოგადოებრივი ძალების მასირებული შტურმი დაიწყო. მათი მიზანი იყო ანტიკონსტიტუციური სახელმწიფო გადატრიალების განხორციელება. მიუხედავად ასეთი მძიმე ვითარებისა, საქართველოს რესპუბლიკის პრეზიდენტმა ზვიად გამსახურდიამ დროებითაც კი არ გადადო საკუთარი საპრეზიდენტო პროგრამის განხორციელება. მშრომელი მასების შრომითი და სოციალური ინტერესების წარმომადგენელი და დამცველი ინსტიტუტის – პროფკავშირების ქმედუნარიანობის გარანტიების შექმნის მიზნით, რესპუბლიკის პრეზიდენტმა სათანადო ბრძანებულება გამოსცა. მასში მოყვანილი სამართლებრივი პრინციპებიდან გამომდინარე სრულ ტექსტს გთავაზობთ.

საქართველოს რესპუბლიკის პრეზიდენტის ბრძანებულება

„საბაზრო ეკონომიკაზე გადასვლის პირობებში პროფესიული კავშირების უფლებების უზრუნველყოფის შესახებ“

საბაზრო ეკონომიკაზე გადასვლის პირობებში მშრომელთა სოციალურ–ეკონომიკური ინტერესების გამოხატვის და დაცვის საქმეში განსაკუთრებულ მნიშვნელობას იძენს პროფესიული კავშირები.

ყოფილმა საბჭოურ მოდელზე აგებულმა პროფესიულმა კავშირებმა არსებობის მანძილზე დაამტკიცა სიცოცხლის უუნარობა თავისი უმოქმედობით, მმართველი პარტიის უსიტყვო მორჩილებით, მშრომელთა ინტერესების იგნორირებით.

რესპუბლიკაში მიმდინარე საბჭოური სტრუქტურების მსხვრევას მხარი აუბა საქართველოს პროფკავშირების 1991 წლის 24 აგვისტოს ყრილობამ, რომლის მიერ შექმნილი პროფკავშირების რესპუბლიკური ცენტრი დგას ეროვნულ პოზიციებზე.

აღნიშნული პროცესების განვითარებას ხელს უშლის პროფესიულ კავშირებში დრომოჭმულ საბჭოურ დარგობრივ სტრუქტურას ამოფარებული დესტრუქციული ძალები და მათ მიერ შექმნილი არასტაბილური ვითარება.

პროფესიული კავშირების უფლებათა უზრუნველყოფისა და მათი საქმიანობისათვის პირობების შექმნის მიზნით ვადგენ:



საქართველოს პროფესიული კავშირების ერთიანობის უზრუნველყოფის მიზნით საქართველოს თავისუფალი პროფკავშირების რესპუბლიკური ცენტრი ცნობილ იქნეს მშრომელთა უფლებებისა და ინტერესების დაცვის ერთადერთ გარანტად. ყოფილი დარგობრივი კომიტეტების ქონების მემკვიდრედ გამოცხადდეს საქართველოს თავისუფალი პროფკავშირების ცენტრი.

საქართველოს რესპუბლიკის მინისტრთა კაბინეტმა, აღმასრულებელი ორგანოების ხელმძღვანელებმა, ავტონომიური რესპუბლიკების მინისტრთა საბჭოებმა, ქ. თბილისის მერმა, რესპუბლიკის ქალაქებისა და რაიონების პრეფექტებმა, სამინისტროების, უწყებების, საწარმოების, გაერთიანებების, დაწესებულებებისა და სხვა ორგანიზაციების ხელმძღვანელებმა, მიუხედავად საკუთრებისა და უწყებრივი კუთვნილებისა:

განსაკუთრებული ყურადღება მიაქციონ პროფკავშირების უფლებათა და მათი საქმიანობის ყოველმხრივ უზრუნველყოფის მკაცრ დაცვას, მოქმედი კანონმდებლობისა და საზოგადოდ აღიარებული საერთაშორისო უფლებების ნორმების შესაბამისად.

სოციალურ–ეკონომიკურ საკითხებზე ნორმატიული აქტების მიღებამდე, შესაბამის პროფკავშირულ ორგანოებთან ერთად, ჩაატარონ წინასწარი კონსულტაციები მშრომელებისათვის უფრო დასაბუთებული და მისაღები გადაწყვეტილებების შემუშავების მიზნით.

1992 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის პროექტის მომზადებისას პროფესიული კავშირების მონაწილეობით რესპუბლიკის ჯანმრთელობის დაცვისა და სოციალური უზრუნველყოფის სამინისტროებთან შეთანხმებით განიხილონ საკითხი პროფკავშირების კუთვნილი გამაჯანსაღებელი ბანაკების, ფიზკულტურულ–სპორტული ორგანიზაციების, სანიტარულ–საკურორტო, ტურისტული დაწესებულებების ნაწილის სახელმწიფო სოციალური დაზღვევის ბიუჯეტის სახსრებით დაფინანსების შესახებ.

1991 წლის ნოემბერ–დეკემბერში საწარმოებში, დაწესებულებებში, ორგანიზაციებში ჩატარდეს მოლაპარაკებები 1992 წლის კოლექტიური ხელშეკრულებების (შეთანხმებების) დასადებად ან შეტანილ იქნას ცვლილებები მოქმედ კოლექტიურ ხელშეკრულებებში. გათვალისწინებულ იქნას ღონისძიებები სოციალურ–ეკონომიკური პროგრამების რეალიზაციის, მოსახლეობის დასაქმების უზრუნველყოფის, საბინაო ფონდის პრივატიზირებისას მშრომელთა ინტერესების დაცვის, კვალიფიკაციის ამაღლებისა და გადამზადების, შრომითი კონფლიქტების თავიდან აცილების, მოქალაქეთა ეკოლოგიური უსაფრთხოების უზრუნველყოფის, ჯანმრთელობის დაცვის, სოციალური დაზღვევის, საყოფაცხოვრებო და კულტურული მომსახურების გაუმჯობესებისა და სხვა სოციალური საკითხების გადასაწყვეტად.

რესპუბლიკის მინისტრთა კაბინეტმა საქართველოს თავისუფალი პროფკავშირების რესპუბლიკური ცენტრის მონაწილეობით, დადგენილი წესის მიხედვით მოამზადოს 1991 წელს საქართველოს რესპულიკის უზენაეს საბჭოზე განსახილველად საქართველოს რესპუბლიკის შრომის კანონთა კოდექსის პროექტი, წინადადებები საწარმოების, ორგანიზაციებისა და დაწესებულებების მიერ სოციალური ანარიცხების ნორმატივების თაობაზე, მშრომელებისა და მათი ოჯახის წევრების სამკურნალო და დასასვენებელი საგზურების შესაძენი თანხების ხარჯების გაზრდისათვის.

რეკომენდაცია მიეცეს საქართველოს რესპუბლიკის უზენაეს საბჭოს დააჩქაროს „პროფკავშირული საქმიანობის შესახებ“ კანონის პროექტის განხილვა და მიღება.

***საქართველოს რესპუბლიკის***
***პრეზიდენტი ზვიად გამსახურდია***
***ქ. თბილისი. 1991 წლის 22 ნოემბერი.***

საქართველოს რესპუბლიკის პრეზიდენტის ზვიად გამსახურდიას აღნიშნულმა ბრძანებულებამ პროფკავშირების მხრიდან სრული მხარდაჭერა მოიპოვა. ყველა, ვინც ეროვნული და საზოგადოებრივი ინტერესებით ხელმძღვანელობდა, ერთობლივად

შეთანხმდა შემდეგ დეკლარაციაზე. პროფკავშირების განცხადებაში აღნიშნული იყო“

## დეკლარაცია

საქართველოს თავისუფალი პროფესიული კავშირების რესპუბლიკური პროფკავშირული ორგანიზაციები, გამოხატავენ რა პირველადი პროფკავშირული ორგანიზაციების ნებას, მოქმედებენ პროფკავშირულ მოძრაობაში აღიარებული საერთაშორისო პრინციპებით, პროფკავშირის წევრების შრომითი, ეკონომიკური, სოციალური და მათთან დაკავშირებული პოლიტიკური უფლებებისა და ინტერესების დაცვის, შემდგომი გაუმჯობესების და მათი საქართველოს საერთო ეროვნულ ინტერესებთან შეთანხმების მიზნით, საბაზრო ეკონომიკაზე გადასვლის პირობებში პროფესიული კავშირების უზრუნველყოფის შესახებ, საქართველოს რესპუბლიკის პრეზიდენტის 1991 წლის 22 ნოემბრის ბრძანებულებიდან გამომდინარე აცხადებენ, რომ:

საქართველოს თავისუფალი პროფესიული კავშირების ორგანოები დგანან ეროვნულ პოზიციებზე და მთლიანად უჭერენ მხარს საქართველოს მშრომელთა ნებას სრული სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის აღსადგენად.

აღიარებენ დარგობრივი და ტერიტორიული სტრუქტურების არსებობის აუცილებლობას, საქართველოს პროფკავშირების ერთიანობის და მტკიცე კავშირს,რომელიც დაფუძნებული იქნება ურთიერთპატივისცემისა და კოლეგიალობის პრინციპებზე,

საქართველოს პროფკავშირების ერთიანობის უზრუნველყოფის გარანტი, მაკონსოლიდირებელი ორგანო და პროფკავშირების საერთო ქონების მემკვიდრეა საქართველოს თავისუფალი პროფკავშირების რესპუბლიკური ცენტრი, რომელიც წევრ სახელმწიფოებთან ერთად წარმოადგენს საქართველოს პროფკავშირებს რესპუბლიკის სახელმწიფო ხელისუფლებისა და მმართველობით ორგანოებში, საერთაშორისო პროფკავშირულ ორგანიზაციებში.

ხელმძღვანელობენ საქართველოს რესპუბლიკის კონსტიტუციითა და კანონებით, ადამიანის უფლებათა დაცვის სფეროში საყოველთაოდ მიღებული ფუძემდებლური, საერთაშორისო სამართლებრივი ნორმებითა და კონვენციებით, საქართველოს თავისუფალი პროფკავშირებისა და დარგობრივი პროფესიული კავშირების წესდებებით.

## უფლის კვართი (და იაკობის კიბე) მცხეთაში

*დასაწყისი მე-20 გვ.*

ლოდ მაცხოვრის სისხლით შეილებებოდა მისი ტანჯვის დროს. დროთა განმავლობაში კი სისხლის წითელი ფერი, ალბათ, უფრო მუქ, შვინდის ფერს მიიღებდა. ამასთან, ღვთისმშობლის მიერ უნაკეროდ მოქსოვილ კვართზე, მაცხოვრის სამოსზე, ლათინურ ასოებს არავინ ამოქარგავდა, ეს გამორიცხულია.

გარდა ამისა, რატომ შეიცვლიდა უფლის კვართი თავის საბრძანებელს? რა, იაკობის კიბე, ან სვეტი ცხოველი, სხვა ადგილას გამოცხადდა?

ერთ-ერთი მთავარი კი ისაა, რომ უფლის კვართი იყო უკერველი, ნაქსოვი. გავიმეოროთ იოანე მახარებლის სიტყვები: „და ერისაგანთა მათ, რომელთა ჯუარს-აცუეს იესო, მოიღეს სამოსელი მისი და განიყვეს ოთხად ნაწილად, თითოეულმან ერისაგანმან ნაწილი. ხოლი კუართი იგი, რომელი იყო უკერველ, ზევით გამოქსოვილ ყოვლად. თქუეს უკუე ურთიერთას: არა განვხიოთ ესე, არამედ წილვიგდოთ ამას ზედა, ვისაცა იყოს, რაითა აღესრულოს წერილი იგი: განიყვეს სამოსელი ჩემი თავისა მათისა და კუართსა ჩემსა ზედა განიგდეს წილი" (იოანე, 19, 23-24).

მაშასადამე, კვართი გოლგოთაზე არ დაუხევიათ, არ დაუნაწილებიათ, – ის უკერველი იყო, ნაქსოვი და ვერც დანაწილდებოდა, დაიშლებოდა, – და რაღა რუსეთში დაჭრიდნენ უფლის განუყოფელ კვართს?!

258 წელს წამებული, კართაგენის ეპისკოპოსის, კვიპრიანე კართაგენელის განმარტებით უფლის განუყოფელი კვართი ჭეშმარიტი, განუყოფელი ეკლესიის სიმბოლოა (ბიძინა ჩოლოყაშვილი, სიდონიას წინასწარმეტყველება, გვ. 6, თბილისი 2009).

დარწმუნებული ვარ, რუსი საეკლესიო მოღვაწეები ისეთი უცოდინარები არ იყვნენ, ქრისტეს განუყოფელი, დაუნაწევრებელი კვართი დაეყოთ (დაეჭრათ მაკრატლით თუ დანით). ვინ გაბედავდა განუყოფელი კვართისთვის მაკრატლის მიკარებას.

ამ შემთხვევაში, მართლაც, რაღაც მნიშვნელოვან, ოღონდ სხვა სიწმინდეზეა ლაპარაკი, რომელიც შესაძლოა საქართველოდან წაეღო შაჰ აბას I-ს და რუსებისთვის მიეცა, თუმცა არა უფლის კვართზე.

ამ ამბავში ჩანს რუსების ცოდნა – უფლის კვართი მცხეთაშია დაბრძანებული პირველივე საუკუნიდან, გოლგოთაზე უფლის კვართი საქართველოს ხვდა წილად.

ეს გადმოცემა კარგად მიუთითებს, რამდენად მნიშვნელოვანი იყო ქართველებისათვის მაცხოვრის კვართის მცხეთაში ბრძანება, რამდენად მნიშვნელოვანია, ზოგადად უფლის კვართი ქრისტიანებისათვის.

არც ერთი ცნობა, დარდი, ვაება, უფლის კვართის დაკარგვის გამო ქართულ წყაროებში და ზეპირ გადმოცემებში არ არის. მისი გატანა საქართველოდან რომ მართალი იყოს, უსათუოდ აისახებოდა ქართველი სასულიერო პირებისა და სხვა მემატიანეების მიერ (ეს მიეწერებოდა ჩვენს ცოდვებს). არადა პირიქითაა, ქართული წყაროები, ზეპირი გადმოცემები ერთხმად ამტკიცებენ, რომ უფლის კვართი მცხეთაშია.

მოვუსმინოთ არქიმანდრიტ რაფაელს (კარელინი): `ქრისტეს კვართი საქართველოს ეკლესიის ყველაზე დიდი სიწმიდეა. საკრალური გაგებით სვეტიცხოვლის ტაძარში, როგორც სამეუფო კიდობანში დაბრძანებული საუფლო კვართი შეიძლება ვამსგავსოთ სულიერ მზეს, მიწის წიაღიდან უხილავ ნათელს რომ აფრქვევს, ან შევადაროთ თვალით უხილავ მიწისქვეშა წყაროს, რომელიც ყვავილებისა და მცენარეების ფესვებს კვებავს. უფლის კვართი ყოვლადწმინდა ქალწულმა მარიამმა თავისი ხელით მოქსოვა და მაცხოვრის სისხლმა განამეწამულა ჯვარცმის გზაზე: გეთსამანიიდან გოლგოთამდე. ამ სიწმიდის გამო მცხეთას `მეორე იერუსალიმად~ სახელსდებდნენ.

სვეტიცხოვლის ტაძრის ინტერიერში აგებულია სამლოცველო, მსგავსი კუბუკლიისა, იმპერატორმა კონსტანტინემ რომ ააშენა უფლის საფლავზე, იერუსალიმის აღდგომის ტაძარში. იერუსალიმიდან მცხეთაში ჩამოტანილმა საუფლო კვართმა სულიერი კავშირით შეაერთა პალესტინა და საქართველო, უფლის აღდგომის ტაძარი და სვეტიცხოველი. საკრალურ სიბრტყეზე საუფლო კვართი სულიერი ცეცხლის სვეტია, ცამდე აზიდული, უფრო საკვირველი, ვიდრე ის სვეტი, მოსეს და ისრაელს რომ მიუძღოდა აღთქმული მიწისკენ სინას უდაბნოში. ეს არის ადგილი, სადაც ანგელოზები გარდამოდიან მიწაზე, ხოლო ადამიანთა სულები ზეცად მაღლდებიან ლოცვაში. სახარებაში წერია, რომ უკურნებელი სენით შეპყრობილი ქალი მიეახლა მაცხოვარს, საიდუმლოდ შეეხო მის კვართს და მყისვე განიკურნა ავადმყოფობისაგან (ლუკა, 8, 43-48). საუფლო კვართისგან ახლაც იკურნებიან ისინი, ვინც მას სარწმუნოებით და კრძალულებით მიეახლება.

მრავალი საუკუნის შემდეგ სულთნის ცოლმა სიდონიას საფლავის გათხრა და კვართის მოტაცება უბრძანა თავის მონებს. მაგრამ ანაზდად მიწიდან ცეცხლი გამოტყვრა – ისევე, როგორც იულიანე განდგომილის დროს (მან, წინააღმდეგ ღვთის ნებისა, სოლომონის ტაძრის აღდგენა გადაწყვიტა). მონები ცეცხლმა დაწვა, სულთნის ცოლი კი, ოდესღაც პავლე მოციქულის მიერ ძლეული მოგვივით, დაბრმავდა~ (არქიმანდრიტი რაფაელი (კარელინი), ხატი `დიდება საქართველოს საკათალიკოსო ეკლესიისა, გვ. 12-13, თბილისი 2006, ქართულ ენაზე).

ბაგრატიონებმა, ბიბლიური დავით მეფის (რომლის ჩამომავლების ოჯახშიც განკაცდა მაცხოვარი) შთამომავლებმა, როგორც საქართველოს მეფეებმა, თავის გერბის შუაში, ცენტრალურ, უმნიშვნელოვანეს ადგილას გამოსახეს მაცხოვრის კვართი (საქართველოს სიმბოლო). გერბს საერთოდ უდიდესი მნიშვნელობა აქვს. სხვადასხვა ქვეყნის მეფეები ცდილობდნენ თავის გერბებზე მნიშვნელოვანი რამ გამოესახათ. ხშირად ხელოვნური, ნაძალადევი, გამოგონილი რაღაცეებიც გამოსდიოდათ. ქართველ მეფეებს კი არაფერი ჰქონდათ გამოსაგონი, ისინი ღმერთმა დაადგინა იმ ქვეყნის მეფეებად, რომლის ცენტრშიც უდიდესი სიწმინდე განისვენებს – მაცხოვრის კვართი.

მას შემდეგაც კი, რაც თბილისი გახდა საქართველოს დედაქალაქი, ერთიანი საქართველოს მეფეები, ბაგრატიონები, სვეტიცხოველში, უფლის კვართის ტაძარში ეკურთხებოდნენ ხელმწიფედ, იმიტომ, რომ სვეტიცხოველი უმნიშვნელოვანესი ტაძარია ქრისტიანულ სამყაროში. იქვე აღსაყდრდებოდნენ საქართველოს პატრიარქები.

სვეტიცხოველი დგას კახეთისა და ქართლის საზღვარზე, შუაგულში. მცხეთა-თბილისი არის კავკასიის გეო-სტრატეგიული დედაქალაქი.

სიმბოლურია, რომ ძველი ისრაელის ლეგიტიმური მეფეების შთამომავლები, იესიან, დავითიან, სოლომონიან, ბაგრატიონები (ქალდი ხელმწიფეები) გახდნენ მცხეთის (საქართველოს) მეფეები. მცხეთაში არის ქრისტეს კვართი. მცხეთა არის ქალაქი, რომელშიც მოციქულობა ყოვლადწმიდა ღვთისმშობელს ერგო...

ქართულ ეროვნულ იდეოლოგიას ბრწყინვალედ გამოხატავს ხატი „დიდება საქართველოს საკათალიკოსო ეკლესიისა".

ხატი ქართული ფრესკების, ხატებისა და მინიატურების შესწავლის მერე დაწერა ცნობილმა ჰაგიოგრაფმა მიქაელგობრონ საბინაშვილმა (საბინინი). ქართული ჰაგიოგრაფიისა და ისტორიის შესანიშნავმა მცოდნემ, ერთგვარად ქართული ეკლესიის გერბი შექმნა ამ ხატის სახით. საქართველოს დიდება, ქრისტიანული ეპოქიდან, იწყება უფლის კვართის მცხეთაში ჩამობრძანებით. ხატის ცენტრალურ ნაწილში გამოსახულია გარდაცვლილი წმიდა სიდონიას საფლავი, რომელსაც ჩახუტებული აქვს მაცხოვრის სამოსელი – კვართი. მის საფლავზე ამოსულია ცხოველი ხე. ხე გადაჭრილია და მასზე იმავე ხიდან შექმნილ ეკლესიის საყრდენ ბოძს, სვეტს ანგელოზი დგამს. ეს არის ხატის კომპოზიციური ცენტრი. ცხოველი სვეტის გარშემო ქართველი წმიდანები დგანან. ეს არის ზეციური საქართველო, დაფუძნებული და ამოზიდული უფლის კვართიდან, რომელიც მაცხოვრისავე სისხლით შეიღება გოლგოთის გზაზე. „ხატი „დიდება საქართველოს საკათალიკოსო ეკლესიისა", ქართული ჰაგიოგრაფიის დიდებულ კრებულს ჰგავს" (არქიმანდრიტი რაფაელი (კარელინი).

ღვთისმშობლის წილხვდომობა, ქართული ენის დიდებულება, ბაგრატიონების უფალთან ნათესაობა და მაცხოვრის კვართის საქართველოში დაბრძანება ქართული იდეოლოგიის უძველესი ქვაკუთხედებია, რომლის იმედითაც ქართველ კაცს შეეძლო ათჯერ მეტ მტერთან გამარჯვების იმედით, ღიმილით შებმა.

**გაიოზ მამალაძე**

---

აღიარებენ რესპუბლიკის პროფკავშირების დარგობრივი პროფესიული კავშირების არსებობასა და მათი მოქმედების თავისუფლებას.

ცნობენ რა ტერიტორიულ (რაიონულ, საქალაქო) პროფცენტრებს, მიიჩნევენ მათ კონკრეტულ რეგიონში პროფკავშირული ორგანიზაციების გამაერთიანებელ, პროფკავშირების ერთიანი პოლიტიკის გამტარებელ ორგანოდ და ხელს უწყობენ მათ ფუნქციონირებას.

ამყარებენ ისეთ ურთიერთობას, რომელიც უზრუნველყოფს ერთიანი, ძლიერი ცენტრის ეფექტურ მოღვაწეობას.

კატეგორიულად გმობენ საქართველოს პროფკავშირების ერთიანობაში ყოველგვარი გათიშულობისა და დესტაბილიზაციის მცდელობას.

რესპუბლიკის მშრომელთა ეკონომიკური, სოციალური და სამართლებრივი დაცვის შემდგომი გაუმჯობესების მიზნით, მიზანშეწონილად მიაჩნიათ საქართველოს პროფკავშირული ორგანიზაციების გაერთიანება საქართველოს თავისუფალი პროფკავშირების რესპუბლიკურ ცენტრში, რამეთუ პროფესიულ კავშირებში საქმიანი ვითარების შექმნის, შემოქმედებითი და დემოკრატიული პრინციპების სრული განხორციელების საწინდარია მხოლოდ ერთობა და სტაბილიზაცია".

ამ დეკლარაციის საფუძველზე პროფკავშირულმა ორგანიზაციებმა, მათ შორის აფხაზეთისა და აჭარის პროფკავშირულმა საოლქო კომიტეტებმა, 1991 წლის 12 დეკემბერს ხელი მოაწერეს ხელშეკრულებას, რომლის პირველ მუხლში აღნიშნული იყო: „პროფესიული მოძრაობის შეკავშირების, ერთობლივი მოქმედებისა და საქმიანობის კოორდინაციისათვის, ნებაყოფლობით და პარიტეტულ საწყისებზე ვქმნით საქართველოს დამოუკიდებელი პროფკავშირების კონფედერაციულ გაერთიანებას – საქართველოს დამოუკიდებელი პროფკავშირების გაერთიანებას".

1991–1992 წლების ანტიკონსტიტუციური სახელმწიფო გადატრიალების შედეგად ეს სტრატეგიული მნიშვნელობის კონსოლიდაციისა და განვითარების კურსი შეწყვეტილ იქნა. პროფკავშირულ მოძრაობაში მოქმედმა რენეგატთა ჯგუფმა – კოოპერატორთა პროფკავშირების თავმჯდომარის ირაკლი ტუღუშის მოთავეობით – 1992 წლის 28 იანვარს შეკრიბა არაკანონიერი ე.წ. წარმომადგენელთა კონფერენცია, რომელსაც 103 პირი დაესწრო (ამ ე.წ. კონფერენციაში არ მონაწილეობდნენ არა მარტო ბევრი დარგის, არამედ აფხაზეთისა და აჭარის პროფკავშირული საოლქო კომიტეტების წარმომადგენლებიც), ამ თვითმარქვია ე.წ. კონფერენციამ თხოვნით მიმართა ანტიკონსტიტუციურ, სახელმწიფო ხელისუფლების უზურპატორ ე.წ. სამხედრო საბჭოს წევრებს თენგიზ კიტოვანსა და ჯაბა იოსელიანს გაეუქმებინათ რესპუბლიკის პრეზიდენტის 1991 წლის 22 ნოემბრის ბრძანებულება. „ქურდს რა უნდა – ბნელი ღამეო" და მშრომელთა მასების სამშობლოს მოღალატეთა, მტრების ამ ბანდამ, ე.წ. სამხედრო საბჭომ, თავის№ 07/138 დადგენილებით გაუქმებულად გამოაცხადა ზემოთ აღნიშნული ბრძანებულება. ტექსტის სრული ალოგიკურობისა და ანტისამართლებრივი შინაარსის მკითხველისთვის სრულად გასაცნობად გთავაზობთ ამ დადგენილებასაც:

### საქართველოს რესპულიკის სამხედრო საბჭოს დადგენილება № 07/138

საქართველოს რესპუბლიკის დამოუკიდებელი პროფკავშირების კონფედერაციის საბჭომ თავისი 1992 წლის 28 იანვრის სხდომის დროს ჩათვალა ყოფილი პრეზიდენტის 1991 წლის 22 ნოემბრის ბრძანებულება „საბაზრო ეკონომიკაზე გადასვლის პირობებში პროფესიული კავშირების უფლებების უზრუნველყოფის შესახებ" კანონსაწინააღმდეგო მოქმედებად და დადგენილებით ითხოვს პრეზიდენტის აღნიშნული ბრძანებულების გაუქმებას.

მიგვაჩნია რა საქართველოს რესპუბლიკის ყოფილი პრეზიდენტის 1991 წლის 22 ნოემბრის ბრძანებულება – „საბაზრო ეკონომიკაზე გადასვლის პირობებში პროფესიული კავშირების უფლებების უზრუნველყოფის შესახებ" მშრომელთა ინტერესების შემლახველ დოკუმენტად, სადაც მშრომელთა მთელი ქონების მემკვიდრედ და მათი ინტერესებისა და უფლებების დაცვის ერთადერთ გარანტად ცნობილია საქართველოს თავისუფალი პროფკავშირების რესპუბლიკური ცენტრი, საქართველოს რესპუბლიკის სამხედრო საბჭო ადგენს:

მიღებულ იქნეს საქართველოს რესპუბლიკის დამოუკიდებელი პროფკავშირების კონფედერაციის საბჭოს 1992 წლის 28 იანვრის დადგენილების კანონიერი მოთხოვნილება და გაუქმებულ იქნეს, როგორც მშრომელთა ინტერესების შემლახველი, არამართლზომიერი1991 წლის 22 ნოემბრის ბრძანებულება „საბაზრო ეკონომიკაზე გადასვლის პირობებში პროფესიული კავშირების უფლებების უზრუნველყოფის შესახებ".

*საქართველოს რესპუბლიკის სამხედრო*
*საბჭოს სახელით:*
*თენგიზ კიტოვანი*
*ჯაბა იოსელიანი*

ამ ალოგიკურმა და ანტისამართლებრივმა დადგენილებამ გზა გაუხსნა პროფკავშირების ქონების ბანდიტურ მიტაცებებსა და ფარულ ძარცვას. მშრომელებმა კი დაკარგეს ყველაფერი, როგორც მატერიალური, ასევე სოციალური თვალსაზრისით. სამაგიეროდ ირაკლი ტუღუშმა, ედუარდ შევარდნაძის ანტიეროვნული და ანტისაზოგადოებრივი რეჟიმის ფრთის ქვეშ,1992 წლის 18 დეკემბერს ფსევდოყრილობით თავმჯდომარის პოსტი მოიპოვა. მოადგილეებად კი გაიმწესა მამუკა კაციტაძე (დღეს „ახალი მემარჯვენე"), ზ. დიდიშვილი და ს. გეგიაძე. მათმა ვაიპროფკავშირელობამ, მართლაც რომ ძირი გამოუთხარა პროფკავშირების არსებობას ქვეყანაში.

2005 წელს, ირაკლი ტუღუში, მისთვის ასე სახეირო თავმჯდომარის პოსტსაც განაშორეს და ინდულგენციის ფასად, პროფკავშირების გაერთიანების 22 სართულიანი შენობაც აფეშქაშებინეს, სადაც დღეს დედაქალაქის მერი გიგი უგულავაა დავანებული.

მთელი ამ ისტორიის ცოდნა საზოგადოებისთვის, განსაკუთრებით კი ახალი თაობისთვის, ის გაკვეთილია, რამაც მას აღარ უნდა მისცეს შეცდომის დაშვების უფლება.

საქართველოს რესპუბლიკის პრეზიდენტის ზვიად გამსახურდიას მუშაობა ქვეყანაში პროფკავშირული მოძრაობის განვითარებისათვის ის ზუსტი ორიენტირებია, რომელიც პოსტსააკაშვილისეულ ხელისუფლებას დიდად დაეხმარება იპოვოს გამოსავალი შექმნილი ეკონომიკური, სოციალური და პოლიტიკური კრიზისიდან.

**დავით არაბიძე**

# უფლის კვართი (და იაკობის კიბე) მცხეთაში

ქართულ ეროვნულ იდეოლოგიაში უდიდესი ადგილი უკავია მაცხოვრის კვართის დაბრძანებას საქართველოს უძველეს დედაქალაქში, მცხეთაში. ქართველი ადამიანისთვის დიდი სიამაყის მიმნიჭებელი იყო საუკუნეთა მანძილზე ეს ვითარება.

აბა წარმოვიდგინოთ, როგორ იამაყებდნენ სომხები, რუსები ან სხვები, მათ სამშობლოს რომ რგებოდა წილად ღვთისმშობლის მიერ მოქსოვილი კვართი უფლისა.

მცხეთელი ურია ელიოზი და მისი მეგობრები ქრისტეს ჯვარცმის დროს იერუსალიმში იყვნენ, თუმცა მაცხოვრის წინააღმდეგ ქმედებაში მონაწილეობა არ მიუღიათ.

როგორც მოგვითხრობს ახალი აღთქმა, ქრისტეს ჯვარცმის დროს მისი სამოსი – ყოვლადწმინდა ღვთისმშობლის მიერ უკერველად მოქსოვილი კვართი განუყოფელი (დაუნაწევრებელი, დაუჭრელი) დარჩა. მასზე წილი ჰყარეს: „და ერისაგანთა მათ, რომელთა ჯუარს-აცუეს იესუ, მოიღეს სამოსელი მისი და განიყვეს ოთხად ნაწილად, თითოეულმან ერისაგანმან ნაწილი. ხოლო კუართი იგი, რამეთუ იყო უკერველ, ზეიტ გამოქსოვილ ყოვლად, თქუეს უკუე ურთიერთას: არა განვხიოთ ესე, არამედ წილ-ვიგდოთ ამას ზედა, ვისიცა იყოს, რაჲთა აღესრულოს წერილი იგი: განიყვეს სამოსელი ჩემი თავისა მათისა და კუართსა ჩემსა ზედა განიგდეს წილი. ერისაგანთა მათ ესე ყვეს (იოანე, 19, 23-24).

მერე იგი წილად ხვდათ მცხეთელებს (არსენ იყალთოელი, „ცხორება და მოქალაქეობა ნინოსი“, მსოფლიო ლიტერატურის ბიბლიოთეკა, ძველი ქართული ლიტერატურის ძეგლები, გვ. 376, თბილისი 1978).

ელიოზმა შეუსრულა თავის დას, სიდონიას თხოვნა, ერთ-ერთი რომაელი ჯარისკაცისაგან შეიძინა და მცხეთაში წამოაბრძანა ქრისტეს ნაქონი ნივთი – კვართი.

მცხეთაში დაბრუნებულ ელიოზს ქალაქის შესასვლელთან შეეგება სიდონია. გამოართვა ძმას ხელთუქმნელი კვართი უფლისა და უზომო სიხარულით გულში ჩაიხუტა. როცა გაიგო მაცხოვრის წამების შესახებ, სიდონია განუზომელი მწუხარებისაგან გარდაიცვალა.

მთელმა მცხეთამ გაიგო ამის შესახებ. ქართლის მეფე ადერკს ძალიან მოეწონა კვართი. მაგრამ, ვერაფრით გამოაცალეს გარდაცვლილს ხელიდან კვართი და მასთან ერთად დაკრძალეს საქართველოს ერთ-ერთი პირველი წმიდანი.

ერთ-ერთს იმიტომ ვამბობ, რომ ჩემი აზრით პირველი წმინდანი იყო ელიოზისა და სიდონიას დედა, ელია მღვდლის შთამომავალი. როცა ელიოზი მიდიოდა იერუსალიმში, დედამ სთხოვა არ მიეღო მონაწილეობა „რომელსა-იგი განიზრახვენ, ნუ შეერთვინ ცნობა შენი, ნუ შვილო! რამეთუ იგი არს სიტყვა წინასწარმეტყველთა და იგავი ბრძენთა.

და წავიდა ელიოზ მცხეთელი და ლონგინოზ კარსნელი. და მუნ დახვდეს ჯვარცმასა უფლისასა.

ხოლო ოდეს დამსჭვალეს უფალი და პასანიკმან კვერითა დაჰკრა სამსჭვალთა, აქა დედასა ელიოზისსა ესმა და იკრჩხიალნა და თქვა:

– მშვიდობით, მეფობაო ჰურიათაო, რამეთუ მოჰკალთ თავისა თქვენისა მაცხოვარი და იქმნენით მკვლელ შემოქმედისა! ვაი თავსა ჩემსა, რომელ არა წინავე მოვკვედ, რათამცა არა სმენილ იყო ყურთა ჩემთა!

და ამას ზედა შეისვენა“ (ქართული მწერლობა, I, ლეონტი მროველი, ცხოვრება მეფეთა, გვ. 83. თბილისი 1987).

მაშასადამე, სიდონიას დედა და თავად სიდონია, განსაკუთრებული წმინდანები არიან, ქრისტეს ჯვარცმის გამო ზაფრით, მწუხარებით, გულისტკივილით კვდებიან. მათი ტანჯვა ხორციელზე მეტად მტკივნეულია, მათმა მოძმეებმა ხომ უფალი მოკლეს...

როგორი დედობრივი სიყვარული, საკაცობრიო განცდა და წინაპართა მიერ დაგროვილი სარწმუნოებრივი სიბრძნე გამოსჭვივის დედის დარიგებაში – „ნუ შვილო!“

როცა საქართველოს ისტორიის ამ სტრიქონებს კითხულობ კაცი, სურათის რეალურობა სრულიად ცხადად დაგიდგება თვალწინ. ჯალათის კვერის დაკვრის ხმაც შეიძლება წარმოგიდგეს და გულგანგმირული დედის გლოვაც.

იოანე ნათლისმცემლის მერე სიდონიას დედა და მისივე ქალიშვილი პირველი წმინდანები არიან ახალი აღთქმისა.

სიდონიას საფლავზე აღმოცენდა დიდი ხე, 'კვიპაროზი“ და ქვეშე მისსა – მრავალფერი ყვავილი“, როგორც მოგვითხრობს „წმიდა ნინოს ცხოვრება“. ავადმყოფი ფრინველები და მხეცები ამ ხის წიწვებით იკურნებდნენ ხოლმე თავს. ხეს საოცარი სურნელი ჰქონდა.

სწორედ უფლის კვართის ნახვის სურვილით იყო გამოწვეული წმიდა გიორგის ნათესავის, წმიდა ნინოს დაინტერესება საქართველოთი, მცხეთით. მერე მას გამოეცხადა ყოვლადწმინდა ღვთისმშობელი და საქართველოში, ვაზის ქვეყანაში თავისივე ხელით შექმნილი ვაზის ჯვრით გამოამგზავრა თოთხმეტი წლის ქალწული.

უფრო კარგად რომ განვმარტო რამდენად მნიშვნელოვანია ადგილი, სადაც (რადგანაც) დაბრძანდა მაცხოვრის კვართი, მოვიყვან წმ. ნინოს სიტყვებს კვართის ადგილსამყოფლის შესახებ, მისივე მეგობრის, სიდონიას მონათხრობიდან (ჩემეული განმარტებებით), და, ცოტა ქვემოთ, სიდონიასვე მონათხრობს ეკლესიის სასწაულებრივ აღშენების თაობაზე, კვართის დაბრძანების ადგილას, პირველი სიდონიას საფლავზე (წმ. ნინოს მეგობარი სიდონია არის უფლის კვართთან ერთად დაფლული საქართველოს პირველი წმინდანის – სიდონიას ოჯახის შთამომავალი).

„აქა არსო ადგილი სამარხოი მისიო, რომელსა ენანი კაცთანი არა დადუმნენ გალობად ღმრთისა მიმართ, მას ზედა არს ადგილი იგი, ვითარცა ადგილი იაკობისი, კიბედ ხილული და ზეცად აღწევნული ამიერითგან და უკუნისამდე, დიდება და ქება მოუკლებელ~ (ძვ. ქ. მწ. ძ., I, შატბერდის კრებული, გამოსაცემად მოამზადეს ბ. გიგინეიშვილმა და ელ. გიუნაშვილმა, გვ. 340, თბილისი 1979).

ახლა განვიხილოთ რას ნიშნავს ადგილი იაკობისი, კიბედ ხილული და ზეცად აღწევნული ამიერითგან და უკუნისამდე.

იაკობი არის ისრაელის მამამთავარი, მას ეწოდა ისრაელი იაკობის მაგივრად, ჰყავდა 12 ვაჟი, ისრაელის თორმეტი ტომის მამამთავარი.

ერთხელ, იაკობი გზად მიდიოდა. „და მიემთხვია ადგილსა და დაიძინა მუნ, რამეთუ დაჰვიდოდა მზეი. და მოიღო ლოდი ლოდთაგან მის ადგილისათაი და დაიდვა სასთუნალ მისა და დაწვა მას ადგილსა.

და ჩუენებასა იხილვიდა: და აჰა ესერა კიბენი აღმართებულნი ქუეყანით, რომლისა თავი მიწვდომილ იყო ცადმდე, და ანგელოზნი ღმრთისანი აღვიდოდეს და გარდამოვიდოდეს.

ხოლო უფალი დამკვიდრებულ იყო მას ზედა. და ჰრქუა: მე ვარ უფალი ღმერთი აბრაჰამისი, მამისა შენისაი, და ღმერთი ისაკისი. ნუ გეშინინ! ქუეყანაი ეგე, რომელსა გძინავს, შენ მიგცე და ნათესავსა შენსა.

და იყოს ნათესავი შენი ვითარცა ქვიშაი ზღვისაი და განვრცნეს ზღუადმდე და ჩრდილოდ და ბღურად და აღმოსავალად. და იკურთხეოდიან შენდამი ყოველნი ტომნი ქუეყანისანი და ნათესავისა შენისა მიმართ.



და აჰა მე შენ თანა ვარ, ვიდრეცა ხვიდოდი. და მოგაქციო შენ ამასვე ქუეყანასა, რამეთუ არა დაგიტეო, ვიდრე არა ვყო მე ყოველი, რაოდენსაცა-იგი გეტყოდე შენ.

და განიღვიძა იაკობ ძილისა მისგან და თქუა:

... ვითარ საშინელ არს ადგილი ესე! არა არს ესე სხუა, გარნა სახლი ღმრთისაი, და ესე არიან ბჭენი ცისანი.

და აღდგა იაკობ განთიად და მოიღო ლოდი იგი მუნ, რომელი დაედვა სასთუნლად, და დაასხა ზეთი თავსა მის ლოდისასა.

და უწოდა სახელი ადგილსა მას სახლი ღმრთისაი“ (დაბადება, 28, 11-19. ქართული ლექციონარის პარიზული ხელნაწერი (ძველი და ახალი აღთქმის საკითხავები), I, ნაწ. I, გამოსაცემად მოამზადეა კ. დანელიამ, სტ. ჩხენკელმა და ბ. შავიშვილმა, გვ. 44, თბილისი 1987).

მაშასადამე, იაკობის ადგილი არის განსაკუთრებული ადგილი, იაკობისვე სიტყვებით რომ ვთქვათ, „ბჭენი ცისანი“ (ზეცის კარიბჭე), „სახლი ღმრთისა“ (ბეთელი), სადაც მან მიიღო აღთქმა უფლისგან, რომ მისი შთამომავლები, მისი თორმეტი შვილის მოდგმა, ღვთის რჩეული ხალხი დამკვიდრდებოდა და გამრავლდებოდა.

ანალოგიით, უნდა ვიფიქროთ, რომ მცხეთა, სადაც დაკრძალულია უფლის სამოსელი – კვართი (და ელიას ხალენიც), არის ახალი იაკობის ადგილი, სადაც ბჭეა ცისა (კარიბჭე ზეცისა), ღვთის სახლი. საინტერესოა, რომ ელიას ხალენი „ქვათა (ე. ი. ლოდთა) შინა ულპოლველადაა შენახული“ აბიათარ მღვდლის სიტყვებით (იქვე).

სხვა სიტყვებით, მცხეთა არის ახალი ისრაელის დადგინების ადგილი. უფლის სიტყვები იაკობისადმი „ნათესავი შენი ვითარცა ქვიშაი ზღვისაი და განვრცნეს ზღუადმდე და ჩრდილოდ და ბღურად და აღმოსავალად. და იკურთხეოდიან შენდამი ყოველნი ტომნი ქუეყანისანი და ნათესავისა შენისა მიმართ“, უნდა გავიგოთ, ალბათ, ასე – ახალი ისრაელის, ახალი სარწმუნოების მატარებელი ხალხი განივრცობა მთელ დედამიწაზე და იკურთხება იაკობის შთამომავლის, მართალი იოსების ოჯახში განკაცებულის მიერ.

კვართის დაკრძალვის ადგილას აშენებული პირველი ხის ეკლესია დაეყრდნო ბოძს, ლიბანის ნაძვისას, რომელიც ამოსულიყო სიდონიას საფლავზე და მირონმდინარე იყო (ლოდს იაკობმა სცხო ზეთი).

რაც შეეხება მცხეთაში, უფლის კვართის დაკრძალვის ადგილას ეკლესიის აშენებას, ეს არის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი ეპიზოდი მთელი ქრისტიანული სამყაროსათვის.

როგორც ვთქვით, სიდონიას საფლავზე ამოსული იყო ლიბანის ნაძვი, კვიპაროზი, სასწაულთმოქმედი. ამ ადგილზე ეკლესიის ასაშენებლად ამ კვიპაროზისაგან დაამზადეს შვიდი სვეტი. ექვსი სვეტი ჩვეულებრივად დაამაგრეს, მაგრამ მეშვიდე ვერ დაძრეს ადგილიდან. მთელი დღის წვალების მერე მეფე, დედოფალი და სხვები იმედგაცრუებულნი გაშორდნენ ადგილს. დარჩნენ მხოლოდ წმინდა ნინო და თორმეტი დედა („მოქცევაი ქართლისაი“, შატბერდული). ისინი ხელაპყრობილი შესთხოვდნენ უფალს წყალობას. ამ დროს გამოცხადება იხილა წმ. ნინოს მოწაფემ და მეგობარმა წმიდა სიდონიამ (ამაზე ქვემოთ).

ცისკრისას, როცა დედებს მიერულა (სიდონიას გარდა), წმინდა ნინო ხელაპყრობილი იდგა: „და აჰა ესერა ზედამოადგა ჭაბუკი ერთი ყოვლადვე ნათლითა შემოსილი, და მოებლარდნა ცეცხლის-სახედ ზეწარი, და არქუნა სამნი რაიმე სიტუანი ნეტარსა ნინოს. ხოლო იგი დაეცა პირსა ზედა თვისსა. ხოლო ჭაბუკმანმან მიყო ხელი სუეტსა მას და უპყრა თავი და აღამაღლა და წარიღო სიმაღლესა ცათასა...

... და აჰა ვიხილე სუეტი იგი ცეცხლის-სახედ ჩამოვიდოდა და მოეახლა ხარისხსა მას თვისსა. და ვითარ დაემართა, და დადგა ზედა ხარისხსა მას ქუეყანით აღშორებულად ვითარ ათორმეტ წყრთა და ნელიად ჩამოიცვალებდა თÂსსავე მას ზედა ნაკუეთსა, რამეთუ ხარისხად იყო ძირი იგი მისი, რომლისაგან მოკუეთილ იყო სუეტი იგი ცხოველი“ (ძვ. ქ. მწ. ძ., შატბედის კრებული, მოქცევაი ქართლისაი, გვ. 345, თბილისი 1979).

ალბათ გასაგებია, ეს უფლის ანგელოზი გამოეცხადა წმიდა ნინოს და უთხრა სამი სიტყვა, ჩემი აზრით – მამა, ძე და სულიწმიდა. შემდეგ ძელიცხოვლის სვეტი ზეცაში აიტანა და მერე ეს ძელიცხოვლის სვეტი, უკვე სვეტიცხოველი დაეშვა დედამიწაზე ცეცხლოვანი სახით, ჯერ გაჩერდა თორმეტი წყრთის სიმაღლეზე, მერე კი დაედგინა თავის ხარისხს. სიდონიას საფლავზე ამოსული ხის გადანაჭერს, კუნძს.

ეს ტაძარია სვეტიცხოველი. უნდა აღინიშნოს, რომ სვეტიცხოველი თორმეტი მოციქულის სახელზეა აგებული. რაც ნიშნავს, რომ ახალი ისრაელის ტაძარია, რადგან ახალი ისრაელის აღთქმა თორმეტმა მოციქულმა იქადაგა (თორმეტი მოციქულის სახელი ვახტანგ გორგასალმა უწოდა. იხ. ამავე წიგნში: „მართლმადიდებლური საკრალური გეოპოლიტიკა V-VI საუკუნეების საქართველოში ანუ ათცამეტი მღვდელმთავრისა და მერე ათცამეტი ასურელი მამის მიერ ახალი ისრაელის დაარსება“).

სხვათა შორის, სვეტიცხოვლის ძველ ფენაში მართლაც აღმოჩენილია შვიდსვეტიანი ეკლესიის ნაშთი.

ბიძინა ჩოლოყაშვილის აზრით, ის სამი სიტყვა არის „აჰა, მოვალ ადრე…“ (გამოცხადება, 3, 11). საერთოდ, სიდონიას ხილვა, მისი განმარტებით, არის წინასწარმეტყველება, რომ მცხეთა გახდა ახალი იერუსალიმი, რაც გამოწვეულია კვართის მცხეთაში დაბრძანებით და მიმდევი მოვლენებით, უფრო თუ დავაზუსტებთ, უფლის ნებით (ჩოლოყაშვილი ბ, ქართულენოვალი ეკლესია – ახალი იერუსალიმი, თბილისი 2008).

მთელი ქრისტიანული სამყაროსათვის ცნობილია, რომ მაცხოვრის კვართი საქართველოშია დაბრძანებული. ბევრი ქალაქი არ არის მდიდარი ასეთი დიდი განძით, გარდა იერუსალიმისა და იმ ქალაქებისა, სადაც დაბრძანებულია ქრისტეს სუდარა და სხვა.

მაცხოვრის განუყოფელი, დაუნაწევრებელი კვართი არის სიმბოლო ქრისტეს ეკლესიის განუყოფლობისა.

თუმცა, რუსების ნაწილს ჰგონია, რომ შაჰ აბას I-მა ამოათხრევინა ქრისტეს კვართი და წაიღო. მერე კი რუსეთის მეფეს გაუგზავნა ძღვნად.

რუსული გადმოცემით, რუსებმა დაანაწილეს (ანუ დაჭრეს) კვართი და გაანაწილეს რამდენიმე ეკლესია-მონასტრისთვის. ამ გადმოცემით კვართმა მოახდინა სასწაულები და ავადმყოფები განკურნა. ცნობის მიხედვით, აღნიშნულ კვართზე ლათინური წარწერა იყო და ის წითელი ფერისა გახლდათ.

ცნობილია, რომ უფლის კვართი არ იყო წითელი, მხო-

*დასასრული მე-19 გვ.*

დაბეჭდილ წერილებში მოყვანილ ფაქტების სიზუსტეზე პასუხისმგებლები არიან ავტორები.

**რედაქტორი** ლეილა ცომაია

გაზეთი გამოდის შემოწირულობებით
საკონტაქტო ტელეფონი: 92 36 55
ვებგვერდი: http://ganmatavisuflebeli.webs.com
ელ.ფოსტა: ganmatavisuflebeli@yahoo.com